

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„საქართველოს სალიზინგო კომპანია“

(საიდენტიფიკაციო კოდი 204972155)

ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი

10,000,000 (ათი მილიონი) დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონური ობლიგაციები (10,000 ცალი). განადგების (დაფარვის) ვადა: გამოშვებიდან 2 წლის შემდეგ. თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისას: 1,000 (ერთი ათასი) დოლარი. ფასი გამოშვებისას: ნომინალური ღირებულების 100% (ასი პროცენტი). პროცენტი ობლიგაციებზე გადაიხდება 6 თვეში ერთხელ, 7.5% წლიური განაკვეთით (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „საპროცენტო სარგებელი“ გვ. 123). ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას) წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობაზე და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია კომპანიისათვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები

ელდარ ახვლედიანი - შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ გენერალური დირექტორი

გიორგი ჯღარკავა - შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ კომერციული დირექტორი

ხელმოწერილია შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ სახელით:

ხელმძღვანელი:

სახელი, გვარი: ელდარ ახვლედიანი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:



თარიღი:

01.08.2019

ხელმძღვანელი:

სახელი, გვარი: გიორგი ჯღარკავა

თანამდებობა: კომერციული დირექტორი

ხელმოწერა:



თარიღი:

01.08.2019

ხელმძღვანელი:

სახელი, გვარი: გიორგი ფაილოძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:



თარიღი:

01.08.2019

ხელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით:

ხელმძღვანელი:

სახელი, გვარი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ხელმოწერა:



თარიღი:

01.08.2019

## მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში „პროსპექტი“) და შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი უპირველეს ყოვლისა გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით) ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს პროსპექტი მიეწოდა ელექტრონული გზავნილის ფორმით, იგი ეთანხმება, რომ ელექტრონული გზავნილი (მასზე დართული პროსპექტითურთ) კონფიდენციალურია და მოწოდებულია მხოლოდ ადრესატისათვის. შესაბამისად, ინვესტორი ეთანხმება, რომ არც ერთ სხვა პირს არ გაუზიარებს ან მიაწვდის ელექტრონულ გზავნილს ან/და წინამდებარე პროსპექტის ელექტრონულ ვერსიას და არ გაასაჯაროებს მას.

### **პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. სანაპიროს ქუჩა 2, 0114, თბილისი, საქართველო. ტელ: 2 406 406. ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge. ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge

### **პასუხისმგებლობის შეზღუდვა:**

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, არც განთავსების აგენტი, ობლიგაციონერთა წარმომადგენელი, ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი, რეგისტრატორი, კომპანიის სხვა მრჩველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩვეელი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე, ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და შეთავაზებაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩველები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან მათ რაიმე სხვა განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისათვის, განთავსების აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად ემიტენტისათვის, ისინი არ წარმოადგენენ არც ერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევენ არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავიანთ კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ისინი არ არიან ვალდებული გაუწიონ ვინმეს, გარდა კომპანიისა, მომსახურება ან მისცენ რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე პროსპექტში განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან ობლიგაციებთან დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასაავრცელებლად.

**ინვესტორის დადასტურება:** პროსპექტი ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს შესაბამის განთავსების აგენტს სს „სს „გალტ ენდ თაგარტს“; (ს/ნ 211359206), მის:

საქართველო, თბილისი 0179, აღმაშენებლის გამზ. N79, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge (შემდგომში „განთავსების აგენტი“) და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიას“ (შემდგომში „კომპანია“ ან „ემიტენტი“), რომ ინვესტორი (i) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „N“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და (ii) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, და (iii) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, კომპანია, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირები არ იქნებიან რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით გამოწვეული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება კომპანიის მიერ გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ პროსპექტს (რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულის იდენტურია).


პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლდება

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის #



GE2700603840 - 1 - 05

05.08.2019

ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო #

GE2700603840



## სარჩევი

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა.....	7
შესავალი .....	7
ინფორმაცია ემიტენტის შესახებ .....	9
მოკლე ინფორმაცია საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორთან დაკავშირებით .....	10
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები .....	12
ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები .....	16
მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის .....	17
მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიკურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის .....	19
შეთავაზების პირობები.....	20
რისკის ფაქტორები .....	22
<i>კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები.....</i>	<i>22</i>
<i>საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკის ფაქტორები .....</i>	<i>38</i>
<i>ობლიგაციებთან დაკავშირებული რისკები.....</i>	<i>46</i>
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება .....	50
სარეგისტრაციო დოკუმენტი .....	51
დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები .....	51
კაპიტალიზაცია და დავალიანება .....	52
ძირითადი საქმიანობა.....	55
ძირითადი ბაზრები.....	61
ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა.....	67
სამომავლო სტრატეგია და მიზნები.....	68
ემიტენტის კონკურენტული გარემოსა და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა.....	70
ინვესტიციები .....	73
ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა.....	74
ფინანსური მდგომარეობა.....	75
საოპერაციო შედეგები.....	82
ინფორმაცია კაპიტალისა და სასესხო ვალდებულებების შესახებ.....	85
ემიტენტის დამატებითი სასესხო საჭიროების აღწერა .....	89
ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისის მიმოხილვა.....	90
მარეგულირებელი ჩარჩო .....	92

ინფორმაცია უკვე ცნობილი ტენდენციების, გაურკვეველობების, მოთხოვნების ან მოვლენების შესახებ, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ემიტენტის საქმიანობაზე სულ მცირე მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში.....	97
მმართველი ორგანო და მენეჯმენტი .....	98
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან .....	101
საბალანსო უწყისი .....	103
მოგება-ზარალის უწყისი .....	104
ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი .....	105
დივიდენდების პოლიტიკა .....	106
სასამართლო პროცესები .....	107
ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა	108
კაპიტალი .....	109
დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ნახსენებია/მითითება არის გაკეთებული რეგისტრაციის დოკუმენტში .....	111
ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა .....	112
განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ.....	112
შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა .....	113
შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები .....	114
ფასის დადგენა .....	134
განთავსება.....	135
ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე .....	136
ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში .....	137

**პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა**

**შესავალი**

ფასიანი ქაღალდის დასახელება	შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ ობლიგაციები
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ საიდენტიფიკაციო კოდით 204972155, მის: პეტრე მელიქიშვილის გამზირი N8ა/ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N1, თბილისი, საქართველო.
განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, აღმაშენებლის გამზ. N79, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	საქართველოს ეროვნული ბანკი, სანაპიროს 2, თბილისი, 0114 ტელ: +995 322 406 564
პროსპექტის დამტკიცების თარიღი	• 08.08.2019

**მნიშვნელოვანი მითითებები:**

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე;

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტი, ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან თუ არ იძლევა ძირითად ინფორმაციას, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესაბამისებელ ფასიან ქაღალდებში;

ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაბრუნება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. არც პროსპექტი და არც კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე / ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

წინასწარი პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია, შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას ვითარების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე ემიტენტი მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული ობლიგაციების გაყიდვა, ან ობლიგაციების ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას

ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც კომპანია და არც განთავსების აგენტი არ აკეთებს არანაირ განცხადებას და არ იძლევა გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ ობლიგაციებში ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი კომპანიის ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომპანიის ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული ობლიგაციების რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან კომპანიის საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელდებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩეველებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

### **გაფრთხილება**

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიასთან, ობლიგაციებთან, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ობლიგაციების, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;

გააჩნდეს შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;

გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;

ობლიგაციების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;

შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.


## ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

კომპანია 2001 წელს დააარსა „თბილუნევერსალბანკმა“ და პირველი ქართული კომპანია იყო, რომელმაც ლიზინგის მომსახურების სახით მსურველებს დაფინანსების ალტერნატიული წყარო შესთავაზა სესხებისგან განსხვავებით. 2005 წელს ის საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია გახდა ორი ბანკის შერწყმის შედეგად. 2015 წლის აგვისტოში, რეორგანიზაციის შედეგად, სს „ბიჯი ფაინენშელი“ გამოეყო სს „საქართველოს ბანკს“ და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ 100% -იანი წილის მფლობელი გახდა. 2017 წლის ივნისში კომპანიის 100% წილი სს „საქართველოს ბანკმა“ გადაიფორმა.

2015 წლის აპრილში კომპანიამ იყიდა შპს „პრაიმ ლიზინგი“ 100% იანი წილი, რომლის სალიზინგო პორტფელი დაახლოებით 2 მილიონ ლარს შეადგენდა. პორტფელის გადაწერა ეტაპობრივად ხდებოდა საქართველოს სალიზინგო კომპანიის ბალანსზე. დღეისთვის პრაიმ ლიზინგის პორტფელი განულებულია.

ამჟამად კომპანიას (ამ პროსპექტის თარიღის მდგომარეობით) 74 თანამშრომელი ჰყავს. აქედან 17 თანამშრომელი „ტურბოს“ ოფისებში არიან გადანაწილებული თბილისში, რუსთავეში, ზუგდიდში, ბათუმსა და ქუთაისში. კომპანიის მთავარი მომხმარებლები მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და საცალო მომხმარებლები არიან, მას ჰყავს, აგრეთვე, რამდენიმე მსხვილი მომხმარებელი. კომპანიის პროდუქცია მიზნად ისახავს სხვადასხვა მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:



2018 წლის 29 მაისს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული „ბიჯეო ჯგუფი“ ორად გაიყო. გაყოფის შედეგად, ლონდონის საფონდო ბირჟაზე ორი საჯარო კომპანიის აქციები არის სავაჭროდ დაშვებული - „საქართველოს ბანკის ჯგუფისა“ და „საქართველოს კაპიტალის“.

ემიტენტი არის შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ფინანსურ პროდუქტებს, რომლებიც მორგებულია სხვადასხვა სეგმენტზე. კომპანიას სპეციფიკური პროდუქტები აქვს მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებისთვის, მცირე და მაღალშემოსავლიანი ფიზიკური პირებისთვის. მაგალითად, 2015 წელს კომპანიამ შპს „კავკასუს ავტო იმპორტთან“ თანამშრომლობით შეიმუშავა საკმაოდ ხელსაყრელი პროდუქტი მეორადი

ავტომობილების მომხმარებლებისათვის. 2017 წლის სექტემბრიდან, კომპანიამ დაიწყო კიდევ ერთი პროდუქტის შეთავაზება დაბალშემოსავლიანი სეგმენტისთვის - ლომბარდული ტიპის დაფინანსების სახით.

### **მოკლე ინფორმაცია საქართველოს სალიზინგო სექტორთან დაკავშირებით**

2007 წლიდან დღემდე, სალიზინგო სექტორის მთლიანი პორტფელი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა და 2018 წელს მთლიანმა პორტფელმა 132.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სექტორზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა 2008-09 წლების კრიზისმა და რუსეთ-საქართველოს შორის არსებულმა კონფლიქტმა იქონია. შედეგად, სალიზინგო სექტორის მთლიანი პორტფელი თითქმის განახევრდა და 2009 წელს 17.1 მლნ აშშ დოლარი, ხოლო, 2010 წელს 14.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2011 წელს კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა (განხილულია ქვემოთ) ხელი შეუწყო სექტორის ზრდას, რის შედეგადაც, სექტორის ჯამური პორტფელი 2011 წელს 3-ჯერ გაიზარდა. 2014-16 წლებში სასაქონლო ფასების კრიზისმა და ლარის გაუფასურებამ შეანელა სექტორის ზრდა. თუმცა, მიუხედავად საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში განვითარებული უარყოფითი მოვლენებისა, საქარაველოს ეკონომიკამ შეინარჩუნა სტაბილურობა. აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან სალიზინგო სექტორის ზრდის ტემპი დაჩქარდა და 2017 წელს სექტორის ჯამური პორტფელი წინა წელთან შედარებით 63.1%-ით გაიზარდა, ხოლო, 2018 წელს ზრდამ 46.5% შეადგინა.

მიუხედავად სექტორის მნიშვნელოვანი ზრდისა (2012-18 წლებში საშუალოდ 26.1%-იანი ზრდა), მშპ-სთან მიმართებით, სალიზინგო სექტორის ჯამური პორტფელის წილი კვლავ საკმაოდ დაბალია, 2018 წლის მონაცემებით - 0.9%, ხოლო, 2017 წელს 0.6% იყო. აღნიშნული მონაცემით, საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება რეგიონში არსებულ სხვა ქვეყნებს, მაგალითად, რუსეთში სალიზინგო პორტფელის წილი მშპ-ში 1.3%-ია, ბულგარეთში - 2.1%, ლატვიაში - 3.3%. საქართველოში სალიზინგო სექტორის მცირე ზომის გათვალისწინებით, არსებობს სექტორის ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი.

### **კომპანიის აქციონერები**

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის სს „საქართველოს ბანკი“

### **ემიტენტის დირექტორები**

კომპანიის გენერალური დირექტორია ელდარ ახვლედიანი. ის „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ გენერალური დირექტორის პოზიციას 2015 წლის 1-ლი აპრილიდან იკავებს. იკავებს. მას საბანკო სფეროში მუშაობის 16 წლიანი გამოცდილება აქვს, საიდანაც 11 წელზე მეტი მუშაობდა სს „საქართველოს ბანკში“ სხვადასხვა პოზიციაზე. ბოლო 8 წელი ის სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული საბანკო მომსახურების მიმართულებით უმსხვილეს ბიზნეს სექტორებს ხელმძღვანელობდა. მისი პროფესიული კარიერა მოიცავს წლებს, როდესაც საბანკო სექტორმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, რამაც მას ფასეული გამოცდილება შესძინა ამ სფეროში. ელდარს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საბანკო და საფინანსო მიმართულებით.

კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეა გიორგი ჯღარკავა. ის „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ კომერციული დირექტორის პოზიციას 2015 წლის 15 მაისიდან იკავებს. იგი საბანკო სექტორში 2006 წლიდან მოღვაწეობს, 2010 წლის შემდეგ კი სს „კორ სტანდარტ ბანკის“ საკრედიტო, საცალო და კორპორაციული საბანკო მომსახურების დეპარტამენტებს ხელმძღვანელობდა. მას აგრეთვე აქვს საკონსულტაციო მიმართულებით მუშაობისა და კრიზისული სიტუაციების მართვის წარმატებული გამოცდილება. გიორგი ჯღარკავამ 2012 წელს მიიღო თავისუფალი უნივერსიტეტისა და BP-ს პროექტების

მენეჯმენტის კოლეჯის დიპლომი, ხოლო 2014 წელს თავისუფალი უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

კომპანიის ფინანსური დირექტორი 2019 წლის 1-ლი ივლისიდან ნესტან მიქელაძე იქნება. ნესტანს 10 წლიანი გამოცდილება აქვს საფინანსო სექტორში. ის „საქართველოს ბანკში“ მუშაობდა 2009 წლიდან 2013 წლამდე კორპორატიული ბანკირის პოზიციაზე და სხვადასხვა მნიშვნელოვან სექტორს ფარავდა. 2013 წლიდან 2019 წლის ივნისამდე ნესტანი სს „გალტ ენდ თაგარტი“ მუშაობდა საინვესტიციო საბანკო მომსახურების დეპარტამენტში ასოცირებული საინვესტიციო ბანკირისა და უფროსი ასოცირებული საინვესტიციო ბანკირის პოზიციაზე. მას ბაკალავრის ხარისხი „კავკასიის ბიზნესის სკოლაში“ აქვს მიღებული 2008 წელს, სადაც 2004 წლიდან სწავლობდა.

#### **ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები**

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი: ემიტენტის ფინანსური აუდიტორია შპს „იუაი“. საიდენტიფიკაციო კოდი: 204441158. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კ. აფხაზის ქუჩა N44. ელ-ფოსტა: info@ge.ey.com

კომპანიის უძრავ და მოძრავ აქტივებს “ქართული საშემფასებლო კომპანია“ აფასებს მისი წარმომადგენლების გიორგი ლეჟავასა და ლაშა ლეჟავას მეშვეობით. კომპანიის მისამართია: მარშალ გელოვანის გამზ. 2, 0159, თბილისი, საქართველო. ტელ: +995 32 2 37 44 61. ვებ-საიტი: valuation.ge

#### **შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები**

განთავსების აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, აღმაშენებლის გამზ. N79, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge

კომპანიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული განთავსების აგენტ სს „გალტ ენდ თაგარტთან“. ხელშეკრულება სს „გალტ ენდ თაგარტს“ ავალდებულებს უზრუნველყოს ობლიგაციების ანდერაიტინგი მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა მოამზადოს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაცია (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.

ემიტენტი, განთავსების აგენტი, გაანგარიშებისა და ძირითადი თანხის გადამხდელი აგენტი და რეგისტრატორი დაკავშირებული პირები არიან. ამგვარ პირთა მმართველობითი ორგანოების (მმართველი საბჭო / დირექტორთა საბჭო) წევრები შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა დაკავშირებული პირების მმართველ საბჭოში. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგებების დამტკიცების დროს შესაბამისი პირები (და მათი მმართველი საბჭოს წევრები) არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მოქმედებენ (მათ შორის ინტერესთა კონფლიქტთან მიმართებაში) და ყველა ასეთი გარიგება კომერციულ საფუძველზე იდება, ასტყერესთა კონფლიქტი შეიძლება დამატებითი რისკი იყოს ინვესტორებისთვის.

**ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები**

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენილია ქვემოთ:

საბალანსო უწყისი (შემოკლებული) (000' ლარი)	არააუდირებული 2019 1კვ	არააუდირებული 2018 1კვ	აუდირებული 2018	აუდირებული 2017
<b>აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,608	1,278	3,541	1,178
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	-	-	2,794	-
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	94,164	48,333	88,081	45,424
საიჯარო მიზნებისთვის განკუთვნილი აქტივები	13,130	10,292	11,115	9,446
სხვა აქტივები	10,418	10,531	11,167	10,159
<b>სულ აქტივები</b>	<b>122,320</b>	<b>70,435</b>	<b>116,698</b>	<b>66,207</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სასესხო დავალიანება	58,686	24,897	55,292	20,179
გამოშვებული ობლიგაციები	38,138	23,953	36,941	26,151
სხვა ვალდებულებები	3,252	2,396	3,821	2,184
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>100,076</b>	<b>51,246</b>	<b>96,053</b>	<b>48,514</b>
<b>კაპიტალი</b>				
საწესდებო კაპიტალი	3,180	3,180	3,180	3,180
დამატებითი შეტანილი კაპიტალი	15,065	14,925	15,030	14,895
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)	4,278	1,217	2,714	(250)
სხვა რეზერვი	(279)	(133)	(279)	(133)
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>22,244</b>	<b>19,189</b>	<b>20,645</b>	<b>17,693</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>122,320</b>	<b>70,435</b>	<b>116,698</b>	<b>66,207</b>

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისი (შემოკლებული) (000' ლარი)	არააუდირებული 2019 1კვ	არააუდირებული 2018 1კვ	აუდირებული 2018	აუდირებული 2017
საპროცენტო შემოსავალი	5,747	2,829	16,120	9,885
საპროცენტო ხარჯები	(1,820)	(847)	(4,766)	(3,954)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	3,927	1,982	11,355	5,931
გაუფასურების რეზერვის ხარჯი გაცემულ სესხებზე	(110)	(191)	(932)	(712)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი სხვა აქტივებზე	-	-	(97)	-
წმინდა საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯის შემდეგ	3,817	1,790	10,325	5,219
საოპერაციო შემოსავალი	4,574	2,312	11,803	7,810
საოპერაციო ხარჯები	(3,008)	(1,629)	(9,419)	(5,955)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე	1,566	683	2,384	1,854
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	(2)	-	(54)	-
<b>წმინდა მოგება</b>	<b>1,564</b>	<b>683</b>	<b>2,330</b>	<b>1,854</b>

**სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია**

თანდართული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტის დასკვნის ტიპი: აუდიტის რეპორტში, კომპანიის დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტორი აცხადებს, რომ მათი დასკვნა არის უპირობო.

არც ბოლო საანგარიშო პერიოდში და არც პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

კომპანიას მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგის სააგენტოს - Fitch Ratings-ის მიერ. კომპანიის გრძელვადიანი დეფოლტის რეიტინგი არის "B+"/პოზიტიური. კომპანიამ შესაძლოა მომავალში დამატებით მოიძიოს რეიტინგი იგივე ან სხვა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგის სააგენტოსგან.

კომპანიის სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტები პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

	31-03-19 <sup>1</sup>	31-03-19	31-12-18	31-12-17
<b>ფინანსური ლიკვიდურობის კოეფიციენტები</b>				
გრძელვადიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	4.03	2.79	2.83	2.25
ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი	14.2%	14.2%	10.3%	12.8%
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	1.88 <sup>1</sup>	1.88	1.52	1.47
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	0.83	0.79	0.79	0.70
სესხი მთლიან კაპიტალთან	0.85	0.81	0.82	0.72
<b>მომგებიანობის კოეფიციენტები</b>				
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე	5.2% <sup>1</sup>	5.2%	2.5%	3.2%
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	29.2% <sup>1</sup>	29.2%	12.2%	17.4%
საერთო მოგების მარჟა	66.4% <sup>1</sup>	66.4%	64.1%	52.8%
საოპერაციო მოგების მარჟა	24.1%	24.1%	13.5%	14.9%
წმინდა მოგების მარჟა	24.3%	24.3%	12.8%	15.7%
აქციაზე შემოსავლიანობის კოეფიციენტი	N/A	N/A	N/A	N/A
დივიდენდის შემოსავლიანობის კოეფიციენტი	N/A	N/A	N/A	N/A
<b>ლიკვიდურობის კოეფიციენტები</b>				
ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები	51.5% <sup>2</sup>	40.6%	42.4%	39.4%
ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	206.9%	133.2%	124.0% <sup>3</sup>	298.2%
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი	72.4%	72.4%	53.1%	29.4%
მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	2.59	1.85	1.81	4.85
საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი <sup>4</sup>	N/A	N/A	N/A	N/A
<b>საოპერაციო კოეფიციენტები</b>				
მირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი	20.47 <sup>1</sup>	20.47	15.15	14.38
<b>სხვა კოეფიციენტები</b>				
კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელთან	23.6% <sup>1</sup>	23.6%	23.4%	39.0%
წმინდა გაუფასურების ხარჯი/შემოსავალთან	1.9% <sup>1</sup>	1.9%	5.8%	7.2%
პორტფელის ჩამოწერა/პორტფელთან	3.1% <sup>1</sup>	3.1%	8.0%	11.0%
ჩამოწერილი პორტფელის ამოღება	8.2% <sup>1</sup>	8.2%	29.4%	17.4%
პორტფელის რესტრუქტურირება პორტფელთან	10.2% <sup>1</sup>	10.2%	18.0%	12.2%
რესტრუქტურირებული პორტფელის ჩამოწერა/პერიოდის განმავლობაში რესტრუქტურირებულ პორტფელთან	13.9% <sup>1</sup>	13.9%	10.5%	28.5%

<sup>1</sup> ახალი 10,000,000 დოლარიანი ემისიის გათვალისწინებით. იმ კოეფიციენტებზე რომლებიც არარელევანტურია ან ემისიის გათვალისწინება სუბიექტურია, მოცემულია ემისიამდე მიღებული მნიშვნელობები

<sup>2</sup> ამ კოეფიციენტის გადათვლის მიზნებისთვის გაკეთებულია დაშვება, რომ მოზიდული თანხა მთლიანად ლიკვიდურ აქტივებში აისახება, თუმცა რეალობაში ასე სავარაუდოდ არ მოხდება და ამ ნაწილის დაახლოებით ნახევარი იქნება ლიკვიდური (1 წელზე ნაკლები ვადიანობით)

<sup>3</sup> ამ კოეფიციენტის დათვლისას შეზღუდული წვდომის დეპოზიტები (2,794 ლარი 2018 წელს, 0 ლარი 2017 წელს) ლიკვიდური აქტივების ჯამში არ არის შეყვანილი.

<sup>4</sup> ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან უარყოფითია (პორტფელის აგრესიული ზრდის გამო), შესაბამისად ამ კოეფიციენტის დათვლა არარელევანტურია

- გრძელვადიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი - კომპანიის გრძელვადიანი სესხები შეფარდებული კაპიტალთან
- ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი - მოგებას დაბეგვრამდე დარიცხებული საპროცენტო ხარჯი შეფარდებული კაპიტალს დამატებული პროცენტთან ვალდებულებებთან
- პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი - მოგება საპროცენტო ხარჯამდე შეფარდებული საპროცენტო ხარჯთან
- მთლიანი ვალის კოეფიციენტი - მიღებული სესხები შეფარდებული მთლიან აქტივებთან
- უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე - მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო აქტივებთან
- უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე - მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო კაპიტალთან
- საერთო მოგების მარჟა - წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების შემდეგ შეფარდებული საპროცენტო შემოსავალთან
- საოპერაციო მოგების მარჟა - მოგება დაბეგვრამდე შეფარდებული საპროცენტო შემოსავალს დამატებული სხვა შემოსავალთან
- წმინდა მოგების მარჟა - წმინდა მოგება შეფარდებული საპროცენტო შემოსავალს დამატებული სხვა შემოსავალთან
- ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები - ფული და ფულის ეკვივალენტებს პლუს მოკლევადიანი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები შეფარდებული მთლიან აქტივებთან
- ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები - ფული და ფულის ეკვივალენტებს პლუს მოკლევადიანი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან
- საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი - საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიან ვალდებულებებთან
- მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი - მოკლევადიანი აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან
- ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი - წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული ძირითად საშალებებთან
- ჩამოწერილი პორტფელის ამოღება - გაყიდული/რე-ლიზინგით გაცემული აქტივები შეფარდებული ჩამოწერილ პორტფელთან
- პორტფელის რესტრუქტურიზაცია/პორტფელთან - რესტრუქტურიზებული პორტფელი შეფარდებული პერიოდების ბოლო საშუალო პორტფელთან
- რესტრუქტურიზებული პორტფელის ჩამოწერა/რესტრუქტურიზებულ პორტფელთან - რესტრუქტურიზებული პორტფელის ჩამოწერა შეფარდებული პერიოდის განმავლობაში რესტრუქტურიზებულ პორტფელთან

ფასიანი ქაღალდების ძირითადი მახასიათებლები

ობლიგაციის საპროცენტო სარგებელი (კუპონი)	ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან, და შეადგენს წლიურად 7.5%. (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „საპროცენტო სარგებელი“ გვ. 123. საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონი) დადგენა ხდება ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე (Book-building) )
სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა	ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება წელიწადში ორჯერ. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2020 წლის 7 თებერვალს
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებებისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები	ობლიგაციებთან დაკავშირებული რამე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები პროსპექტით არ არის გათვალისწინებული
ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის
ობლიგაციების რეიტინგი	ობლიგაციებს რეიტინგი მინიჭებული არ აქვს, თუმცა კომპანიას აქვს Fitch Ratings-იდან მინიჭებული B+/პოზიტიური რეიტინგი
ობლიგაციების განაღდების თარიღი	ობლიგაციების განაღდება, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2021 წლის 9 აგვისტოს.
ობლიგაციონერების წარმომადგენელი	შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“; (ს/ნ 204484628) საქართველო, თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. N71, მე-4 სართ., ოფისი N28. ტელ: (995 32) 2207-407; ელ-ფოსტა: eprem@nplaw.ge
რეგისტრატორი	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“; (ს/ნ 205156374). თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ. #11; ტელ.: (995 32) 2251 – 560; ელ-ფოსტა: info@usr.ge
სავაჭროდ დაშვება	ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, ობლიგაციებს ექნებათ კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული კრედიტორის მოთხოვნის თანაბარი სტატუსი გადახდის უფლებასთან (პრიორიტეტულობასთან) მიმართებაში
დივიდენდების გაცემის პოლიტიკა	კომპანიას არ აქვს გაცხადებული დივიდენდების გაცემის პოლიტიკა და არსებობის მანძილზე არასოდეს გაუცია დივიდენდი

მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის

- მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა, ქვეყნის პოლიტიკამ და საბაზრო პირობებმა შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის საქმიანობაზე.
- აქტივების ხარისხის შენარჩუნების უზრუნველყოფის შესაძლოა არსებითი და უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე;
- კომპანია ბოლო 2 წელი შევიდა ახალ, შედარებით მაღალრისკიან საცალო ბაზარზე („ტურბო“) და ამ სტრატეგიის წარუმატებლობამ შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე;
- კომპანიის სალიზინგო აქტივები და ფინანსური უზრუნველყოფა ან გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიზინგს, შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი ან სრულად ვერ მოხდეს მათი რეალიზება;
- კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს დავალიანებების დაფარვა და შესაძლოა მოუხდეს უფრო მეტი ვალის აღება;
- კომპანია მნიშვნელოვან დაფინანსებას საჭიროებს თავისი საქმიანობისთვის და შესაძლებელია ვერ შეძლოს დროულად საჭირო თანხების მოძიება ხელსაყრელი პირობებით;
- არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია შეძლებს ან გააგრძელებს აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დაცვას დავალიანებების ზრდასთან ერთად. ეს კი ზემოქმედებას მოახდენს ლიკვიდურობაზე და კომპანიის უნარზე, დაფაროს თავისი ვალდებულებები, რაც კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე უარყოფით გავლენას მოახდენს;
- ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარად;
- კომპანიის სადაზღვევო ანაზღაურება შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს, რომ დაფაროს პოტენციური ვალდებულებები ან დანაკარგები.
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსირების ხარჯებზე და შესაბამისად მის ფინანსურ მდგომარეობაზე;
- კომპანიის წარმატება ბიზნესში დამოკიდებულია მის უნარზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი და საკვანძო თანამშრომლები.
- კომპანიას აქვს სხვა საოპერაციო რისკები, რომლებიც მის ბიზნეს-საქმიანობასთან არის დაკავშირებული.
- არ არსებობს გარანტია იმისა, რომ მაკონტროლებელი აქციონერი კვლავაც გააგრძელებს კომპანიის მხარდაჭერას, ხოლო კომპანიის კონტროლის ცვლილებამ კი შეიძლება არსებითი ხასიათის უარყოფითი გავლენა მოახდინოს ლიზინგის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე;
- თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე;
- კომპანიამ შესაძლოა ვერ აღმოაჩინოს ან თავიდან ვერ აიცილოს მისი თანამშრომლების ან მესამე პირების მიერ თაღლითობის ან სხვა არასათანადო საქციელის ჩადენა.
- თუ კომპანია ვერ შეინარჩუნებს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდას, ამან შესაძლოა არსებითი და უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე;
- კომპანიის პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი მშენებლობის სექტორზე მოდის. ამ სექტორთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა სხვადასხვა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე;
- კომპანიის ბიზნესი დამოკიდებულია მისი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების სათანადო ფუნქციონირებაზე. სისტემის გაუმართაობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე;
- დარგები, რომლებშიც კომპანია მონაწილეობს, სულ უფრო კონკურენტული ხდება;
- ახალმა რეგულაციამ, რომელიც ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერებას ეხება, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე;

- კომპანიის რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემებს შესაძლოა ჰქონდეთ ნაკლოვანებები, რომლებმაც შეიძლება ეფექტიანად ვერ შეარბილონ ყველა ის რისკი, რომელთა წინაშეც კომპანია აღმოჩნდება;
- კომპანიის ბიზნესოპერაციებზე ვრცელდება კომპლექსური და ცვალებადი კანონები და რეგულაციები, რომლებიც ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მონაცემთა დაცვას და სხვა საკითხებს;
- კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვას და ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას.
- კორუფციასთან ბრძოლის, მათ შორის, მექრთამეობასთან ბრძოლის კანონებთან შეუსაბამობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის რეპუტაციასა და ბიზნესზე.
- ბიზნეს ოპერაციები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების ეფექტიან და უწყვეტ ფუნქციონირებაზე.
- გაფიცვებმა და სხვა აქციებმა შეიძლება შეაფერხოს კომპანიის ფუნქციონირება ან გააძვიროს კომპანიის ობიექტების ოპერირება.
- ბიზნეს ოპერაციებზე მოქმედებს სტიქიური მოვლენები და ბიზნესის სხვა შეფერხებები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მომავალ შემოსავლებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე და გაზარდოს ხარჯები.
- კომპანიის წინაშე შესაძლოა გაჩნდეს ეპიდემიებთან, ტერორიზმის აქტებთან, ომებთან ან სხვა ბუნებრივ თუ ადამიანის მიერ გამოწვეულ კატასტროფებთან დაკავშირებული გლობალური რისკები.
- კომპანია ანგარიშვალდებული საწარმოა და მასზე დამატებითი რეგულაციები და ანგარიშგების მოთხოვნები ვრცელდება.
- ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.

### *მოკლე ინფორმაცია საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკის ფაქტორების შესახებ*

- რეგიონულმა დამაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე
- არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველოა
- კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით.
- პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე
- შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს
- საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა.
- საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე
- ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს.
- საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს.

მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიკურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის

- ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს;
- ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს;
- საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე;
- ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად;
- ინვესტორები უნდა დაეყრდნონ რეგისტრატორის, ობლიგაციონერების წარმომადგენლის და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ნომინალური მფლობელის პროცედურებს;
- ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას.
- ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს;
- მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე
- ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი

შეთავაზების პირობები

შეთავაზება	10,000,000 აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის ვადით 2021 წლის 9 აგვისტო
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი)
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	1,000 (ათასი) დოლარი
ობლიგაციების რაოდენობა	10,000 (ათი ათასი) ცალი
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	10,000,000 (ათი მილიონი) დოლარი
გამოშვების ფასი	ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%
განთავსების საკომისიო	განთავსების საკომისიო არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 3%-ს. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი
ობლიგაციებიდან მოზიდული წმინდა სახსრები	გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მოზიდული წმინდა სახსრები არ იქნება 9,700,000 აშშ დოლარზე ნაკლები
ობლიგაციების გამოშვების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული იქნება 2019 წლის 7 აგვისტოს
გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით
შეთავაზების დასრულების თარიღი	შეთავაზების დასრულების თარიღია 2020 წლის 30 ივნისი
ობლიგაციების განაღდებას თარიღი	ობლიგაციების განაღდება, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2021 წლის 9 აგვისტოს
სავაჭროდ დაშვება	ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭროს სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე
გამოთვლისა და გადახდის აგენტი	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ 211359206)
დეფოლტი	თუ ადგილი ექნება „დეფოლტის შემთხვევას“ ობლიგაციონერების წარმომადგენელს (და გარკვეულ შემთხვევებში ობლიგაციონერ(ებ)ს და/ან ნომინალურ მფლობელებს) შეუძლია ემიტენტისათვის შეტყობინების გაგზავნით მოითხოვონ ობლიგაციების ძირითადი თანხის 100%-ისა და დარიცხული პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ გადახდა სრული ოდენობით (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, ქვეპუნქტი - 10, „დეფოლტის შემთხვევები“)
ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების სავარაუდო გამოყენება	ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი გამოყენებული იქნება კომპანიის ძირითადი საქმიანობის დასაფინანსებლად (სალიზინგო პორტფელის გასაზრდელად)
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
იურისდიქცია	ობლიგაციებთან დაკავშირებული დავები უნდა მოგვარდეს საქართველოს სასამართლოებისათვის მიმართვის გზით, პროსპექტით განსაზღვრული წესით
განთავსების აგენტი	სს „გალტ ენდ თაგარტი“; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0179, აღმაშენებლის გამზ. N79, ტელ: (995 32) 2444-132 (995 32) 24401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge.

<p>განთავსების აგენტთან ხელშეკრულების ძირითადი პირობები</p>	<p>ხელშეკრულება სს „გალტ ენდ თაგარტს“ ავალდებულებს უზრუნველყოს ობლიგაციების ანდერაიტინგი მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა მოამზადოს ობლიგაციების განთავსების პროსპექტის საჭირო დოკუმენტაცია (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განსაკუთრების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რელიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.</p>
---	--

**ინვესტორზე დაკისრებული შესაძლო დანახარჯები**

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

**შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტები**

ემიტენტი, განთავსების აგენტი, გაანგარიშებისა და ძირითადი თანხის გადამხდელი აგენტი და რეგისტრატორი დაკავშირებული პირები არიან. ამგვარ პირთა მმართველობითი ორგანოების (მმართველი საბჭო / დირექტორთა საბჭო) წევრები შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა დაკავშირებული პირების მმართველ საბჭოში. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგებების დამტკიცების დროს შესაბამისი პირები (და მათი მმართველი საბჭოს წევრები) არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მოქმედებენ (მათ შორის ინტერესთა კონფლიქტთან მიმართებაში) და ყველა ასეთი გარიგება კომერციულ საფუძველზე იდება, ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება დამატებითი რისკი იყოს ინვესტორებისთვის.

კომპანია ინფორმირებული არ არის შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების შესახებ.

## რისკის ფაქტორები

ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება შეიცავს გარკვეულ რისკებს. ინვესტირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე ობლიგაციების პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ წინამდებარე პროსპექტი. პროსპექტში მოცემული სხვა ინფორმაციის გარდა, პოტენციურმა ინვესტორებმა, ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელებამდე, ყურადღებით უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და ინვესტიციათა მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილი რისკებიდან ნებისმიერს შეუძლია არსებითი უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე. ნებისმიერი ამ რისკის რეალურად წარმოქმნის შემთხვევაში ობლიგაციების საბაზრო ღირებულებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება განიცადოს. გარდა ამისა, ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შესაფასებლად. და თუმცა კომპანიას მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შესაძლოა წარმოიქმნას დამატებითი რისკები და გაურკვეველი ვითარება, რომლებიც კომპანიას ამჟამად არ მიაჩნია მნიშვნელოვნად ან რომელთა შესახებ არა აქვს ინფორმაცია, და ნებისმიერს ამ რისკთაგან და გაურკვეველი გარემოებებიდან შესაძლოა მოჰყვეს ქვემოთ აღწერილის მსგავსი ზემოქმედება. შესაბამისად, კომპანია არ ამტკიცებს, რომ ობლიგაციების ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემული რისკების შესახებ განცხადებები ამომწურავია.

### *კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები*

*მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა, ქვეყნის პოლიტიკამ და საბაზრო პირობებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე.*

მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც კომპანიის საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე მნიშვნელოვან გავლენას უმეტესწილად მაკროეკონომიკური მდგომარეობა და საბაზრო პირობები ახდენს. კომპანია თავისი შემოსავლების უდიდეს ნაწილს სალიზინგო მომსახურებიდან იღებს, რომლის გაფართოება ქართულ ბაზარზე სალიზინგო სერვისების მოთხოვნაზე დამოკიდებული. ქართული ეკონომიკის ვარდნამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სალიზინგო მომსახურების მოთხოვნაზე, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნის კომპანიას და მისი ზრდის პერსპექტივას.

კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე ზემოქმედებს აგრეთვე, განვითარებადი მაკროეკონომიკა და ადგილობრივი საბაზრო პოლიტიკა, მათ შორის, ინფლაცია თუ დეფლაცია, სავალუტო კურსის რყევები, წვდომა დაფინანსებასა თუ საპროცენტო განაკვეთების დონეები. ცვლილებებმა სახელმწიფოს მაკროეკონომიკასა თუ პოლიტიკაში შესაძლოა არსებითად და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიისა და ლიზინგის მიმღებების საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. თუ კომპანია დროულად ვერ მოახერხებს თავისი საქმიანობის სტრუქტურის დარეგულირებას ამ ცვლილებების საპასუხოდ და წინასწარ ვერ აირიღებს რისკებს თავიდან, სავარაუდოდ მის საქმიანობას და გეგმებს საფრთხე შეექმნება.

*აქტივების ხარისხის შენარჩუნების უუნარობამ შესაძლოა არსებითი და უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.*

საქმიანობის მდგრადობა და სამომავლო ზრდა ძირითადად დამოკიდებულია კომპანიის სალიზინგო აქტივების ეფექტურად მართვასა და მათი ხარისხის შენარჩუნებაზე, რომლის უმრავლესობა შედგება

ფინანსურ ღირებულებას დაკავშირებული აქტივებისგან (საოპერაციო ღირებულებას დაკავშირებული აქტივები პორტფელის უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს). თუ კომპანიის ფინანსურ ღირებულებას დაკავშირებული აქტივების ხარისხი გაუარესდება, ამან შეიძლება კომპანიის საქმიანობასა და საოპერაციო შედეგებზე არსებითი და არასასურველი ზეგავლენა იქონიოს. 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით დასაკუთრებული აქტივების წილი კომპანიის მთლიან აქტივებში შეადგენდა 11%-ს. იგივე მაჩვენებელი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 10% იყო. (დასაკუთრებულ აქტივებში შედის ის აქტივები, რომელთა დასაკუთრება მოხდა კლიენტის მხრიდან დავალიანების გადაუხდელობის გამო. ასეთ შემთხვევაში, ხდება შესაბამისი დებიტორული დავალიანების ჩამოწერა, აქტივის გადაფასება და ბალანსზე აღრიცხვა - „საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები“ მუხლში).

კომპანიის მიერ დასაკუთრებული აქტივები შეიძლება გაიზარდოს მისი სალიზინგო აქტივების პორტფელის გაუარესების გამო. კომპანია მუდმივად აუმჯობესებს საკუთარ ბიზნეს მოდელს (აქტივების მართვასა და რისკების მართვას, განსაკუთრებით, საკრედიტო რისკების მართვას) და იღებს ზომებს ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივების დონეების შესამცირებლად. მიუხედავად ამისა, კომპანიამ შეიძლება მომავალში ეფექტურად ვერ გააკონტროლოს ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივები სალიზინგო აქტივების პორტფელში.

მომავალში კომპანიის სალიზინგო პორტფელი შეიძლება სხვადასხვა მიზეზით გაუარესდეს და მათ შორის ისეთი მიზეზებით, რომლებსაც კომპანია ვერ გააკონტროლებს. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკური ზრდის შენელება, საკრედიტო კრიზისის განვითარება ქვეყანაში ან არასასურველი საბაზრო ტენდენციები. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის პორტფელი საკმაოდ დივერსიფიცირებული და მრავალდარგობრივია, გამომდინარე ღირებულების მიმდებარე საქმიანობის დარგებიდან, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება იმ დარგებში, სადაც ღირებულების მიმდებარე საქმიანობენ, შეიძლება უარყოფითად აისახოს მათ ოპერაციებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე, რაც გავლენას მოახდენს მათ მიერ ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე და შესაძლოა დეფოლტიც მოჰყვეს. სხვა ფაქტორები, რომლებსაც კომპანია ვერ აკონტროლებს და რომლებიც შეიძლება ღირებულების ფინანსურ მდგომარეობაზე აისახოს, მოიცავს:

- საოპერაციო ხარჯების ზრდას;
- სამუშაო ძალის უკმარისობას;
- საპროცენტო განაკვეთებისა და ფინანსური ხარჯების რყევებს;
- ღირებულების მიმდებარე სხვა ფინანსურ მხარდაჭერასთან წვდომას;
- ეკონომიკურ პირობებს და სავალუტო რყევებს იმ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც ღირებულების მიმდებარე საქმიანობას ეწევა;
- კონკურენციას ღირებულების მიმდებარე დარგში;
- სამთავრობო რეგულაციებს და მასთან დაკავშირებულ გადასახადებს, რაც ზეგავლენას ახდენს ღირებულების მიმდებარე საქმიანობაზე; და გეოპოლიტიკურ და სხვა სახის მოვლენებს, მათ შორის ომის დაწყებას, ტერორისტულ აქტებს, ინფექციური დაავადებების გავრცელებასა და ბუნებრივ კატასტროფებს.

*კომპანია ბოლო ორი წელია შევიდა ახალ, უფრო მაღალრისკიან სავალუტო ბაზარზე („ტურბო“) და ამ სტრატეგიის წარმატებლობამ შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.*

2017 წლის სექტემბერში კომპანია უფრო მაღალშემოსავლიან და ასევე შედარებით მაღალრისკიან საცალო ბაზარზე შევიდა „ტურბო“-ს სახით. ეს არის სწრაფი ლიზინგი ფიზიკური პირებისთვის, რომლებზეც ლიზინგის გაცემა საკმაოდ ზრდის კომპანიის საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთები ამ პროდუქტზე შედარებით მაღალია (საშუალოდ ეფექტური 40%-ზე მეტი), არის იმის რისკი, რომ „ტურბოს“ მომხმარებლების დიდმა ნაწილმა ვერ შეძლოს ლიზინგის შენატანების გადახდა, კომპანიამ ვერ შეძლოს დასაკუთრებული აქტივის სწრაფად გაყიდვა ან ხელახალი ლიზინგი და წაგება ნახოს პორტფელის დიდ ნაწილზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზღვართან დაკავშირებული ახალი რეგულაციით, შესაძლებელია მხოლოდ 50%-ზე დაბალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით სესხების გაცემა. მიუხედავად იმისა, რომ ტურბოს არსებული საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 40%-ია, არსებობს რისკი იმისა, რომ აღნიშნული რეგულაცია საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის დაწესებაზე უარყოფით გავლენას იქონიებს „ტურბოს“ პორტფელისა და მომგებიანობის ზრდაზე.

***კომპანიის სალიზინგო აქტივები და ფინანსური უზრუნველყოფა ან გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიზინგს, შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი ან სრულად ვერ მოხდეს მათი რეალიზება.***

კომპანია სალიზინგო აქტივებს განიხილავს როგორც უზრუნველყოფას და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (მაღალრისკიან შემთხვევებში) მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს უძრავ ქონებას. სალიზინგო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვადების არსებითი დარღვევის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია, განკარგოს/გაყიდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია სალიზინგო ხელშეკრულების დასრულებისას ამოწმებს უზრუნველყოფაში დაგირავებულ ქონებას, მისი ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს და არსებითი და უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მოექცეს ისეთი ფაქტორებით, როგორცაა, მიყენებული ზიანი, ჭარბი მიწოდება, დევალვაცია ან ბაზარზე მოთხოვნის შემცირება.

ანალოგიურად, გარანტორთა ფინანსური მდგომარეობის თუ კრედიტუნარიანობის არსებითმა გაუარესებამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს იმ თანხებზე, რომლებიც კომპანიას უნდა ამოეღო შესაბამისი გარანტიებით. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სალიზინგო ხელშეკრულების პერიოდში გარანტორთა ფინანსური მდგომარეობა მოულოდნელად არ გაუარესდება ან ისინი არ გაკოტრდებიან.

თუ სალიზინგო აქტივების ფასი, ან დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა თუ გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიზინგს, არასაკმარისი აღმოჩნდება გადასახადების დროულად გადაუხდელობით გამოწვეული დანაკარგის ასანაზღაურებლად, კომპანიას შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვება ლიზინგის მიმღებებისგან, თავდები პირებისგან ან სხვა წყაროებისგან. ეს უფლება გაწერილია ლიზინგის ხელშეკრულებაში, თუმცა არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვებას შეძლებს. სალიზინგო აქტივების, ლიზინგის უზრუნველყოფისა და გარანტიების ღირებულების შემცირებამ ან კომპანიის უუნარობამ, მოიპოვოს დამატებითი უზრუნველყოფა, შესაძლოა აიძულოს კომპანია, შექმნას დამატებითი რეზერვები ან ჩამოწეროს ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივები, რაც, თავის მხრივ, არსებითად და უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ლიზინგის მიმღების დეფოლტის შემთხვევაში, კომპანიამ შესაძლოა ვერ მოახდინოს სალიზინგო აქტივების ლიკვიდაცია ან სხვა მხრივ რეალიზება, განსაკუთრებით მაშინ, თუ არ იარსებებს ლიკვიდური ბაზარი შესაბამისი აქტივების რეალიზაციისთვის. ასევე შესაძლებელია, რეალიზაციიდან მიღებული თანხები არ აღმოჩნდეს საკმარისი სალიზინგო ვალდებულების დასაფარად. გარდა ამისა, შესაძლებელია

უზრუნველყოფის ლიკვიდაციის თუ რეალიზაციის პროცედურები დროში გაგრძელდეს და ეს უზრუნველყოფაც არალიკვიდური აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, რთული იქნება დაკისრებული საზღაურების თუ გირაოს გადახდევინება. 2017 წლამდე კომპანიას არ უწარმოებია პრობლემური აქტივების რეალიზაცია/რელიზინგის ვადების აღრიცხვა. 2017 წლის სტატისტიკით კი აქტივის დასაკუთრებიდან მის გაყიდვამდე/რელიზინგამდე საშუალო მაჩვენებელი 79 დღეა. 2018 წლის სტატისტიკით ეს მაჩვენებელი 85 დღემდე გაიზარდა, რაც გამოწვეულია რამდენიმე სპეციალიზირებული სალიზინგო აქტივის დაგვიანებული გაყიდვით. გარკვეულ გარემოებებში, კომპანიის უფლება, დაისაკუთროს უზრუნველყოფა, შეიძლება სუბორდინირებული იყოს სხვა მხარეების უფლებების მიმართ (მაგალითად ჯვარედინი დეფოლტის შემთხვევაში). ნებისმიერმა გარემოებამ ზემოთ ჩამოთვლილთაგან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის შესაძლებლობაზე, დროულად ამოიღოს ან საერთაშორისო სალიზინგო აქტივების ღირებულება ან ლიზინგის უზრუნველყოფა.

### *კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს დავალიანებების დაფარვა და შესაძლოა მოუხდეს უფრო მეტი ვალის აღება*

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის ბიზნესი აქტივების ზრდაზეა დაფუძნებული, და აღნიშნული ძირითადად სესხით ფინანსდება, კომპანიას მოუწევს დავალიანების მაჩვენებლის შენარჩუნება მაღალ ნიშნულზე. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის სასესხო ვალდებულებები 92,232 ათას ლარს შეადგენდა, ეს მაჩვენებელი 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი 5%-ით მეტი, 96,824 ათასი ლარი იყო. ამ თარიღებში კომპანიის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი (სასესხო ვალდებულებებს მინუს ფული და ფულადი ექვივალენტები, შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან) შესაბამისად, 4.3x და 4.2x იყო. ზოგიერთ ფინანსურ გარიგებაში კრედიტორები უფლებამოსილები არიან, კომპანიას ვალეების გადახდა ვადამდე მოსთხოვონ, თუ წინსწრებით გადახდის ვალდებულება გაჩნდება, როგორცაა გარკვეული რეგულაციური მაჩვენებლების დარღვევა, განსაზღვრული ვალი/უზრუნველყოფის ღირებულების თანაფარდობის ან უიმედო აქტივების წილის მისაღები დონის შეუსრულებლობა. არ არსებობს გარანტია, რომ მსგავსი შემთხვევები არ მოხდება. წინსწრებით გადახდის ვალდებულება შეამცირებს კომპანიის სამუშაო კაპიტალს და ლიკვიდურობას და, შესაბამისად, ნეგატიურ გავლენას მოახდენს მისი დაფინანსების უზრუნველყოფაზე.

მიმდინარე ვალეების, საოპერაციო საქმიანობის დაფინანსებისა და ბიზნესის გაფართოების მიზნით ფულადი სახსრების ადეკვატური დონის შესანარჩუნებლად კომპანიას დასჭირდება დამატებითი თანხების მოძიება ბანკებისგან ან სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ შეძლებს დამატებითი თანხების მოძიებას, ეს უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და გაფართოების შესაძლებლობებზე.

### *კომპანია მნიშვნელოვან დაფინანსებას საჭიროებს თავისი საქმიანობისთვის და შესაძლებელია ვერ შეძლოს დროულად საჭირო თანხების მოძიება*

კომპანიის ბიზნესი აქტივების ზრდაზეა დაფუძნებული (შემოსავლის ზრდის აუცილებელი ფაქტორია აქტივის ზრდა, რაც გამოწვეულია სალიზინგო პროდუქტების რეალიზაციით), რაც მნიშვნელოვან დაფინანსებას საჭიროებს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდის შესანარჩუნებლად და ოპერაციების და ვალეების დასაფინანსებლად. კომპანიას დავალიანების ძირითადი თანხისა და პროცენტების დასაფარად მსხვილი თანხების გადახდა უწევს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია საკმაოდ დიდ თანხებს გამოიმუშავებს სალიზინგო ოპერაციებით, ნაღდ ფულზე მოთხოვნის დაკმაყოფილება გრძელვადიან პერსპექტივაში ითხოვს საგრძნობ ლიკვიდურობას და სტაბილურ წვდომას სხვადასხვა ფინანსურ წყაროზე. კომპანია ოპერაციებისა და საქმიანობის გაფართოების დასაფინანსებლად ძირითადად საბანკო კრედიტებს, გამოშვებულ

ობლიგაციებსა, საწესდებო კაპიტალში ფულად შენატანებსა და ბიზნესოპერაციებიდან მიღებულ თანხებს იყენებს. თუ კომპანია ვერ შეინარჩუნებს დაფინანსების არსებულ სქემას კომერციულად მისაღები პირობებით, მას შესაძლოა დასჭირდეს დაფინანსების მოძიება ალტერნატიული წყაროებიდან. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია დროულად შეძლებს დაფინანსების მოძიებას ახალი წყაროებიდან მისაღები პირობებით, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე..

**არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია შეძლებს ან გააგრძელებს აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დაცვას დავალიანებების ზრდასთან ერთად, რაც ზემოქმედებას მოახდენს ლიკვიდურობაზე და კომპანიის უნარზე, დაფაროს თავისი ვალდებულებები**

კომპანია მუდმივ რეჟიმში ცდილობს, შეუსაბამოს დაფინანსების ვადები (სესხის ვადიანობა) თავის აქტივებს (სალიზინგო დავალიანებები). მიუხედავად ამისა, მან შეიძლება ვერ შეძლოს დავალიანების დაფარვის ვადებისა და ვალდებულებების ეფექტურად დაბალანსება, ან შეიძლება მან ვერ მართოს ლიკვიდურობის რისკები სესხებისა და სალიზინგო აქტივების მხრივ, რაც თავისთავად ლიკვიდურობის დეფიციტს გამოიწვევს და კომპანიამ შეიძლება ვერ მოახერხოს ვადამოსული ვალების დაფარვა, რაც არსებითად და უარყოფითად იმოქმედებს მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

**ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად.**

კომპანია ქმნის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვს საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების ("ბასს") შესაბამისად. კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება მისი შიდა რეზერვირების პროცედურებისა და სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე, რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა ლიზინგის მიმღებების და მათი საქმიანობის სფეროს მახასიათებლები, მათი კრედიტუნარიანობა, ეკონომიკური პირობები და ტენდენციები, გადაცდომები და ძირითადი გირაოს და გარანტიების ღირებულება.

ვინაიდან საბუღალტრო სტანდარტების შესაბამისად მომავალი საკრედიტო რისკები გარკვეული პერიოდის განმავლობაში საჭიროებს არსებით განსჯასა და შეფასებას, კომპანიამ შესაძლოა სათანადოდ ვერ შეაფასოს მომავალი რისკები და ამდენად, რეზერვი შეიძლება არაადეკვატური იყოს ფაქტიური საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად. კომპანიის მიერ შექმნილი რეზერვი შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს, თუ საქართველოს ეკონომიკაში გაუთვალისწინებელი ან არასასურველი ცვლილებები მოხდება, ან თუ სხვა მოვლენები უარყოფითად იმოქმედებს კონკრეტულ ლიზინგის მიმღებზე, დარგზე ან ბაზარზე. ასეთ გარემოებებში კომპანიას შესაძლოა დამატებითი რეზერვი დასჭირდეს თავისი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივებისთვის, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს კომპანიის მოგებას და მატერიალურად და უარყოფითად იმოქმედებს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

**კომპანიის სადაზღვევო ანაზღაურება შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს, რომ დაფაროს პოტენციური ვალდებულებები ან დანაკარგები.**

კომპანია, როგორც წესი, ლიზინგის მიმღებებისგან მოითხოვს, რომ ლიზინგის კონტრაქტების ფარგლებში აუნაზღაურონ და დააზღვიონ ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას შეიძლება წარმოექმნას სალიზინგო აქტივების გამოყენების და მათი ექსპლუატაციის, აგრეთვე ქონებისთვის მიყენებული ზიანის და დაკარგვის გამო. კომპანიის ლიზინგის მიმღებები ვალდებულები არიან, კომპანიის მოთხოვნის შესაბამისად შეიძინონ დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებისგან. სადაზღვევო პოლისი ლიზინგის კონტრაქტის იდენტური ვადიანობის უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტების გაფორმებისას კომპანიამ შესაძლოა შეზღუდოს სალიზინგო ქონების გამოყენება (მაგალითად, გეოგრაფიულად), რათა თავიდან იქნეს აცილებული მომავალი რისკები, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მომავალში კომპანიას არ შეეხება სალიზინგო აქტივებიდან გამომდინარე პრეტენზიები.

არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ ლიზინგის მიმღებების დაზღვევა და კომპანიის მიერ გაწეული რომელიმე პირობითი დაზღვევა ადეკვატური ან საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დაფაროს ყველა სახის პრეტენზია რომელიც შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ აღძვრას. ნებისმიერ სადაზღვევო დაფარვის დეფიციტს ან სადაზღვევო ვალდებულებების შეუსრულებლობას და ზარალის ანაზღაურებაზე უარს ლიზინგის მიმღებების მხრიდან შეუძლია შეამციროს კომპანიის შემოსავლები ზარალის შემთხვევაში და დაუზღვეველი ვალდებულებები წარმოუქმნას კომპანიას, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მის მიერ ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების უნარზე.

***საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.***

ვინაიდან ლიზინგიდან მიღებულ კომპანიის შემოსავალზე და პროცენტებზე, რომლებსაც ის დავალიანებაზე იხდის, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ახდენს ზეგავლენას, ამ განაკვეთების დიდი ცვალებადობა ბაზარზე პირდაპირ იმოქმედებს დაფინანსების ხარჯებზე, ლიზინგის შემოსავალზე და სუფთა საპროცენტო მარჟაზე და, თავის მხრივ, გავლენის ქვეშ მოექცევა კომპანიის მომგებიანობის მარჟები და ფინანსური მდგომარეობაც. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობა განპირობებულია იმ ფაქტორებით, რომელთა გაკონტროლება კომპანიას არ შეუძლია, მაგალითად, საბანკო და საფინანსო სექტორების ნორმატიული ჩარჩოებით და საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოთი.

***კომპანიის წარმატება ბიზნესში დამოკიდებულია მის უნარზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი და საკვანძო თანამშრომლები.***

კომპანია საქმიანობას ეწევა სულ უფრო კონკურენტულ საბაზრო გარემოში, სადაც აუცილებელია მაღალი დონის სპეციალური ცოდნა სალიზინგო აქტივების ეფექტიანი მართვისათვის. კომპანიის წარმატება დამოკიდებულია მისი უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის გუნდის და საკვანძო თანამშრომლების განუხრელ მუშაობაზე. კომპანიის უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი გადამწყვეტ როლს ასრულებს მის ოპერაციებში. თითოეულ მათგანს აქვს საქართველოს ფინანსურ ან ლიზინგის ინდუსტრიაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და ისინი კოლექტიურად ფლობენ კომპანიის ბიზნესის ძირითადი მიმართულებების, მომხმარებლებისა და კონკურენტების, ასევე ბიზნესთან დაკავშირებული კანონების შესახებ საფუძვლიან ცოდნას. ამიტომ მათ არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ კომპანიის მიერ წარმატების მისაღწევად აუცილებელი სტრატეგიების ფორმულირებასა და განხორციელებაში. თუმცა უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის გუნდის წევრებმა და საკვანძო თანამშრომლებმა შეიძლება ნებაყოფლობით შეწყვიტონ კომპანიაში მუშაობა ან დატოვონ თავიანთი პოზიციები ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც სცილდება კომპანიის კონტროლის ფარგლებს. უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის გუნდიდან რომელიმე წევრის და რომელიმე საკვანძო

თანამშრომლის მიერ სამსახურის დატოვებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს კომპანიის მოქმედების უნარს და დააზარდოს ბიზნესისა და ზრდის სტრატეგიების განხორციელებისკენ მიმართული მისი ძალისხმევა. კომპანიამ გონივრულ ვადაში შესაძლოა ვერ მოახერხოს მათი ჩანაცვლება ეკვივალენტური ცოდნისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლებით.

კომპანიის საქმიანობის წარმატება ასევე დამოკიდებულია მის უნარზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს კვალიფიციური თანამშრომლები მისი ოპერაციების საწარმოებლად. მას ასევე შეიძლება დასჭირდეს მაღალი ანაზღაურების და სხვა სარგოების შეთავაზება საკვანძო თანამშრომლების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად და ანაზღაურება და სარგოები შესაძლოა არაპროგნოზირებადი სახით ან იმაზე უფრო მაღალი ტემპით გაიზარდოს, ვიდრე კომპანიის შემოსავლები. ამას ასევე შეუძლია არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

**კომპანიას აქვს სხვა საოპერაციო რისკები, რომლებიც მის ბიზნეს-საქმიანობასთან არის დაკავშირებული:**

- ერთ კლიენტზე დამოკიდებულების ხარისხი - 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით კომპანიის პორტფელის 14.4% (31/12/2018: 16%) ხუთ კლიენტზეა კონცენტრირებული. აქედან პორტფელის 8.3% (31/12/2018: 10%), ყველაზე მსხვილ ორ კლიენტზე მოდის 5.5% და 2.8% (31/12/2018: 5.6% და 3.9%), შესაბამისად. დანარჩენი კლიენტების პროპორცია კი მთლიან პორტფელში 2.4%-ს არ აღემატება. კომპანიამ შეიძლება გააზრებულად ან გაუთვითცნობიერებლად (თუ არ იცის ლიზინგის მიმღებებს შორის არსებული კავშირების შესახებ) გასცეს აქტივები ლიზინგით ერთი და იმავე აქციონერის დაქვემდებარებაში არსებული კომპანიების ჯგუფებზე, რითიც კიდევ უფრო გაზარდოს კონცენტრაცია და შესაბამისად პორტფელის რისკიც.
- სექტორზე დამოკიდებულების ხარისხი - 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით კომპანიის კორპორაციული პორტფელი შეადგენს მთლიანი პორტფელის 68%-ს და ძირითადად კონცენტრირებულია 2 წამყვან (მშენებლობა და მომსახურება) სექტორზე (ჯამში კორპორაციული პორტფელის 24% და 26%). ასევე იმ შემთხვევაში, თუ კიდევ უფრო გაიზრდება კონკრეტულ სექტორზე/სექტორებზე კონცენტრაციის ხარისხი მნიშვნელოვნად მოიმატებს პორტფელის რისკი, რადგან კომპანიის მომგებიანობა დამოკიდებული გახდება კონკრეტულ სექტორზე, ამ სექტორში წარმოქმნილი პრობლემები კი დიდწილად აისახება კომპანიაზეც.
- კლიენტის შესაბამისობა - კლიენტებს ან მათ აქციონერებს შეიძლება ჰქონდეთ ცუდი საკრედიტო ისტორია, რომელიც მოიცავს ვადაგადაცილებულ გადასახადებსა და დაუფარავ ვალდებულებებს, რაც მათ კრედიტუნარიანობას მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს.
- აქტივების ფასების შეფასების საიმედოობა - მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მუშაობს საიმედო მწარმოებლებთან, პორტფელის აქტივების გარკვეული ნაწილი, მეორადი აქტივებისგან შედგება; უფრო მეტიც, არსებობს შემთხვევები, როდესაც კლიენტს ნაკლებად ცნობილი მწარმოებლის აქტივი სჭირდება, რომელიც მას დაბალ ფასს სთავაზობს. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანი ხდება აქტივის ობიექტური/რეალისტური შეფასება - შეფასება კეთდება კომპანიის შემფასებელთა ჯგუფის მიერ (საოპერაციო მიზნებისთვის). ამ ჯგუფის მიერ დადგენილი ღირებულებები, შესაძლოა არ ემთხვეოდეს აქტივის სამართლიან ღირებულებას რამაც კომპანიას შესაძლოა მოუტანოს ზარალი. გარდა ამისა, კომპანია ჩამოწერილი აქტივების შეფასებას აკეთებს დამოუკიდებელი შემფასებლის მეშვეობით. აქტივების შეფასება ხდება როგორც ჩამოწერის მომენტში, ასევე ყოველწლიურად. არსებობს რისკი იმისა, რომ აღნიშნული შეფასება შესაძლოა სრული სიზუსტით არ ასახავდეს აქტივების სამართლიან ღირებულებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საშემფასებლო საქმიანობა საქართველოში არ რეგულირდება (გარდა კომერციული ბანკებისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაწერილი რეგულაციის შესაბამისად).
- გამყიდველის რისკი - მიუხედავად იმისა, რომ კომპანია აქტივს ყიდულობს მხოლოდ მაღალი რეპუტაციის მქონე მომწოდებლებისგან, მაინც არსებობს რისკი, რომ გამყიდველმა შეიძლება მიიღოს წინასწარი გადახდა, მაგრამ არ გადასცეს აქტივი კომპანიას ან/და მიაწოდოს აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს შეთანხმებულ პარამეტრებს, რაც სრულად კომპანიის რისკია. კომპანიისთვის ეს რისკი შემოსაზღვრულია წინასწარ გადახდილი თანხით, რომელიც მომწოდებლების მიხედვით

განსხვავებულია. კომპანიას თითოეულ მომწოდებელთან ურთიერთობა დარეგულირებული აქვს შესაბამისი კონტრაქტებით, თუმცა გარკვეული რისკი (მცირე მასშტაბებით) მაინც რჩება. ისტორიულად კომპანიას 2015 წელს დაახლოებით 635,000 ლარის ოდენობის ხარჯი აქვს აღიარებული (წინასწარ გადახდილი ხარჯების ჩამოწერა). თუმცა მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ, აღნიშნული მიმართულებითაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა რისკების მართვის კუთხით და 2016 ეს ხარჯი დაახლოებით 136,800 ლარამდე შემცირებული, 2017 წლის შემდეგ კომპანიას მსგავსი ტიპის ხარჯი არ ჰქონია. ამ გაუმჯობესების მიუხედავად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანიას მომავალში მსგავსი ტიპის ხარჯები არ წარმოეშება.

- იურიდიული / საპროცესო რისკი - კომპანიის თანამშრომლებმა შეიძლება შეცდომა დაუშვან ხელშეკრულების შედგენისას, აქტივების დაზღვევისას ან მომხმარებლისათვის აქტივის გადაცემისას სხვა საკითხებთან ერთად.
- კლიენტის თაღლითობის რისკი - კლიენტს შეუძლია გააყალბოს ფინანსური უწყისები და არასწორი ინფორმაცია წარმოადგინოს კლიენტის ზომის, მასშტაბის და შესაძლებლობების შესახებ.

*არ არსებობს იმის გარანტია, რომ მაკონტროლებელი აქციონერი კვლავაც გააგრძელებს კომპანიის მხარდაჭერას, ხოლო კომპანიის კონტროლის ცვლილებამ კი შეიძლება არსებითი ხასიათის უარყოფითი გავლენა მოახდინოს ლიზინგის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.*

კომპანია ბევრ ასპექტში იღებს მისი 100%-იანი წილის მფლობელის, სს საქართველოს ბანკის მხარდაჭერას.

კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოს ბანკთან თანამშრომლობით, რომელსაც მომხმარებელთა ფართო წრე და ძლიერი მარკეტინგული რესურსი აქვს. კომპანიის საკრედიტო პოზიციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს „საქართველოს ბანკი“. ეს ხელს უწყობს კომპანიის დაფინანსების ხარჯების შემცირებას, დაფინანსების არხების გაფართოებას და განამტკიცებს მის პოზიციას სხვადასხვა გარიგების დადების დროს.

თუ „საქართველოს ბანკის“ მხარდაჭერა კომპანიის მიმართ შეიცვლება, ამან შესაძლოა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს.

*თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე.*

მართალია, კომპანიამ განახორციელა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და „იცნობდე შენს მომხმარებელს“ ყოველმხრივი პოლიტიკა და იცავს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის გამოყენება ფულის გათეთრების ხელშემწყობ საშუალებად, თუმცა არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ზომები სრულად ეფექტიანი გამოდგება. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს დროული ანგარიშგების მოთხოვნებს ან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სხვა რეგულაციებს, ან თუ იგი ასოცირებული იქნება ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე. გარდა ამისა, ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობას შეიძლება მოჰყვეს მარეგულირებელი ჯარიმები და სანქციები.

*კომპანიამ შესაძლოა ვერ აღმოაჩინოს ან თავიდან ვერ აიცილოს მისი თანამშრომლების ან მესამე პირების მიერ თაღლითობის ან სხვა არასათანადო საქციელის ჩადენა.*

შესაძლებელია, რთული აღმოჩნდეს კომპანიის თანამშრომლების მიერ თაღლითობის (ან სხვა არასათანადო საქციელის, როგორც არის უნებართვო ბიზნესგარიგებები, მექრთამეობა და შიდა პოლიტიკისა და პროცედურების დარღვევა), ან მესამე პირების მიერ დარღვევების, როგორც არის კანონის დარღვევა, გამოვლენა ან თავიდან აცილება. ამან შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზიანი კომპანიისთვის და ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მისთვის სანქციების დაკისრება. ამავე დროს, სერიოზულად დაზარალებული მისი რეპუტაცია. ამან ასევე შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს კომპანიის უნარზე, ეფექტიანად მოიზიდოს პოტენციური მომხმარებლები, მოიპოვოს მომხმარებელთა ლოიალობა, მიიღოს დაფინანსება ხელსაყრელი პირობებით, მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში და განახორციელოს სხვა ბიზნეს-საქმიანობა.

კომპანიის რისკების მართვის სისტემები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები და შიდა კონტროლის პროცედურები მიზნად ისახავს, მონიტორინგი გაუწიოს კომპანიის ოპერაციებს და ზოგადად მის შესაბამისობას მოქმედ კანონებსა და რეგულაციებთან. თუმცა კომპანიამ შესაძლოა დროულად ან საერთოდ ვერ მოახერხოს დარღვევების ან საეჭვო გარიგებების იდენტიფიცირება. გარდა ამისა, ყოველთვის არ არის შესაძლებელი თანამშრომლების ან მესამე პირების მიერ თაღლითობის ან სხვა არასათანადო საქციელის ჩადენის გამოვლენა და პრევენცია და ის გამაფრთხილებელი ზომები, რომლებსაც კომპანია ახორციელებს ამგვარი ქცევის თავიდან ასაცილებლად და გამოსავლენად, შესაძლოა არ აღმოჩნდეს ქმედითი. ამიტომ კომპანიის წინაშე დგას რისკი, რომ ადრე ჩადენილი ყოფილიყო, მაგრამ არ ყოფილიყო გამოვლენილი თაღლითობა ან სხვა არასათანადო საქციელი, ან რომ ასეთი რამ მომავალში მოხდეს. ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

*თუ კომპანია ვერ შეინარჩუნებს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდას, ეს არსებით და უარყოფით გავლენას მოახდენს მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.*

კომპანიის შემოსავლები ფინანსური ლიზინგიდან წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლებს ფინანსური ლიზინგისა და უკულიზინგის საქმიანობიდან. 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ლიზინგის პორტფელი (დებიტორული დავალიანება) შესაბამისად 45,424 და 88,081 ათას ლარს შეადგენდა. 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 94,164 ათას ლარამდე გაიზარდა. სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდაზე შეიძლება საქართველოს ეკონომიკურმა პირობებმა ან სხვა მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა იმოქმედონ, მაგალითად, მშპ-ს ზრდამ, ინფლაციის დონისა და საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ, ისევე როგორც, სალიზინგო კანონმდებლობისა თუ სამთავრობო რეგულაციების ცვლილებებმა. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია შეძლებს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდის შენარჩუნებას მომავალში.

*კომპანიის პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი მშენებლობის სექტორზე მოდის. ამ სექტორთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა სხვადასხვა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.*

სამშენებლო სექტორში მოქმედი კომპანიების შემოსავლები შესაძლოა შემცირდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების შედეგად, პასუხისმგებლიან დაკრედიტებასთან დაკავშირებით. ბინის შეძენის მსურველთა ნაწილი ვერ შეძლებს საკმარისი ოდენობის სესხის აღებას ბინის შესაძენად, რაც ამ სექტორში მოთხოვნას საკმაოდ შეამცირებს, შესაბამისად, შემცირდება სამშენებლო სექტორის შემოსავლებიც.

გარდა ამისა, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ დადგენილებაში ცვლილებები შევიდა. ცვლილებების შედეგად, როგორც ნებართვის აღების პროცედურები, ასევე მშენებლობის წარმართვის მოთხოვნები საკმაოდ გამკაცრდა. ამასთანავე, 4,000 კვ.მ-ზე დიდი ნაგებობის მშენებლობის ნებართვის მისაღებად დეველოპერებს საწყის ეტაპზევე დასჭირდებათ სატრანსპორტო კვლევისა და სატრანსპორტო რეგულირების სქემის წარმოდგენა. ამ ყველაფერთან ერთად შესაძლოა, რომ მშენებლობასთან დაკავშირებული რეგულაციები კიდევ უფრო გამკაცრდეს. გამკაცრებული რეგულაციების დაგვა შესაძლოა გაუჭირდეთ კომპანიის არსებულ კლიენტებს, რაც უარყოფითად აისახება მათ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ზემოხსენებულზე დაყრდნობით, არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ ვერ შეინარჩუნოს პორტფელის ზომა და ხარისხი ამ სექტორთან მიმართებაში. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სამშენებლო პორტფელის შემცირების შემხვევაში. კომპანია შეძლებს წარმატებით ჩაანაცვლოს იგი სხვა სექტორის კომპანიების დაფინანსებით, რაც უარყოფითად აისახება მის ფინანსურ შედეგებზე.

### ***კომპანიის ბიზნესი დამოკიდებულია მისი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების სათანადო ფუნქციონირებაზე.***

საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები მოწყვლადია რამდენიმე პრობლემის მიმართ, მათ შორის კომპიუტერული ვირუსების, არავტორიზებული წვდომის, სერვერის ფიზიკური დაზიანების და კომპიუტერული პროგრამის ან აპარატურის გაუმართაობის წინაშე. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების ნებისმიერმა შეფერხებამ ან მათი უსაფრთხოების დარღვევამ შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ისეთ ბიზნესოპერაციებზე, როგორცაა მომხმარებლის დროული მომსახურება, ფინანსური მონაცემების სწორად აღრიცხვა და ბიზნესის და მომხმარებლის დაგვა ფინანსური თაღლითობის თუ ქურდობისგან. ბიზნესოპერაციების კომპრომეტირების შემთხვევაში, დაზარალება კომპანიის რეპუტაცია და შემცირდება კლიენტის ნდობა ბიზნესის მიმართ და კომპანიამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები განიცადოს, რაც სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

გარდა ამისა, არანაირი გარანტია არ არის, რომ ფინანსური თუ ტექნიკური შეზღუდვების გამო, კომპანია შეძლებს, ფეხი აუწყოს უახლეს ტექნოლოგიურ განვითარებას. თუ კომპანია ვერ შეძლებს წარმატებით განახორციელოს ან დაასრულოს კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების და ინფრასტრუქტურის დაგეგმილი განახლება ან/და ბიზნეს ოპერაციების და საპროგრამო უზრუნველყოფის ადაპტირება, ეს სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

### ***დარგები, რომლებშიც კომპანია მონაწილეობს, სულ უფრო კონკურენტული ხდება***

ლიზინგის ინდუსტრია სწრაფად ვითარდება და სულ უფრო კონკურენტული ხდება. მართალია, საქართველოს ლიზინგის ინდუსტრიას განვითარების ჯერ კიდევ დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია შეძლებს შეინარჩუნოს არსებული პოზიციები სულ უფრო ინტენსიური კონკურენციის ფონზე. კომპანიის ზოგიერთ კონკურენტს შესაძლოა ჰქონდეს მეტი ფინანსური და მმართველობითი რესურსები, ვიდრე კომპანიას, ასევე მომხმარებელთა ქსელები და ურთიერთობები, უფრო დაბალი ფინანსური ხარჯები და რისკებისადმი უფრო მაღალი ტოლერანტობა ან რისკების შეფასების იმგვარი განსხვავებული მეთოდები, რომ მათ შეძლონ განიხილონ ან ხელი მიუწვდეთ უფრო მრავალფეროვან

ინვესტიციებზე, დაამყარონ მეტი ურთიერთობები და უფრო აქტიურად გააკეთონ ფასების შეთავაზება გასაყიდი აქტივებისათვის. გარდა ამისა, კომპანიის ზოგიერთმა კონკურენტმა შესაძლოა პერსპექტიული ლიზინგის მიმღებებს შესთავაზონ უკეთესი პირობები, ვიდრე კომპანიამ.

კომპანიის საქმიანობა უმთავრესად მოიცავს მშენებლობის, წარმოების და მომსახურების სხვადასხვა ქვესექტორებს. ეს საქმიანობა შესაძლოა შესაბამისი დარგების ეკონომიკური განვითარების ციკლების გავლენის ქვეშ მოექცეს სხვადასხვა ხარისხით. იმ ცვლილებების ტიპი, დრო და ხარისხი, რომლებიც ამა თუ იმ დარგისთვის ჩვეულ პირობებში შეიძლება მოხდეს, უმეტესწილად არაპროგნოზირებადია. იმ შემთხვევაში, თუ დარგში ჩავარდნა მოხდა, არახელსაყრელმა ეკონომიკურმა და საბაზრო პირობებმა შეიძლება შეამციროს მოთხოვნა სალიზინგო მომსახურებაზე, ხოლო კლიენტებში დეფოლტის ზრდა და სალიზინგო აქტივების ხარისხის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

კომპანია ასევე კონკურენციას უწევს მსხვილ კომერციულ ბანკებსა და ფინანსური მომსახურების სხვა პროვაიდერებს საქართველოში. ამ დაწესებულებებმა კომპანიის არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს დაფინანსება შესაძლოა უფრო ხელსაყრელი პირობებით მისცენ. გარდა ამისა, კონკურენტული პირობები შეიძლება შესთავაზონ კონკრეტული სახის ლიზინგის პროდუქტებზე ამ აქტივების დისტრიბუტორებმა/დილერებმაც.

***ახალმა რეგულაციამ, რომელიც ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერებას ეხება, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე***

2019 წლის 1-ლი იანვრიდან ტექდათვალიერება ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის სავალდებულო გახდა. ავტომობილები ჯამში 12 პარამეტრზე შემოწმდება. მათ შორის ავტომობილის კომპლექტაციაზე: ცეცხლმაქრი, სააფთიაქო ყუთი და სხვა. აუცილებელ პარამეტრებს შორისაა გამართული სამუხრუჭე სისტემა, საჭის მართვის მექანიზმი, საქარე მინები, და ა.შ. 4 წლამდე ავტომობილები სავალდებულო ტექდათვალიერებას არ ექვემდებარება.

კომპანიის სასესხო პორტფელის 35%-მდე ავტომობილების ლიზინგებია. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ ამ ავტომობილების ნაწილი ვერ შეძლებს დააკმაყოფილოს საჭირო მოთხოვნები, რაც მათ ღირებულებას საგრძნობლად შეამცირებს, რამაც თავის მხრივ, სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში, შეიძლება გაზარდოს აქტივის რეალიზაციიდან მიღებული ზარალი.

***კომპანიის რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემებს შესაძლოა ჰქონდეთ ნაკლოვანებები, რომლებმაც შეიძლება ეფექტიანად ვერ შეარბილონ ყველა ის რისკი, რომელთა წინაშეც კომპანია აღმოჩნდება.***

ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც კომპანიის ბიზნესი განვითარდა და მოიცვა სხვადასხვა დარგი, მისი ბიზნესის მოდელი და რისკებისადმი მიდრეკილება უფრო კომპლექსური გახდა. კომპანია განუხრელად აუმჯობესებს რისკების მართვის თავის სისტემას, მაგრამ რისკების მართვისკენ მიმართულმა ზომებმა შესაძლოა ვერ გამოავლინოს და შეარბილოს ბიზნესის წინაშე არსებული ყველა არსებითი რისკი. ამიტომ, როდესაც კომპანია ახალ დარგში შედის, ახალ მომხმარებლებთან ამყარებს ურთიერთობას ან ახალ პროდუქტებს თუ სერვისებს ავითარებს, მან შესაძლოა ვერ მოახერხოს ყველა მომავალი რისკის ადეკვატურად იდენტიფიცირება და შეფასება, ვინაიდან რისკების მართვის და კონტროლის ზოგიერთ მის მეთოდს საფუძვლად უდევს ბიზნესის

ისტორიული გამოცდილება, საბაზრო ქცევა და წარსულში მომხდარი მოვლენები, და ასეთი რისკები შეიძლება ბევრად უფრო დიდი იყოს, ვიდრე კომპანიის ვარაუდები ისტორიული მონაცემების საფუძველზე.

კომპანიის რისკების მართვის სხვა მეთოდები დამოკიდებულია ბაზრებთან, მომხმარებლებთან ან სხვა რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეფასებაზე და ეს ინფორმაცია შესაძლოა იყოს არაზუსტი, არასრული, მოძველებული ან არასწორად შეფასებული.

გარდა ამისა, კომპანიის ბიზნესის განვითარებასთან ერთად, მისი რისკების მართვის და შიდა კონტროლის პოლიტიკამ შესაძლოა ეფექტიანად ვერ შეამციროს და შეარბილოს ყველა ტიპის რისკები, მათ შორის მოულოდნელი რისკები და ის რისკები, რომელთა შესახებ კომპანიას არა აქვს ინფორმაცია და რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს უმოქმედო აქტივების კაუჩუცის ზრდას. ამასთან, საოპერაციო, სამართლებრივ ან ფინანსურ რისკებზე რეაგირებისთვის კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს რიგი სხვადასხვა წესების და პროცედურებისა, რათა ზედმიწევნით დააფიქსიროს და შეამოწმოს ტრანზაქციებისა და მოვლენების დიდი რაოდენობა. ამგვარი წესები და პროცედურები შესაძლოა არ იყოს სრულად ეფექტიანი. ნებისმიერმა წარუმატებლობამ კომპანიის რისკების მართვის პროცედურების სათანადოდ განხორციელებაში ან შესაბამისი რისკების იდენტიფიცირებაში შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის შედეგებზე.

*კომპანიის ბიზნესოპერაციებზე ვრცელდება კომპლექსური და ცვალებადი კანონები და რეგულაციები, რომლებიც ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მონაცემთა დაცვას და სხვა საკითხებს.*

საქართველოს კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ განსაზღვრავს მომხმარებელთა შესახებ ინფორმაციის მესამე მხარეებისთვის მიწოდების საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია თანამშრომლებს მუდმივად აწვდის ინფორმაციას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან, მონაცემთა დაცვასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით მოქმედი კანონებისა და რეგულაციების თაობაზე, ის გარანტიას ვერ იძლევა, რომ ყველა თანამშრომელი ყოველთვის დაიცავს ასეთ კანონებსა და რეგულაციებს. თუ მომავალში კომპანიის თანამშრომლები არ დაიცავენ ასეთ კანონებსა და რეგულაციებს, კომპანიას შესაძლოა საურავები ან სხვა ჯარიმები დაეკისროს, რამაც შეიძლება დააზარალოს მისი რეპუტაცია და სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

ამასთან პერსონალური ინფორმაციის გადამოწმება მოითხოვს ინდივიდის წინასწარ თანხმობას, რაც კომპანიის მიერ რეგულირდება შესაბამისი თანხმობის აღების გზით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში მსგავსი თანხმობის არსებობის მიუხედავად შესაძლოა ინდივიდმა კომპანიის მიერ განხორციელებული ინფორმაციის მოძიების აქტი მაინც მიიჩნიოს უსაფუძვლოდ და კომპანიას კანონისა და რეგულაციის დარღვევაში დასდოს ბრალი. ამასთან არსებობს იმის რისკი, რომ ყველა მსგავსი შემთხვევისათვის (ინფორმაციის მოძიებისათვის) არ არსებობდეს ინდივიდის წინასწარი თანხმობა, რაც ასევე თავის მხრივ რისკის ქვეშ აყენებს კომპანიას და მას შესაძლოა საურავები ან სხვა ჯარიმები დაეკისროს, რამაც შეიძლება დააზარალოს მისი რეპუტაცია და სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

*კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვას და ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას.*

კომპანიაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საკონტრაქტო მოთხოვნებმა, საჩივრებმა და სასამართლო პროცესმა, რომლებიც პარტნიორებთან, მომხმარებლებთან, კონკურენტებსა თუ მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს, ასევე ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ კომპანიის შესახებ. ნებისმიერმა ასეთმა სასამართლო პროცესმა, საჩივარმა, საკონტრაქტო მოთხოვნამ ან ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

სასამართლო პროცესის მოპასუხეობა, წარმატებითაც რომ დასრულდეს, დიდ დროსა და ყურადღებას მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, ასევე, საკმაოდ დიდ თანხებს იურიდიული მოსაკრებლების და სხვა თანმდევი ხარჯებისთვის. ბიზნესზე ვრცელდება მარეგულირებელი საქმისწარმოებაც და კომპანიამ შეიძლება მარეგულირებელ საქმისწარმოებაში მოქმედი კანონების, წესებისა და რეგულაციების ინტერპრეტაციამ დააზარალოს, მათ შორის იმ მარეგულირებელ საქმისწარმოებაში, რომლის მხარეც ის არ არის. ნებისმიერმა ასეთმა მოვლენამ შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

*კორუფციასთან ბრძოლის, მათ შორის, მექრთამეობასთან ბრძოლის კანონებთან შეუსაბამობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის რეპუტაციასა და ბიზნესზე.*

მიუხედავად ნაკისრი ვალდებულებისა, განახორციელოს ბიზნესი კორუფციასა და მექრთამეობასთან ბრძოლის კანონების შესაბამისად, კომპანია მაინც დგას რისკის წინაშე, რომ რომელიმე დაინტერესებულმა მხარემ - იქნება ეს დირექტორი, თანამშრომელი თუ ბიზნესპარტნიორი - ჩაიდინოს ისეთი ქმედებები ან დაამყაროს ისეთი ურთიერთობები, რითიც დაარღვევს ასეთ ანტიკორუფციულ კანონებს ან შესაძლოა წარედგინოს ბრალდება, რომ დაარღვია ეს კანონები. კორუფცია ერთ-ერთი მთავარი რისკია, რის წინაშეც კომპანია დგას საქართველოში ოპერირების დაწყების შემდეგ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანახმად, საქართველო განვითარებადი ბაზარია და ამრიგად, უფრო მოწვევადია კორუფციის წინაშე. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2018 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, რითიც შეფასებულია კორუფციის დონე მსოფლიოს ქვეყნებში 1-დან (კორუფციის ყველაზე დაბალი დონე) 180-მდე (კორუფციის ყველაზე მაღალი დონე), საქართველო 41-ე ადგილზეა. შედარებისთვის, სომხეთი 105-ე ადგილზეა, ბულგარეთი 77-ზე და ლიტვა 38-ზე. რთულია იწინასწარმეტყველო კორუფციის ზეგავლენა კომპანიის ბიზნეს ოპერაციებზე. ზოგ შემთხვევაში ამან შესაძლოა რეგულირების ცვლილებების აუცილებლობა გამოიწვიოს, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

*ბიზნეს ოპერაციები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების ეფექტიან და უწყვეტ ფუნქციონირებაზე.*

საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები მოწვევადია რამდენიმე პრობლემის მიმართ, მათ შორის კომპიუტერული ვირუსების, არაავტორიზებული წვდომის, სერვერის ფიზიკური დაზიანების და კომპიუტერული პროგრამის ან აპარატურის გაუმართაობის წინაშე. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების ნებისმიერმა შეფერხებამ ან მათი უსაფრთხოების დარღვევამ შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ისეთ ბიზნესოპერაციებზე, როგორცაა მომხმარებლის დროული მომსახურება, ფინანსური

მონაცემების სწორად აღრიცხვა და ბიზნესის და მომხმარებლის დაცვა ფინანსური თაღლითობის თუ ქურდობისგან. ბიზნესოპერაციების კომპრომეტირების შემთხვევაში, დაზარალებულ კომპანიის რეპუტაცია და შემცირდება კლიენტის ნდობა ბიზნესის მიმართ და კომპანიამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები განიცადოს, რაც სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

გარდა ამისა, არანაირი გარანტია არ არის, რომ ფინანსური თუ ტექნიკური შეზღუდვების გამო, კომპანია შეძლებს, ფეხი აუწყოს უახლეს ტექნოლოგიურ განვითარებას. თუ კომპანია ვერ შეძლებს წარმატებით განახორციელოს ან დაასრულოს კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების და ინფრასტრუქტურის დაგეგმილი განახლება ან/და ბიზნეს ოპერაციების და საპროგრამო უზრუნველყოფის ადაპტირება, ეს სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

*გაფიცვებმა და სხვა აქციებმა შეიძლება შეაფერხოს კომპანიის ფუნქციონირება ან გააძვიროს კომპანიის ობიექტების ოპერირება.*

2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით კომპანიას 74-მდე სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი ყავდა. ამ რაოდენობის ან ხელფასის ნებისმიერი შემცირება სამუშაოს შეფერხებას გამოიწვევს. სამუშაოს შეფერხება ან საოპერაციო პერსონალის მოზიდვასა ან შენარჩუნებაში წარუმატებლობა სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

კომპანიას დღემდე კომპანიას არ ჰქონია შემთხვევა, რომელიც საქართველოს კანონის და შრომის კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად ჩაითვლებოდა გაფიცვად, სასამართლო პროცესად ან საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების ნებაყოფლობით უარყოფად.

*ბიზნეს ოპერაციებზე მოქმედებს სტიქიური მოვლენები და ბიზნესის სხვა შეფერხებები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მომავალ შემოსავლებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე და გაზარდოს ხარჯები.*

კომპანიის სერვისები და ოპერაციები დაუცველია ზარალის ან შეფერხებისგან, რომელსაც იწვევს ქარიშხალი, მიწისძვრა, ელექტროენერჯის შეწყვეტა, ტელეკომუნიკაციების გაუმართაობა, ტერორისტული აქტები, ომი, ადამიანური შეცდომები და მსგავსი მოვლენები. ისეთმა მნიშვნელოვანმა სტიქიურმა უბედურებამ, როგორცაა ქარიშხალი, მიწისძვრა, ხანძარი და წყალდიდობა, შეიძლება სერიოზული უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს კომპანიის შესაძლებლობაზე, აწარმოოს ბიზნესი, ხოლო სადაზღვევო დაფარვა არასაკმარისი იყოს გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად. ნებისმიერი ასეთი მოვლენა მომხმარებლის ნდობას და შესაბამისად, მათთვის გაცემული კრედიტების რაოდენობას შეამცირებს. ნებისმიერი ასეთი მოვლენა სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

*კომპანიის წინაშე შესაძლოა გაჩნდეს ეპიდემიებთან, ტერორიზმის აქტებთან, ომებთან ან სხვა ბუნებრივ თუ ადამიანის მიერ გამოწვეულ კატასტროფებთან დაკავშირებული გლობალური რისკები.*

ისეთმა ბუნებრივმა კატასტროფებმა, როგორებიც არის მიწისძვრები, წყალდიდობები, ამინდის უკიდურესად ცუდი პირობები ან სხვა კატასტროფები, შესაძლოა მძიმე ზეგავლენა მოახდინოს იმ რეგიონებზე, სადაც კომპანია ან მისი ლიზინგის მიმღებები ეწევიან საქმიანობას. ანალოგიურად, ტერორიზმის აქტებმა, ომებმა, ომის საფრთხეებმა, სოციალურმა დაძაბულობამ და ამგვარ მოვლენებზე საპასუხოდ დაწესებულმა შესაბამისმა მოგზაურობის უსაფრთხოების გამკაცრებულმა ზომებმა, ასევე გეოპოლიტიკურმა გაურკვევლობამ და საერთაშორისო კონფლიქტმა და დაძაბულმა ვითარებამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ეკონომიკურ განვითარებაზე და სამშენებლო პროექტებზე. ამას, თავის მხრივ, უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე. გარდა ამისა, კომპანია შეიძლება არ იყოს სათანადოდ მომზადებული გაუთვალისწინებელი მდგომარეობისთვის დაგეგმვის თვალსაზრისით ან არ ჰქონდეს ადღგენის შესაძლებლობები მნიშვნელოვან შემთხვევებსა თუ კრიზისებზე რეაგირებისთვის. შედეგად შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მიადგეს კომპანიის საქმიანობას და მის რეპუტაციას.

*კომპანია ანგარიშვალდებული საწარმოა და მასზე დამატებითი რეგულაციები და ანგარიშგების მოთხოვნები ვრცელდება. კომპანია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) გათვალისწინებული ანგარიშვალდებული საწარმოა. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს გარკვეული თანხმობების აღებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს იმ გარიგებებისათვის, სადაც ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოების წევრები და მისი აქციების 20%-ის ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელები განიხილება „დაინტერესებულ პირად“ (ეს შემთხვევები განსაზღვრულია ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონით). აღნიშნული კანონის თანახმად, დაინტერესებულ პირთან დაკავშირებული გარიგება უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა საერთო კრების მიერ. ტრანზაქციები, რომელთა ღირებულება აღემატება საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს, უნდა დამტკიცდეს საერთო კრების მიერ. აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება გარიგებებზე, რომლებიც იდება ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის. შესაბამისად, კომპანიის პარტნიორთა კრება ამტკიცებს დაინტერესებულ პირებთან გარიგებებს.*

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს ანგარიშვალდებული საწარმოებისათვის. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს მიაწოდოს წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა ხდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე, აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს საქართველოს საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

დაინტერესებულ პირებთან გარიგებების დამტკიცების და ანგარიშგების მოთხოვნები კომპანიისათვის დამატებითი ტვირთია და შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი საქმიანობის ეფექტიანობაზე. გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამისი თანხმობის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების გაუქმება (მაგ. თუ სამეთვალყურეო საბჭო ან პარტნიორთა კრება არ დაამტკიცებს რომელიმე დაინტერესებულ პირთან გარიგებას).

*ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.*

2014 წლის მარტში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ („კანონი კონკურენციის შესახებ“). შემოღებული იქნა სხვადასხვა შეზღუდვა ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციასთან, დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებასთან, სახელმწიფოს ძხრიდან დახმარებასთან და ა.შ. დაკავშირებით, მაშინ, როცა ადრე საქართველოში არ არსებობდა ზოგადი მოქმედების კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები (გარდა ზოგიერთი დარგისა, როგორებიც არის საბანკო სექტორი და ტელეკომუნიკაციები). 2014 წლის აპრილში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს კერძო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულებას და აქვს ასევე სხვადასხვა უფლებამოსილება, მათ შორის „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევისათვის ჯარიმების დაკისრების უფლება. მოსალოდნელია, რომ კონკურენციის სააგენტო უახლოეს მომავალში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე გამოუშვებს სხვადასხვა ნორმატიულ აქტს. ანტიმონოპოლიური რეგულაციების სიახლემ და სააგენტოს მიერ ამ რეგულაციათა აღსრულების პროცესის არაპროგნოზირებადმა ხასიათმა შესაძლოა კომპანიისთვის რეგულირებასთან დაკავშირებული დამატებითი ტვირთი წარმოქმნას და ნეგატიური ზემოქმედება მოახდინოს მისი გაფართოების გეგმებზე.

**რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე**

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და პოლიტიკურმა დაძაბულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში მასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს კონფლიქტები აქვს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. ამ კონფლიქტებმა ქვეყანა ძალადობის ცალკეულ აქტებსა და სამშვიდობო ოპერაციების დარღვევასთან მიიყვანა. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები ბრძოლაში ჩაებნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებსა და რუსეთის არმიასთან, რომელმაც საქართველოს საერთაშორისო საზღვარი გადმოკვეთა და საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ და რუსეთმა, საფრანგეთის შუამავლობით, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება გააფორმეს, რომლის თანახმადაც რუსეთის სამხედრო ძალები ქვეყნიდან იმ თვის ბოლომდე უნდა გასულიყვნენ, რუსეთმა დაარღვია ეს შეთანხმება და სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა. შესაბამისად, დაძაბულობა გრძელდება, რადგან რუსეთის არმიას კვლავ ოკუპირებული აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. მაგალითად, 2013 წლის ზაფხულში რუსეთის სასაზღვრო ძალებმა მავთულხლართის ღობეები აღმართეს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის სადემარკაციო ხაზის ზოგიერთი ნაწილის გასწვრივ. მომავალში ასეთი ქმედებები დაძაბულობას გაამწვავებს. რუსეთი ეწინააღმდეგება ასევე ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, რაც პოტენციურად ყოფილი საბჭოთა კავშირის ისეთი ქვეყნების მოცვას გულისხმობს როგორც საქართველოა. საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ნაბიჯებს დღეისათვის რაიმე ოფიციალური ან იურიდიული ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

ურთიერთობები აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კვლავ დაძაბულია და ამ ორ ქვეყანას შორის ძალადობის ცალკეული შემთხვევები შეინიშნება.

საქართველოს აქვს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები თურქეთთან. ბოლო წლებში თურქეთის ეროვნული ვალუტა საგრძნობლად დაეცა პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, რომელსაც ინფლაციის ზრდასთან ერთად ექნება ნეგატიური გავლენა ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტსა და საგარეო ვალის მომსახურებაზე. შესაბამისად, მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ არასტაბილურობას თურქეთში, შესაძლებელია ჰქონდეს ნეგატიური გავლენა საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობაზე, რომელიც ძირითადად გამოიხატება ექსპორტის შემცირებით. Geostat-ის მიხედვით, 2019 წლის პირველ 5 თვეში საქართველო-თურქეთის სავაჭრო ბრუნვა საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 14.2% შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წელს 13.7% იყო, რომელსაც 2014 წლიდან (17.2%) მოყოლებული შემცირების ტენდენცია აქვს. მაღალი სავაჭრო ბრუნვა თურქეთთან, რომელიც ლიდერია საქართველოს იმპორტის სტრუქტურაში, ძირითადად დაკავშირებულია თურქეთიდან იმპორტის დიდ მოცულობასთან. საქსტატის მიხედვით, 2019 წლის პირველ 5 თვეში თურქეთიდან იმპორტირებული საქონელი შეადგენდა საქართველოს მიერ განხორციელებული მთლიანი იმპორტის 17.1%-ს, 2018-ში 16.1%-ს, 2017-ში 17.3%-ს, 2016-ში კი 18.6%-ს. აღსანიშნავია, რომ თურქეთი იმ ქვეყნების ათეულშია, რომლებსაც ექსპორტით ყველაზე დიდი რაოდენობით საქონელი გააქვთ საქართველოდან. საქსტატის მიხედვით, ექსპორტი თურქეთში შეადგენდა მთლიანად საქართველოს ექსპორტის 7.2%-ს 2019 წლის პირველ 5 თვეში, 6.9%-ს 2018-ში, 7.9%-ს 2017-ში, 8.2%-ს 2016-ში.

2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც შესაძლოა საგრძნობი ნეგატიური გავლენა ჰქონდეს ტურიზმის სექტორზე და მთლიანად საქართველოს ეკონომიკაზე. ამავდროულად, ინფორმაცია რუსეთიდან ტურისტული ნაკადების მოსალოდნელი შემცირების შესახებ სავალუტო ბაზარზეც და ეკონომიკური ზრდის ტენდენციებზეც შესაძლოა აისახოს. საქართველოს

ეროვნული ბანკის მიერ 2019 წლის 27 ივნისს გაკეთებული განცხადების მიხედვით, პირველადი გათვლებით, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებას 2019 წლის მეორე ნახევარში საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა დაახლოებით 200-300 მლნ აშშ დოლარამდე ექნება. ეს საგარეო შოკი აისახება საგადაამხდლო ბალანსზე და, შესაბამისად, კურსზეც. თუმცა ეროვნული ბანკი ასევე აცხადებს რომ, სხვა თანაბარ პირობებში, მათ შორის რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებითაც, 2019 წლის განმავლობაში საგარეო ბალანსი პროგნოზირებულზე მცირედით, მაგრამ მაინც გაუმჯობესდება. ამასთან, საქართველოს საგარეო შოკებით გამოწვეულ კრიზისთან გამკლავების წარმატებული გამოცდილება აქვს. 2014-15 წლებში ნავთობის ფასების ვარდნის შედეგად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებიდან მოთხოვნისა და გზავნილების შემცირებამ, უკრაინაში საომარმა ვითარებამ, რუსეთისთვის საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების დაწესებამ და აშშ დოლარის გლობალურმა გამყარებამ სავალუტო შემოდინებები დაახლოებით 1.2 მლრდ აშშ დოლარით შეამცირა.

უკრაინასა და რუსეთს შორის არსებულმა გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე. უკრაინაში კრიზისი 2013 წლის მიწურულს დაიწყო და ამჟამად ეკონომიკა აღდგენის პროცესშია, თუმცა ზუსტი პროგნოზირება რთულია. შეერთებული შტატებმა და ევროკავშირმა სავაჭრო სანქციები დაუწესა რუსეთს, ასევე რუსეთის და ყირიმის სხვადასხვა თანამდებობის პირს, მათ შორის რამდენიმე რუსულ ბანკსა და კომპანიას. უკრაინაში არსებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, სამოქალაქო არეულობებმა და სამხედრო კონფლიქტმა, რუსეთსა და უკრაინას შორის გეოპოლიტიკური კონფლიქტის გაგრძელებამ ან ესკალაციამ, ასევე, დაწესებული სანქციების და ნავთობის ფასების ვარდნის თუ ვალუტის გაუფასურების შედეგად რუსეთის ეკონომიკის შემდგომმა ვარდნამ, გაურკვევლობის ზრდამ, რეგიონული, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის მატებამ და რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების გაუარესებამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

შესაბამისად, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება.
- თურქეთში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

*არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველოა*

განვითარებად ბაზრებს ახასიათებს უფრო დიდი არასტაბილურობა, შეზღუდული ლიკვიდურობა, ნაკლები მოცულობის საექსპორტო ბაზა და მიდრეკილება მაღალი მიმდინარე დეფიციტისკენ და მათზე უფრო მეტად მოქმედებს ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში, ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის და უფრო

გვიანდელი 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

განვითარებად ბაზრებზე ფინანსურ თუ პოლიტიკურ არასტაბილურობას ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა კაპიტალის ბაზრებზე და ზოგადად ეკონომიკაზე, ვინაიდან ინვესტორები ჩვეულებრივ ამჯობინებენ ხოლმე საკუთარი ფულის უფრო განვითარებულ ბაზრებზე გადატანას, რადგან ამგვარი ბაზრები უფრო სტაბილურად მიიჩნევა. აღნიშნულ რისკის ფაქტორებს შეიძლება დაერთოს საქართველოს შესახებ არასრული, არასანდო, არარსებული ან არადროული ეკონომიკური და სტატისტიკური მონაცემები, წინამდებარე პროსპექტში მოცემული ინფორმაციის ჩათვლით.

***კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით.***

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა შეზღუდულია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2017 წელს, ლარის-აშშ დოლარის და ლარის-ევროს ბაზრებზე სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობა (მათ შორის, გაყიდვებისა და შესყიდვების ჯამი, ეროვნული ბანკის საქმიანობის გარდა) შესაბამისად 25.2 მილიარდი აშშ დოლარი და 6.9 მილიარდი ევრო შეადგინა, ხოლო იგივე მაჩვენებელმა 2018 წელს შესაბამისად 31.8 მილიარდი აშშ დოლარი და 11.4 მილიარდი ევრო

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით მისმა ოფიციალურმა რეზერვმა 3.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2019 წლის 31 მაისის მდგომარეობით, რომელიც წლიურად 23.3%-ით არის გაზრდილი. მიმდინარე რეზერვების დონე ადეკვატურ დონეზეა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, რომლითაც ქვეყანას შეუძლია თავი გაართვას კრიზისულ სიტუაციებს მოკლევადიან პერიოდში. გარდა ამისა, რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კორპორაციული კლიენტების ბიზნესებზე და, შესაბამისად, კომპანიაზე.

გარდა ამისა, სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა სიტუაციამ შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზეც. წლების მანძილზე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა რაც გამოწვეული იყო რუსეთის ფინანსური კრიზისით 1998 წლის აგვისტოში, 2008 წლის კონფლიქტით რუსეთთან, ეკონომიკური განვითარების შენელებით, რომელიც გამოწვეული იყო ნავთობის ფასის დაცემით 2015 წელს. 2014 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში გარე პირობებსა და ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით ლარის კურსი სტაბილურობას ინარჩუნებდა, თუმცა ამის შემდეგ, ლარის გაუფასურება დაიწყო აშშ დოლარის მიმართ მიუხედავად ეკონომიკური ზრდის გაგრძელებისა და უცხოური ვალუტის შემოდინებისა. 2015 წელს ეროვნულმა ბანკმა ლარს 22%-ით გაუფასურების საშუალება მისცა, ამის მიზეზი კი საქართველოს ეკონომიკისთვის მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების შენელებით გამოწვეული ნეგატიური ეფექტის თავიდან აცილება იყო. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის აპრილი-ივნისის პერიოდში ლარი გამყარდა აშშ დოლარისა და სხვა ვალუტების მიმართ, რაც გამოწვეული იყო ტურისტების რაოდენობის ზრდით, ივნისის შემდეგ ისევ გაუფასურება დაიწყო და 2016 წლის დეკემბრისთვის კურსი იყო 2,6468-ს. 2017 წელს ლარმა ისევ დაიწყო გამყარება, თუმცა გასული წლების მიხედვით ჩამოყალიბებული ნეგატიური მოლოდინების გამო მეოთხე კვარტალში ის ისევ გაუფასურდა. 2018 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში კურსი სტაბილური იყო, თუმცა თურქული ლირის გაუფასურებამ 18 აგვისტოდან, გავლენა მოახდინა ლარის კურსზე და 29 ნოემბრის მდგომარეობით გაუფასურდა 7.99%-ით 1 აგვისტოსთან შედარებით და შეადგინა 2.66. ლარის სწრაფმა გამყარებამ წლის დასაწყისში და შემდგომ ეროვნულ ბანკს საშუალება მისცა 2018 წლის აპრილი-დეკემბრის მონაკვეთში ეროვნული ბანკის სავალუტო

აუქციონებზე შეესყიდა 197.5 მლნ აშშ დოლარი და შეეცხო რეზერვები. გამყარების ტენდენცია გაგრძელდა 2019 წლის იანვარ-თებერვალში, რამაც ეროვნულ ბანკს საშუალება მისცა შეესყიდა 186 მლნ აშშ დოლარი. 2019 წლის ივნისში კი ეროვნულმა ბანკმა დამატებით შეისყიდა 30 მლნ აშშ დოლარი (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი).

მთავრობისა და ეროვნული ბანკის უნარი, შეამცირონ ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია რამდენიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის ეროვნული ბანკისა და მთავრობის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე, უცხოური ვალუტის რეზერვებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელმისაწვდომობაზე, აგრეთვე მყარი ვალუტის სხვაგვარ შემოდინებაზე. ამ ფაქტორების სუსტ კონტროლს ან ლარის მკვეთრ გაუფასურებას უარყოფითი გავლენა შეუძლია მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე. საქსტატის შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 2014 წელს 2.0%, 2015 წელს 4.9%, 2016 წელს 1.8%, 2017 წელს 6.7% იყო და 2018 წელს 1.5% იყო.

წნები ფასებზე ხელახლა განხორციელდა 2017 წელს, ისეთი ფაქტორების გამო, როგორებიცაა აქციზის გადასახადის მკვეთრი ზრდა, მსოფლიოში სასაქონლო ფასების ზრდა, შესუსტებული ლარის დაგვიანებული ეფექტი და დაბალი ბაზის ეფექტი.

მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების დაბალი დონე და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კორპორაციული კლიენტების ბიზნესებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

#### *პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე*

1991 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ სუვერენულ დემოკრატიაში.

საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთი შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარებაა, მაგრამ ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი რეფორმების გატარება შესაძლოა აღარ გაგრძელდეს ან უკუსვლა განიცადოს; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს რაიმე ისეთი ცვლილებით, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ (მმართველი პარტიის) მთავრობის მოქმედების გაგრძელებასა თუ სტაბილურობაზე იქონიებს გავლენას, ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

2010 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომლებიც ითვალისწინებდა პარლამენტის მმართველობითი უფლებამოსილების გაფართოებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების გაზრდას და პრეზიდენტის ფუნქციების შეკვეცას. 2013 წლის მარტში პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებითაც კიდევ უფრო შეიკვეცა საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციები. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერ შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი ან პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

2018 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების 50%-ზე მეტი და, შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დაინიშნა. წინასაარჩევნო გარემო

საკმაოდ დამაბული იყო. მეორე ტურის შედეგების მიხედვით ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა გაიმარჯვა. ამ ფაქტმა უკმაყოფილება გამოიწვია ოპოზიციის ლიდერებსა და მათ მხარდამჭერებში. მომავალში პოლიტიკურმა დამაბულობამ/არეულობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის ბიზნესზე.

*შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს*

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და დააარსა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის შესაბამისობის დამყარება ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელი ცვლილებები რეგულირებაში მოიცავს შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს შრომის სფეროში არსებული რეგულაციების დაახლოებას ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებთან. აღნიშნული ცვლილებები დამსაქმებლებისგან მოითხოვდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, გაზრდილ კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთიდან ორი თვის ხელფასის ოდენობით), მუშაკთა გაძლიერებულ უფლებებს დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვას მკაფიო მიზეზის გარეშე და გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად განხორციელებული, რეგულირების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებებთან შესაბამისობის დასამყარებლად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რამხელა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

გარდა ამისა, ევროასოციაციის ხელშეკრულების ფარგლებში ხდება ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროპის კანონმდებლობასთან, რის გამოც კომპანიას, როგორც ანგარიშვალდებულ საწარმოს შესაძლოა დამატებითი რეგულაციები შეეხოს.

*საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა.*

უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს. ეს პრობლემებს ქმნის საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებისას, რადგან აღნიშნული კანონმდებლობა ბუნდოვანია ან განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. ეს რისკს უქმნის კომპანიებს, რადგან საგადასახადო კანონმდებლობის მათ მიერ გააზრება და შესრულება, შესაძლოა მიუღებელი იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის.

გარდა ამისა, აღნიშნული საგადასახადო კანონმდებლობა ცვლილებებს და დამატებებს განიცდის, რამაც უჩვეულო სირთულეები შეიძლება შეუქმნას კომპანიას და მის საქმიანობას. ახალი საგადასახადო კოდექსი 2011 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში. საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრები არსებობს სახელმწიფო სამინისტროებსა და ორგანიზაციებს შორის და მათ შიგნითაც, მათ შორის საგადასახადო ორგანოებშიც, რაც ქმნის გაურკვეველობას, არათანმიმდევრულობას და კოლიზიურ შემთხვევებს. ამასთან, საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილების მიღებას გადასახადის გადამხდელის მიერ წამოჭრილ საგადასახადო საკითხებზე. მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია, რომ კომპანია ამჟამად ასრულებს საგადასახადო კანონმდებლობას, შესაძლებელია, რომ სათანადო ორგანოებმა განსხვავებული პოზიცია დაიჭირონ მათ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს საგადასახადო კორექტირებები ან ჯარიმები. იმის რისკიც არსებობს, რომ რეგულარული საგადასახადო შემოწმებების შედეგად კომპანიას ჯარიმები და საურავები დაეკისროს.

გარდა ამისა საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის მთავრობის შეცვლის შედეგად. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი გადასახადების შემოღებას ან კომპანიის ან მისი მომხმარებლების მიმართ გამოყენებული გადასახადების განაკვეთის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე.

2016 წლის მაისიდან ამოქმედდა ცვლილებები კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებულ წესებში. დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ განაწილებული მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც ფულადი ან არაფულადი დივიდენდი, განაწილებული მფლობელებს - კერძო პირებს ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებს - შორის - რეინვესტირებული მოგება აღარ იბეგრება. საგადასახადო კოდექსის ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და „ესტონური მოდელით“ ჩანაცვლდა.

**საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე**

საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია მის რეგიონში არსებული ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი) ეკონომიკაზე.

აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, 2015 წლისთვის ის შეადგენდა საქართველოს მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 10.9%-სა და 8.2%-ს შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ მათი წილი 2016 წლისთვის შემცირდა

საქართველოს ექსპორტში (7.2%-მდე აზერბაიჯანი, 7.1%-მდე სომხეთი), 2017 წლისთვის ეს მონაცემები შესაბამისად 9.9%-სა და 7.7%-ს ითვლის. 2018 წელს კვლავ გაიზარდა აზერბაიჯანისა და სომხეთის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში, რომელმაც შეადგინა 15% და 8.3%, შესაბამისად. 2019 წლის პირველ 5 თვეში, აზერბაიჯანის და სომხეთის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში შემცირდა და შეადგინა 11.5% და 8.0%, შესაბამისად.

2015 წლის თებერვალში, აზერბაიჯანის ცენტრალურმა ბანკმა გააუფასურა მანათი 25.1%-ით ამერიკულ დოლართან, ხოლო 25.2%-ით ევროსთან მიმართებაში. 2015 წლის დეკემბერში, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი გადავიდა მცურავ გაცვლით კურსზე, რამაც გამოიწვია მანათის გაუფასურება 32.3%-ით ამერიკულ დოლართან, ხოლო 32.3%-ით ევროსთან მიმართებაში. მანათი 2016-2017 წლის განმავლობაში დასტაბილურდა. 2014 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის თებერვლამდე, სომხური დრამი გაუფასურდა 14.3%-ით ამერიკულ დოლართან მიმართებაში, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრიდან 2016 წლის 29 თებერვლამდე კი, ასევე გაუფასურდა 1.5%-ით ამერიკულ დოლართან მიმართებაში. სომხური დრამი 2017 წლის განმავლობაში ინარჩუნებს სტაბილურ მდგომარეობას. რუსეთი არის ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისა და იმპორტისთვის. საქსტატის მიხედვით, მისი წილი 2016 წლისთვის შეადგენდა 9.8%-ს, 2017-ში 14.5% და 2018-ში 13%-ს, ხოლო 2019 წლის პირველი 5 თვის განმავლობაში 14.9%-ს.

თურქეთი წარმოადგენს უდიდეს იმპორტიორს საქართველოსთვის, და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან იმპორტში შეადგენდა 16.1%-ს 2018 წელს. Turkstat-ის მონაცემებით, თურქეთის ეკონომიკა გაიზარდა 2018 წელს 2.6%-ით გაიზარდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკა 2018 წლის მეოთხე კვარტალში 3%-ით შემცირდა, რომელიც გაგრძელდა 2019 წელს (-2.6% პირველ კვარტალში) და ეს ძირითადად გამოწვეული იყო პოლიტიკური არასტაბილურობით, არახელსაყრელი გეოპოლიტიკური მოვლენებით, თურქული ლირის მკვეთრი გაუფასურებით და მაღალი ინფლაციით (წლიური ინფლაცია 20.3% - 2018 წლის დეკემბერში). ეს ყველაფერი წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის.

ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოს დამოკიდებულება ექსპორტის, ტურიზმის და ფულადი გზავნილების კუთხით მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთთან. 2017 წლიდან მოყოლებული აღნიშნული კომპონენტები მზარდია და მნიშვნელოვანი თანხები გენერირდება. მაგალითად, 2019 წლის პირველი 5 თვის მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული საქონელი საქართველოს მშპ-ის 3.4%-ს შეადგენს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მშპ-ის 4.3%-ია, ხოლო რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები მშპ-ის 2.5%-ია. ასეთი მაღალი დამოკიდებულება ერთ ქვეყანაზე გარკვეული რისკების მატარებელია და ნეგატიური ეფექტების ზომა საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებული იქნება ნებისმიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ საგარეო კრიზისების სიმძიმეზე, რასაც, თავის მხრივ, შესაძლოა ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

**ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს.**

კომპანია ოპერაციებს საქართველოში აწარმოებს და მთელს მისს შემოსავლები საქართველოდანაა. კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქარაიკელოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მოლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური რედგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

გლობალური და რეგიონალური ეკონომიკური პირობები რჩება არასტაბილური და ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური გაურკვეველობაა. საქსტატის მონაცემებით, საქართველოში რეალური მშპ 2016 წელს 2.8%-ით გაიზარდა ხოლო 2017 წელს კი 4.8%-ით. 2018 წელს საქართველოს ეკონომიკა 4.7%-ით გაიზარდა. 2019 წლისთვის საერთაშორისო საერთაშორისო ფონდი (IMF) საქართველოს 4.6%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს. ამასთანავე, საერთაშორისო სავალუტო ფონდი პროგნოზირებს, რომ 2020-2024 წლის მოსალოდნელია 5.2%-იანი საშუალო ზრდის მაჩვენებელი. საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. გაურკვეველმა და არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა პირობებმა, როგორცაა რეგიონში და ევროკავშირში გაღრმავებული პოლიტიკური დამაბულობა, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

**საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს.**

საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი ბაზა. მხოლოდ ახლახანს ამოქმედდა რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი სამოქალაქო ფულადი სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებით შეზღუდვის დაწესება, მოგირავნის/იპოთეკარის დაკმაყოფილება, სისხლის სამართლის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება, იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება), საგადასახადო (მოგების გადასახადის ესტონური მოდელი). აღნიშნული კანონმდებლობის ახლახან მიღებამ და საკანონმდებლო სისტემის სწრაფად განვითარებამ გამოიწვია ეჭვები კანონების ხარისხში და აღსრულების საკითხში, ასევე გაურკვეველობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში. გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის პროფესიონალთა ნაკლებობას და ამ სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. მოსამართლეებსა და სასამართლოებს საქართველოში ზოგადად ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში, ვიდრე სხვა ქვეყნებში, კერძოდ, ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ შესაძლოა

უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან საზიანო ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის შედეგებზე.

**ობლიგაციებთან დაკავშირებული რისკები**

**ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს**

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორებიცაა: კომპანიის საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; კომპანიის კონკურენტების საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; ბიზნესის არასახარბიელო განვითარება; კომპანიის მარეგულირებელი გარემოს ცვლილება; ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილება; ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა; ასევე ბევრი სხვა ფაქტორი, რომელიც კომპანიაზე ახდენს გავლენას, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების ფასმა და მოცულობამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს, კომპანიის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციის შედეგების მიუხედავად, უარყოფითად იმოქმედებს ობლიგაციების საბაზრო ფასზე. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში თუ სხვაგან განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ლიკვიდურობასა თუ ობლიგაციების ფასზე ან/და ეკონომიკური და საბაზრო პირობები რაიმე სხვა სახის უარყოფით გავლენას არ მოახდენს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად გაიყიდოს იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობების, კომპანიის ფინანსური პირობების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს.

**ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს**

ობლიგაციებით ნაკისრი კომპანიის ვალდებულებები კომპანიის არაუზრუნველყოფილი ვალდებულებებია. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისთვის წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი და დაკმაყოფილდება უზრუნველყოფილი კრედიტორების შემდგომ. კომპანიის უნარი, დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები დამოკიდებული იქნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მის ლიკვიდურობაზე, ზოგად ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

**საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე**

ობლიგაციების პირობები და ვადები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის გამოცემის თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, თუ რა გავლენას იქონიებს მათზე საქართველოს რომელიმე სასამართლო განჩინება, ცვლილება კანონმდებლობაში ან ადმინისტრაციულ პრაქტიკაში წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღის შემდეგ.

კომპანიას სურს მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას, რათა ობლიგაციები დარეგისტრირდეს და სავაჭროდ დაიშვას საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები, მათ შორის გამორიცხული არ არის შევიდეს ისეთი სახის ცვლილებებიც,

რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებებზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, ასევე გარიგებების დადების და ანგარიშწორების პროცედურებზე როგორც საბირჟო ასევე არასაბირჟო მეორად ბაზარზე .

**ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად**

კომპანია ობლიგაციებზე პროცენტებსა და ძირითად თანხას გადაიხდის დოლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია დოლარისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში (ინვესტორის ვალუტაში). ეს მოიცავს იმის რისკსაც, რომ ვალუტის კონვერტაციის კურსები შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (იგულისხმება ის ცვლილებებიც, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ლარის დევალვაციამ ან ინვესტორის ვალუტის რევალვაციამ) და ასევე იმის რისკს, რომ ხელისუფლებამ, რომლის იურისდიქციაშიც არის კომპანიის ან ინვესტორის ვალუტა, შეიძლება დააწესოს ან შეცვალოს სავალუტო ოპერაციების რეგულირება. ინვესტორის ვალუტის გამყარება დოლართან მიმართებით შეამცირებს (i) ობლიგაციებზე ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ შემოსავალს, (ii) ობლიგაციებზე გადასახდელი ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტური ძირითადი თანხის ოდენობას და (iii) ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ ობლიგაციების საბაზრო ღირებულებას.

ხელისუფლებამ და ფისკალურმა ორგანოებმა შეიძლება დააწესონ (მსგავსი გამოცდილება არსებობს სხვა ქვეყნებშიც) სავალუტო ოპერაციების იმგვარი რეგულირება, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს შესაბამის გაცვლით კურსზე. შედეგად ინვესტორებმა ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტები ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან.

**ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას**

ცალკეული ინვესტორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების კანონიერების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, ან ცალკეული უწყებების ზედამხედველობას ან რეგულირებას. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს საკუთარ იურიდიულ მრჩეველთან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის ობლიგაციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება ობლიგაციების გამოყენება გირაოს სახით სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) ეხება სხვა შეზღუდვები ობლიგაციების შექმნას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩეველებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება ობლიგაციები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

**ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს**

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის („აშშ-ის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) ან რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე.

პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლებათ ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის და რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებში, რომლებიც არ ექვემდებარება აღნიშნულ მოთხოვნებს. პოტენციურ ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

***ინვესტორები უნდა დაეყრდნონ რეგისტრატორის, ობლიგაციონერების წარმომადგენლის და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ნომინალური მფლობელის პროცედურებს***

კომპანია ობლიგაციებთან დაკავშირებულ გადასახდელებს გადაუხდის ობლიგაციონერებს და ობლიგაციების ნომინალურ მფლობელებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან რეგისტრატორის მიერ წარმოებულ რეესტრში (ობლიგაციების პირობებში განსაზღვრული თარიღისათვის). ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელების მიღებისას ობლიგაციონერი უნდა დაეყრდნოს რეგისტრატორის და, შესაბამის შემთხვევებში, ნომინალური მფლობელის პროცედურებს. კომპანია არ კისრულობს არანაირ პასუხისმგებლობას ჩანაწერების სიზუსტეზე ან ობლიგაციების ბენეფიციარების მიერ თანხის მიღებაზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანგარიშსწორების დროს ემიტენტი პასუხისმგებლობას არ იღებს სხვა პირის მიერ დაშვებულ შეცდომაზე.

ობლიგაციების პირობები მიუთითებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ობლიგაციონერების წარმომადგენელს მოუწევს ქმედებების განხორციელება ობლიგაციონერების სახელით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციონერების წარმომადგენლის პასუხისმგებლობა დაზღვეულია და/ან წინასწარ არის ანაზღაურებული და/ან უზრუნველყოფილია კომპანიისათვის მისაღები ფორმით ობლიგაციონერების მიერ. ობლიგაციონერების წარმომადგენელს შესაძლოა არ შეეძლოს გარკვეული ქმედებების განხორციელება და, შესაბამისად, ამგვარ შემთხვევაში ობლიგაციონერების წარმომადგენელი ვერ განახორციელებს აღნიშნულ ქმედებას, მიუხედავად პასუხისმგებლობის დაზღვევის და/ან წინასწარი ანაზღაურების და/ან უზრუნველყოფისა. მსგავს შემთხვევებში ობლიგაციონერებს ან ნომინალურ მფლობელებს პირდაპირ მოუწევთ შესაბამისი ქმედების განხორციელება.

***მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე***

ობლიგაციების პირობები მოიცავს ობლიგაციონერების კრების მოწვევის წესებს, რათა განხილული იქნეს ის საკითხები, რომლებიც ზოგადად გავლენას ახდენს ობლიგაციონერების ინტერესებზე. აღნიშნული პირობები უშვებს განსაზღვრული უმრავლესობის მიერ დანარჩენი ობლიგაციონერებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებას, იმ ობლიგაციონერების ჩათვლით, რომლებიც არ ესწრებოდნენ კრებას და რომლებმაც ხმა მისცეს უმრავლესობის წინააღმდეგ. (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ქვეპუნქტი 11. „ობლიგაციონერების კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა“)

***ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი***

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

## შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება

კომპანიას აქვს პორტფელის აგრესიული ზრდის სტრატეგია, რისთვისაც ესაჭიროება დამატებითი გრძელვადიანი რესურსი. ამ რესურსის მოძიების შედეგებით იაფი და ეფექტური გზა საჯარო ობლიგაციების გამოშვებაა.

კომპანია მიღებულ სახსრებს სრულად მიმართავს ფინანსური ლიზინგის პორტფელის ზრდისთვის განთავსებიდან 3 თვის პერიოდში.

## სარეგისტრაციო დოკუმენტი

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები

ელდარ ახვლედიანი - შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ გენერალური დირექტორი

გიორგი ჯღარკავა - შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ გენერალური დირექტორის მოადგილე

პასუხისმგებელი პირების განცხადება

პასუხისმგებელი პირები აცხადებენ, რომ „სარეგისტრაციო დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.“

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი

ემიტენტის ფინანსური აუდიტორია შპს „იუაი“. საიდენტიფიკაციო კოდი: 204441158. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კ. აფხაზის ქუჩა N44. ელ-ფოსტა: info@ge.ey.com

წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა კომპანიის ფინანსური აუდიტორის ცვლილება.

მესამე პირები ან ექსპერტები

კომპანიის უძრავ და მოძრავ აქტივებს “ქართული საშემფასებლო კომპანია“ აფასებს მისი წარმომადგენლების გიორგი ლეჟავასა და ლაშა ლეჟავას მეშვეობით. კომპანიის მისამართია: მარშალ გელოვანის გამზ. 2, 0159, თბილისი, საქართველო. ტელ: +995 32 2 37 44 61. ვებ-საიტი: valuation.ge

კომპანიის დამაარსებელი და დირექტორია გიორგი ლეჟავა, რომელსაც ამ სფეროში მუშაობის 30 წლიანი გამოცდილება აქვს. მას ასევე მინიჭებული აქვს დოქტორის წოდება ტექნიკურ მეცნიერებებში თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტისგან. ის არის MRCIS (Member of Royal Institution of Chartered Surveyors) და REV (Recognized European Valuer) კვალიფიკაციების მფლობელი.

ლაშა ლეჟავა არის კომპანიაში სერთიფიცირებული შემფასებელი. მას ამ სფეროში მუშაობის 7 წლიანი გამოცდილება აქვს. მას მინიჭებული აქვს ბაკალავრის ხარისხი საქართველოს უნივერსიტეტისგან.

## ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

კომპანია 2001 წელს დააარსა „თბილუნინვერსალბანკმა“ და პირველი ქართული კომპანია იყო, რომელმაც ლიზინგის მომსახურების სახით მსურველებს დაფინანსების ალტერნატიული წყარო შესთავაზა სესხებისგან განსხვავებით. 2005 წელს ის საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია გახდა ორი ბანკის შერწყმის შედეგად. 2015 წლის აგვისტოში, რეორგანიზაციის შედეგად, სს „ბიჯი ფაინენშელი“ გამოეყო სს „საქართველოს ბანკს“ და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ 100% -იანი წილის მფლობელი გახდა. 2017 წლის ივნისში კომპანიის 100% წილი სს „საქართველოს ბანკმა“ გადაიფორმა.

2015 წლის აპრილში კომპანიამ იყიდა შპს „პრაიმ ლიზინგის“ 100% იანი წილი, რომლის სალიზინგო პორტფელი დაახლოებით 2 მილიონ ლარს შეადგენდა. პორტფელის გადაწყერა ეტაპობრივად ხდებოდა საქართველოს სალიზინგო კომპანიის ბალანსზე. დღეისთვის პრაიმ ლიზინგის პორტფელი განულებულია.

ამჟამად კომპანიას 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით თბილისის ერთ ოფისში 55 თანამშრომელი და 19 წარმომადგენელი ჰყავს სხვადასხვა სადილერო ოფისებში (representative desks). კომპანიის მთავარი მომხმარებლები მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და საცალო მომხმარებლები არიან, მას ჰყავს, აგრეთვე, რამდენიმე მსხვილი მომხმარებელი. კომპანიის პროდუქცია მიზნად ისახავს სხვადასხვა მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილებას.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით და საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდა 204972155. მის: პეტრე მელიქიშვილის გამზირი N8ა/ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N1, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: +995 532 444444; ვებ გვერდი: [www.leasing.ge](http://www.leasing.ge)

## კომპანიის საკრედიტო რეიტინგი

კომპანიას მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგის სააგენტოს - Fitch Ratings-ის მიერ. კომპანიის გრძელვადიანი დეფოლტის რეიტინგი არის “B+“/პოზიტიური. კომპანიამ შესაძლოა მომავალში დამატებით მოიძიოს რეიტინგი იგივე ან სხვა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგის სააგენტოსგან.

## კაპიტალიზაცია და დავალიანება

კაპიტალიზაციისა და დავალიანების სტრუქტურა შესაბამისი პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

(000' ლარი)	31-03-19	31-12-18	31-12-17
ვალდებულებები:			
მიღებული სესხები	58,686	55,292	20,179
გამოშვებული ობლიგაციები	38,138	36,941	26,151
სულ პროცენტული ვალდებულებები	96,824	92,232	46,330
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	3,180	3,180	3,180
დამატებითი შეტანილი კაპიტალი	15,065	15,030	14,895
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)	4,278	2,714	(250)
სხვა რეზერვი	(279)	(279)	(133)
მთლიანი კაპიტალი	22,244	20,645	17,693
მთლიანი კაპიტალიზაცია	119,068	112,877	64,023

31 მარტიდან 10 ივნისამდე პერიოდში, კომპანიამ დამატებით აიღო სესხები შემდეგი ბანკებისგან: საქართველოს ბანკისგან 1,169 ათასი დოლარი და 1,059 ათასი ევრო, ვითიბი ბანკიდან 650 ათასი დოლარი, იმ ბანკიდან 800 ათასი ლარი, ხოლო ბაზის ბანკისგან 2 მილიონი ლარი. 2019 წლის 10 ივნისის მდგომარეობით კომპანიის სასესხო ვალდებულებების ჩაშლა შემდეგნაირია:

მსესხებლის დასახელება	ვალუტა	დარჩენილი ვადა	ძირი	დარიცხული პროცენტი
ობლიგაციები	აშშდ	1-3 წელი	40,012	583
საქართველოს ბანკის სესხი	ლარი/აშშდ/ევრო	1-3 წელი	23,715	60
პაშა ბანკის სესხი	ლარი/აშშდ	0-2 წელი	15,947	69
ვითიბი ბანკის სესხი	ლარი/აშშდ/ევრო	0-2 წელი	10,938	31
იმ ბანკის სესხი	ლარი	<1 წელი	9,849	39
ხალივ ბანკის სესხი	ლარი/აშშდ/ევრო	0-3 წელი	7,035	29
ბაზის ბანკის სესხი	ლარი	0-3 წელი	2,000	0
<b>სულ პროცენტული ვალდებულებები</b>			<b>109,496</b>	<b>812</b>

კომპანიის სესხები ვალუტებისა და სესხის გადახდის ტიპის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალუტა/სესხი ტიპი	ბუღეტი	ნაწილობრივ ამორტიზირებადი	ამორტიზირებადი	სულ
ლარი	19,415	5,309	9,219	33,943
აშშდ	54,352	2,443	-	56,795
ევრო	17,588	1,982	-	19,570
<b>სულ</b>	<b>91,355</b>	<b>9,734</b>	<b>9,219</b>	<b>110,308</b>

კომპანიის სესხები ვალუტებისა და სესხის გადახდის პერიოდების (წელი) მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალუტა/ვადა	0-1	1-3	3+
ლარი	29,343	2,353	2,247
აშშდ	10,066	43,993	2,736
ევრო	12,692	6,878	-
<b>სულ</b>	<b>52,101</b>	<b>53,224</b>	<b>4,983</b>

სესხების საპროცენტო განაკვეთები ვალუტებისა და საკონტრაქტო ვადიანობის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

სესხის ვალუტა	საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი
მოკლევადიანი ლარი	10.5%-11.0%
გრძელვადიანი ლარი	10.5%-13.5%
მოკლევადიანი აშშ დოლარი	7.7%
გრძელვადიანი აშშ დოლარი	7%-7.8%
მოკლევადიანი ევრო <sup>5</sup>	7.3%
გრძელვადიანი ევრო	5.2%-7.3%

<sup>5</sup> მოკლევადიანი ევრო გულისხმობს საკრედიტო ხაზს საქართველოს ბანკისგან, რომელსაც კომპანია მოკლევადიანი ლიკვიდურობის სამართავად იყენებს

ფინანსურ ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

	31-03-19	31 12-18	31-12-17
ლარი	11.0%	11.1%	10.4%
აშშდ	7.5%	7.5%	7.0%
ევრო	5.4%	5.3%	6.2%

კომპანია მუდმივად ცდილობს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას.

კომპანია 2019 წლის იანვარში გეგმავდა ლარში დენომინირებულ საბიზნესოვანი ვალდებულებების ემისიას, თუმცა უკეთეს პირობებში შესაბამისი სახსრების მიღები გამო, ამ ემისიაზე კომპანიამ უარი განაცხადა.

**ძირითადი საქმიანობა**

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის პროდუქტებს, რომლებიც მორგებულია სხვადასხვა სეგმენტზე. კომპანიას სპეციფიკური პროდუქტები აქვს : მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებისთვის, მცირე და მაღალშემოსავლიანი ფიზიკური პირებისთვის. მაგალითად, 2015 წელს კომპანიამ შპს „კავკასუს ავტო იმპორტთან“ თანამშრომლობით შეიმუშავა საკმაოდ ხელსაყრელი პროდუქტი მეორადი ავტომობილების მომხმარებლებისათვის. 2017 წლის სექტემბრიდან, კომპანიამ დაიწყო კიდევ ერთი ახალი პროდუქტის შეთავაზება დაბალშემოსავლიანი სეგმენტისთვის - ლომბარდული ტიპის დაფინანსების სახით.

კომპანიის პროდუქტები	სალიზინგო თანხა (აშშ\$)	თანადაფინანსება	ლიზინგის ვადა	%	სხვა მოთხოვნები	შენიშვნები
ფინანსური ლიზინგი, უკულიზინგის ჩათვლით (ძირითადი პირობები),	მინ. 5,000	მინ. 10%	მაქს. 5 წელი	მინ. 14,5%	მისაღები აქტივი აქტივის მისაღები დაგეგმილი გამოყენება ზოგადი ფინანსური მდგომარეობა დაზღვევა	ყველაზე გავრცელებული ფინანსური პროდუქტი მსოფლიოს მასშტაბით
ავტოლიზინგი კომპანიებისთვის (ახალი და მეორადი მანქანები)	მინ. 2,000	მინ. 20%	მაქს. 6 წელი	მინ. 14%	ავტოლის მისაღები გამოყენება დაზღვევა	
საოპერაციო ლიზინგი	მინ. 5,000	5-10%	24-36 თვე	მინ. 15,5%	მისაღები საკრედიტო რეიტინგი ზოგადი ფინანსური მდგომარეობა აქტივის მისაღები დაგეგმილი გამოყენება დაზღვევა	პირველი საოპერაციო ლიზინგი ბაზარზე
საცალო ავტოლიზინგი	მინ. 1,000	მინ. 20%	მაქს. 6 წელი	მინ. 14%	მისაღები საკრედიტო რეიტინგი მისაღები აქტივი აქტივის მისაღები დაგეგმილი გამოყენება დაზღვევა	
საცალო ავტოლიზინგი (ავტომარტივი – მანქანების იმპორტი)	მინ. 1,000	20%	მაქს. 5 წელი	18%	მისაღები საკრედიტო რეიტინგი მისაღები აქტივი აქტივის მისაღები დაგეგმილი გამოყენება დაზღვევა	მსუბუქი ავტომობილების იმპორტის პირველი დაფინანსება საუკეთესო პირობებით ბაზარზე.
ტურბო – მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მსგავსი პირობების ლიზინგი	მინ. 1,000	მინ. 20%	მაქს. 6 წელი	მინ. 48%	მისაღები საკრედიტო რეიტინგი მისაღები აქტივი აქტივის მისაღები დაგეგმილი გამოყენება დაზღვევა	კომპანიას 5 სხვადასხვა ქალაქში აქვს შესაბამისი სერვის ცენტრები გახსნილი

## სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა

კომპანია იყენებს სპეციალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას (Microsoft Dynamics NAV). აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს ლიზინგს, ყასს და საგადასახადო აღრიცხვას, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ ფუნქციებს.

## ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკა

კომპანიას აქვს ბიზნესის უწყვეტობისა და უბედური შემთხვევისგან აღდგენის გეგმა, სადაც დეტალურადაა გაწერილი კრიზისულ სიტუაციებში თანამშრომელთა მოვალეობანი.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმა მოიცავს რეაგირების რამდენიმე ფაზას:

- მოვლენის დაფიქსირება და მისი კვალიფიკაცია კრიზისულ სიტუაციაში;
- ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ამოქმედებაზე გადაწყვეტილების მიღება;
- BCP გეგმის ამოქმედებისათვის მომზადების პერიოდი;
- ბიზნესის უწყვეტობის გეგმის მოქმედების პერიოდი;
- სრული აღდგენის ფაზა, ძირითად პროცესზე სრული დატვირთვით გადასვლა;

იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირდება ინციდენტი ან ალერტი, რომელიც კვალიფიცირდება ან შესაძლოა შეფასებული იქნას როგორც კრიზისული სიტუაცია, აღნიშნულის შესახებ ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია აცნობოს მის უშუალო მენეჯერს.

უშუალო მენეჯერის მიერ სიტუაციის შეფასების შემდგომ, იგი ვალდებულია მიიწეროს აღნიშნული შეტყობინება საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფის მეილზე, ან დაუკავშირდეს კრიზისის მართვის კომიტეტის ხელმძღვანელს და შეატყობინოს მოვლენის შესახებ.

კრიზისული ბიზნეს ფუნქციების შემსრულებელი დეპარტამენტების თანამშრომლები და საკვანძო თანამშრომლები ვალდებული არიან პირდაპირ მიმართონ აღნიშნულის თაობაზე კრიზისის მართვის კომიტეტს.

კრიზისის მართვის კომიტეტმა დაუყონებლივ უნდა განიხილოს შემთხვევა და მიიღოს გადაწყვეტილება ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ამოქმედების თაობაზე.

გადაწყვეტილება ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ამოქმედების თაობაზე აუცილებელი წესით გაეგზავნება:

- კრიტიკული სამსახურის უფროსებს;
- კრიტიკული სერვისების მომწოდებელ ვენდორებს და/ან აუტსორსინგულ კომპანიებს, რომელთა ჩართულობაც საჭიროა ბიზნესის უწყვეტობის გეგმის მოქმედების ფარგლებში;

ბიზნესის უწყვეტობის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ბრენდის მართვა.

## სალიზინგო აქტივების მართვის პოლიტიკა


კომპანიას სალიზინგო აქტივების მართვის პოლიტიკა შემდეგნაირია:

- ყველა აქტივი ფასდება ინდივიდუალურად, ლიზინგის გაცემამდე
- ლიზინგის გაცემის შემდეგ ხდება აქტივების მონიტორინგი - 6 თვეში ერთხელ. (გარდა მსუბუქი ავტომობილებისა, რადგან არ არის ხშირად გადამოწმების საჭიროება თუ კლიენტს ყოველთვიური გადასახადის გადახდის შეფერხება არ აქვს)
- ყველა აქტივი სურათდება და მონიტორინგის აქტებთან ერთად ინახება კომპანიაში
- ლიზინგის გაპრობლემების შემთხვევაში, ჩამორთმეული აქტივი სურათდება, აღიწერება და გადადის საწყობში
- ყველა აქტივი დაზღვეულია (მათ შორის რისკიან კლიენტებზე აქტივები დაზღვეულია „გაუჩინარების რისკზე“ - იმ შემთხვევაში, თუ 3 თვეში ვერ მოხდება აქტივის მოძიება, სადაზღვეო კომპანია ანაზღაურებს მთლიან თანხას)

## ლიზინგის პოლიტიკა და პროცედურები

კომპანიამ ჩამოაყალიბა პროცედურები პროექტების დამტკიცებისა და განხორციელებისთვის, პროექტების მონიტორინგისთვის, რეზერვების შექმნისთვის, ვადაგადაცილებული გადასახადების მართვისთვის და აქტივების ჩამორთმევისთვის. ეს პროცედურები ჩამოყალიბებულია კომპანიის მიერ მიღებულ შიდა დოკუმენტებში.

*პროექტის დამტკიცებისა და გაცემის პროცედურა* შემუშავდა მომხმარებლის უკეთ მომსახურების, მომსახურების სტანდარტიზაციის და საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ეს პროცედურა მოიცავს შიდა და სამეთვალყურეო ზედამხედველობას, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვას და რამდენიმე საფეხურიან კონტროლს, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები ან / და თაღლითობა.



შენიშვნა: კომპანიის სალიზინგო პროგრამული უზრუნველყოფა "Microsoft Dynamic NAV" შექმნილია მოწინავე პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, „ერნსტ & იანგის“ რეკომენდაციით, სათანადო პროცესების გაუმჯობესების, მეტი სტანდარტიზებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

პროექტის მონიტორინგის პროცედურა ორი კომპონენტისგან შედგება: ლიზინგის **ფინანსური მონიტორინგი**, რომელიც შერჩევით და იშვიათად გამოიყენება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის გამცემს ეჭვები აქვს ლიზინგის მიმღების ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით. სხვა დანარჩენ შემთხვევებში ტარდება სტანდარტული ფინანსური შემოწმება, რომელიც ითვალისწინებს გირაოების, საგადასახადო ვალდებულებების, გაყიდვების მონაცემების შემოწმებას და სხვა. ფინანსურ მონიტორინგს ლიზინგის მენეჯერი ატარებს. **ტექნიკური მონიტორინგი** მიზნად ისახავს უზრუნველყოს აქტივების სათანადო დაცვა და რეგულარული მომსახურება აქტივების სპეციფიკაციების მიხედვით. ლიზინგის აქტივის მონიტორინგი ტარდება ყოველ 6-12 თვეში ერთხელ ლიზინგის დაწყებიდან თუ საგანგებო გარემოებები დაუგეგმავ მონიტორინგს არ ითვალისწინებს. მონიტორინგი, როგორც წესი, გაუფრთხილებლად ტარდება, ხოლო ლიზინგის გამცემის წარმომადგენელს გარანტირებული წვდომა აქვს აქტივზე, რაც უზრუნველყოფილია ლიზინგის ხელშეკრულების პირობებით. ტექნიკურ მონიტორინგს კომპანიის ექსპერტთა ჯგუფი ატარებს.

**ვადაგადაცილებული პორტფელის მართვის პროცედურა** ადგენს ვადაგადაცილებული გადახდების მართვის წესებს, შესაბამის ზომებს და ხაზს უსვამს ადრეული რეაგირების და ლიზინგის მიმღებთან მჭიდრო ურთიერთქმედების მნიშვნელობას, რომ შემცირდეს ტექნიკური, ფინანსური და სასამართლო დავების რისკები.

ლიზინგის მენეჯერი ურეკავს ლიზინგის მიმღებს და ატყობინებს გადახდის შესახებ გადახდის თარიღამდე 1 ან 2 დღით ადრე. (ავტომატური SMS შეტყობინების სისტემა 2018 წლის მეოთხე კვარტალში დაინერგა) იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ახორციელებს სათანადო გადახდას კომპანია შემდეგ პროცედურებს მიმართავს:

ვადაგადაცილების დღიური მონიტორინგი	დღეები	5	10	15	20	25	30	35	40	45	50	55	60	65	70	75	80	85	90	95	100	
ლიზინგის გამგეში აზავენის ფორმალურ წერილს ლიზინგის მიმღებთან ვადაგადაცილებული გადასახადის შესახებ	3-5 დღე	■																				
ლიზინგის მიმღები იღებს ყოველდღიურ შეხსენებას ვადაგადაცილებული გადახდებთან დაკავშირებით	1-45 დღე		■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■
ლიზინგის მენეჯერი მუშაობს ლიზინგის მიმღებთან რათა გამოიკვლიოს ვადაგადაცილების მიზეზები	5-45 დღე			■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■
პრობლემური ლიზინგის პორტფელის მენეჯერი იწყებს მუშაობას შემთხვევაზე	45-90 დღე											■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■
ლიზინგის გამგეში იღებს გადაწყვეტილებას რომ დაიბრუნოს აქტივი	90+ დღე																				■	■

### რეზერვირების პროცედურა

2018 წლის 1-ლი იანვრიდან, მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა საერთაშორისო ფინანსური რეპორტირების ახალი სტანდარტი (IFRS 9), კომპანიამ შეცვალა დარეზერვების პროცედურა და მეთოდოლოგია.

2018 წლამდე კომპანიას რეზერვირების ორი მეთოდი ჰქონდა შემუშავებული: სტანდარტული პორტფელის რეზერვირება და ინდივიდუალური რეზერვირება:

1) სტანდარტული კოლექტიური რეზერვირება ყველა პროექტზე ვრცელდებოდა და ეფუძნებოდა პორტფელის ჩამოწერის 10-წლიან ისტორიულ მონაცემებს (2017 წლის 31 დეკემბრისთვის პორტფელის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა 1.79%-ს). სტანდარტული რეზერვირება ვადაგადაცილებული გადახდის 30-ე დღემდე გამოიყენება.

2) ინდივიდუალური რეზერვირება გამოიყენებოდა:

- ლიზინგებისთვის 60 + დღიანი ვადაგადაცილებით:
  - კომპანია აფასებდა აქტივს და მისი გაყიდვის ფასს ექვსი თვის შემდეგ (რასაც საფუძვლად ედო ის ვარაუდი, რომ აქტივი ექვემდებარებოდა გასხვისებას დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ)
  - კომპანია ითვლიდა აქტივის გაყიდვის ფასის დადისკონტირებულ ღირებულებას და ამ თანხის 60%-ს (განსაზღვრულია კომპანიის შიდა პოლიტიკით) ადარებდა აქტივის საბალანსო ღირებულებას;
  - თუ თანხა ნაკლები იყო აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, განსხვავება აღიარდებოდა, როგორც გაუფასურების ხარჯი;
  - თუ თანხა მეტი იყო აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, გამოიყენებოდა კოლექტიური რეზერვირების მიდგომა.
- ლიზინგებისთვის 30-60 დღის ვადაგადაცილებით გამოიყენებოდა ან კოლექტიური რეზერვირების განაკვეთი ან ინდივიდუალური რეზერვირების განაკვეთი (როგორც ეს ზემოთ არის განმარტებული).

ახალი მეთოდოლოგია უფრო დაზუსტებით ასახავს გასაუფასურებელ პორტფელს, რაც გულისხმობს იმას, რომ მეთოდოლოგია და კალკულაცია დამოკიდებულია სამომავლო დაშვებებსა და ტენდენციებზე. კომპანია თავის პორტფელს ყოფს 2 ნაწილად, იურიდიულ და ფიზიკურ პირებად. ორივე ნაწილის შემთხვევაში კომპანია იყენებს კოლატერალიზირებულ მიდგომას, რაც ნიშნავს, რომ თითოეული სალიზინგო პროექტისთვის კომპანია აფასებს გალიზინგებული აქტივის ღირებულებას და ადარებს ლიზინგის დებიტორულ დავალიანებას, მათ შორის სხვაობას კი ამრავლებს პროექტის დეფოლტის ალბათობაზე.

პროექტის დეფოლტის ალბათობის დაანგარიშება ხდება უკანასკნელი სამი წლის სტატისტიკით, რაც თავისმხრივ კორექტირდება სამომავლოდ კლიენტების შესაძლო გადახდისუნარიანობის ალბათობით.


იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის დეფოლტის ალბათობის დათვლის პრინციპი არის მსგავსი, თუმცა განსხვავდება როგორც სტატისტიკური მონაცემები, ისე გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებული სამომავლო დაშვებები.

2017 წლის ბოლოს ახალი მეთოდოლოგიით გადათვლილმა რეზერვებმა შეადგინა 412 ათასი ლარი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი 1,139 ათასი ლარი. 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 1,199 ათასი ლარია (ეს რიცხვი გამოყვანილია კომპანიის მენეჯმენტის მიერ და დაფუძნებულია სუბიექტურ დაშვებებზე. ამ რიცხვის გადამოწმება აუდიტორის მიერ არ მომხდარა).

რაც შეეხება სხვა ახალ სტანდარტებს, არც IFRS 15-ს და არც IFRS 16-ს არ აქვთ მნიშვნელოვანი ეფექტი კომპანიაზე, რადგან არ აქვს შემოსავლები ისეთი კონტრაქტებიდან, რომლებიც არაა ლიზინგი, და ასევე კომპანიის ფინანსური ლიზინგის ახლანდელი აღრიცხვიანობის მოდელი სრულად აკმაყოფილებს IFRS 16-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**აქტივებზე საკუთრების უფლების აღდგენის პროცედურა**

აქტივზე საკუთრების უფლების აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც ლიზინგის მიმღებს აღარ შეუძლია გადახდა და ლიზინგის მიმცემი (კომპანია) გადაწყვეტს, რომ აღიდგინოს აქტივზე საკუთრების უფლება.



## პირითადი ბაზრები


### ბაზრის მიმოხილვა - სალიზინგო სექტორი

საქართველოს სალიზინგო სექტორი დასაბამს 2001 წლიდან იღებს, როდესაც „თბილუნვერსალბანკმა“ დაარსა პირველი სალიზინგო კომპანია, ემიტენტი.]

2007 წლიდან დღემდე, სალიზინგო სექტორის მთლიანი პორტფელი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა და 2018 წელს მთლიანმა პორტფელმა 132.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სექტორზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა 2008-09 წლების კრიზისმა და რუსეთ-საქართველოს შორის არსებულმა კონფლიქტმა იქონია. შედეგად, სალიზინგო სექტორის მთლიანი პორტფელი თითქმის განახევრდა და 2009 წელს 17.1მლნ აშშ დოლარი, ხოლო, 2010 წელს 14.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2011 წელს კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა (განხილულია ქვემოთ) ხელი შეუწყო სექტორის ზრდას, რის შედეგადაც, სექტორის ჯამური პორტფელი 2011 წელს 3-ჯერ გაიზარდა. 2014-16 წლებში სასაქონლო ფასების კრიზისმა და ლარის გაუფასურებამ შეანელა სექტორის ზრდა. თუმცა, მიუხედავად საქართველოს პირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში განვითარებული უარყოფითი მოვლენებისა, საქართველოს ეკონომიკამ შეინარჩუნა სტაბილურობა. აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან სალიზინგო სექტორის ზრდის ტემპი დაჩქარდა და 2017 წელს სექტორის ჯამური პორტფელი წინა წელთან შედარებით 63.1%-ით გაიზარდა, ხოლო, 2018 წელს ზრდამ 46.5% შეადგინა.


მიუხედავად სექტორის მნიშვნელოვანი ზრდისა (2012-18 წლებში საშუალოდ 26.1%-იანი ზრდა), მშპ-სთან მიმართებით, სალიზინგო სექტორის ჯამური პორტფელის წილი კვლავ საკმაოდ დაბალია, 2018 წლის მონაცემებით - 0.9%, ხოლო, 2017 წელს 0.6% იყო. აღნიშნული მონაცემით, საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება რეგიონში არსებულ სხვა ქვეყნებს, მაგალითად, რუსეთში სალიზინგო პორტფელის წილი მშპ-ში 1.3%-ია, ბულგარეთში 2.1%, ლატვიაში - 3.3%. საქართველოში სალიზინგო სექტორის მცირე ზომის გათვალისწინებით, არსებობს სექტორის ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი.

### ფინანსური იჯარის ბაზრის განვითარება, მლნ\$



შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია მხოლოდ კორპორატიული პორტფელის მონაცემები  
წყარო: კომპანიის მონაცემები

ლიზინგის პორტფელის წილი მშპ-ში, 2017წ.



წყარო: White Clarke Group

საბანკო სესხებთან შედარებით, ფინანსურ ლიზინგს გარკვეული უპირატესობები გააჩნია: 1) ლიზინგით აღებულ აქტივზე კომპანიას არ აქვს ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება 2) ასევე, აღსანიშნავია ლიზინგის საგადასახადო უპირატესობები, რომელიც საშუალებას იძლევა სალიზინგო გადასახადების გატარება მოხდეს ხარჯებში, რაც ამცირებს დასაბეგრ მოგებას და შესაბამისად, მოგების გადასახადს. 3) სესხისგან განსხვავებით, ლიზინგის დროს, როგორც წესი, არ ხდება დამატებითი უზრუნველყოფის მოთხოვნა. 4) სალიზინგო კომპანიებს მომწოდებლებთან ხანგრძლივი ურთიერთობის ხარჯზე შეუძლიათ ისარგებლონ შეღავათიანი პირობებით და შესაბამისად, ლიზინგის მიმღებსაც შესთავაზონ უფრო ხელსაყრელი პირობები. ამასთან, გამყიდველის რისკი მთლიანად გადადის ლიზინგის გამცემზე.


2011 წელს, საქართველოს სალიზინგო სექტორმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი კანონმდებლობა კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) პრინციპების მიხედვით. ამის შედეგად, საქართველოს საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსში რამდენიმე ცვლილება შევიდა, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა ლიზინგის სექტორში საგადასახადო ადმინისტრირება და შეამცირა სალიზინგო კომპანიების საგადასახადო ტვირთი. 2011 წლამდე, სალიზინგო კომპანიებს სხვა სექტორის კომპანიებისგან განსხვავებით არ შეეძლოთ 100%-იანი ამორტიზაციის გამოყენება. ახალი კანონმდებლობით, ასევე შესაძლებელი გახდა უიმედო ლიზინგებისათვის რეზერვის შექმნა და გაცემული ლიზინგის ღირებულების 80%-ის ჩამოწერა, თუ ვადაგადაცილება 60 დღეს აღემატება, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მოგებაზე ეფექტური გადასახადი. განახლებული საგადასახადო კოდექსი იძლევა აგრეთვე სალიზინგო აქტივებზე ქონების ეფექტური გადასახადების გაანგარიშების საშუალებას ლიზინგის გამცემისთვის (უიმედო ლიზინგების გათვალისწინებით). ამასთან, დღგ-ის გადახდა ლიზინგის გადახდის პროპორციულად ხდება (ლიზინგის გრაფიკის მიხედვით), რაც დამატებით სარგებელს წარმოადგენს.

ქვეყანაში დოლარიზაციის მაღალი დონის არსებობის გამო, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ლარიზაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2017 წლიდან ფინანსურ ინსტიტუტებს აკრძალა 100,000 ლარამდე სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემა, 2019 წლიდან ეს ზღვარი 200,000-მდე გაიზარდა. 2018 წლის ივლისიდან ლარიზაციის პროგრამა ლიზინგის სექტორსაც შეეხო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ლიზინგის გამცემის მიერ ფიზიკური პირისაგან (მათ შორის, ინდ. მეწარმისაგან) მისაღები თანხა არ შეიძლება იყოს რაიმე ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული, თუ ლიზინგის დაფინანსების თანხა არ აღემატება 100,000 ლარს (2019 წლის იანვრიდან, ზღვარი 200,000 ლარამდე გაიზარდა). 2019 წლის იანვრიდან ასევე, ფიზიკურ პირებზე (მათ შორის ინდ. მეწარმეზე) გაცემული ლიზინგისთვის, დაწესდა წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 50%-იანი ზედა ზღვარი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სალიზინგო სექტორში საცალო პორტფელის წილი დაბალია, ახალი რეგულაციები შეამცირებს საცალო პორტფელის ზრდას.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმები გაატარა, შეამცირა კორუფცია, გაამარტივა საგადასახადო და საბაჟო პროცედურები და გააუმჯობესა საჯარო მომსახურება. გადასახადების რიცხვი საქართველომ 2004 წელს არსებული 21-დან მხოლოდ 6-მდე დაიყვანა. ამ ცვლილებებმა ხელი შეუწყო ქვეყანაში ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნებას, მიუხედავად იმ ეკონომიკური შოკებისა, რომლებიც ქვეყანამ და რეგიონმა გამოიარა, მათ შორის 2008-09 წლების კრიზისი. შედეგად, მსოფლიო ბანკის 2019 წლის ანგარიშის - „Ease of Doing Business“ მიხედვით, 190 ქვეყანას შორის, საქართველომ მე-6 ადგილი დაიკავა. ამასთან, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch-მა 2018 წელს საქართველოს საკრედიტო რეიტინგი ერთი საფეხურით გააუმჯობესა და „BB“-დან „BB“-მდე გაზარდა. აღსანიშნავია, რომ სარეიტინგო კომპანია Moody's-მა საქართველოს დაახლოებით იმავე დონის რეიტინგი 2017 წელს მიანიჭა. აღსანიშნავია ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმები, მოგების გადასახადის რეფორმა (ე.წ. ესტონური მოდელი) და დღგ-ს ავტომატური უკან დაბრუნების რეფორმა, რამაც გააუმჯობესა ქართული კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, და შექმნა კორპორატიული სექტორის ჯანსაღი ზრდის საფუძველი.


გაუმჯობესებული ბიზნეს გარემოს პარალელურად, უკანასკნელ წლებში იზრდება საქართველოში მოქმედი აქტიური ბიზნესების რიცხვი, რამაც 2019 წლის თებერვლის მდგომარეობით, 180,618 შეადგინა.

**აქტიური ბიზნესების რიცხვი**




წყარო: სასტატი

**აქტიური ბიზნესების ჩაშლა რეგიონების მიხედვით, 2018**




საქართველოში სალიზინგო სექტორი შედარებით მცირე მოცულობისაა, თუმცა, სექტორის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით, კომპანიის ხედვა ოპტიმისტურია. აღსანიშნავია, რომ ლიზინგით დაფინანსებაზე მოთხოვნას ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესები ქმნიან, რომელთა ბრუნვა 2008-18 წლებში 2.8-ჯერ გაიზარდა და 2018 წელს 16.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 2018 წელს 4.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 22.2%-იანი ზრდაა (ზრდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი). აღსანიშნავია, რომ მთავრობა ხელს უწყობს კერძო სექტორის განვითარებას, მაგ: 2017 წელს ე.წ. ესტონური მოდელის შემოღებამ (სადაც კომპანიები არ იხდიან მოგების გადასახადს რეინვესტირებულ და/ან გაუნაწილებელ მოგებაზე) დადებითი გავლენა იქონია საქართველოში ოპერირებად კომპანიებზე. 2017 წელს, ქართული კომპანიების მიერ ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები წლიურად 22.3%-ით გაიზარდა და 2.2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რომლის 39.2% (0.8 მილიარდი აშშ დოლარი) მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ იყო განხორციელებული. აღსანიშნავია, რომ ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების ზრდა განპირობებული იყო მსხვილი კომპანიების მხრიდან გაზრდილი ინვესტიციებით (1.3 მილიარდი აშშ დოლარი, წლიური 39.7% ზრდა), მცირე და საშუალო ბიზნესების მხრიდან ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები მხოლოდ 2.4%-ით გაიზარდა. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი აიხსნება იმით, რომ მსხვილმა კომპანიებმა მარტივად დაინახეს შესაძლებლობა, რასაც ესტონური მოდელი კომპანიებს სთავაზობს (მოგების გადასახადის შემცირების შესაძლებლობა) და გამოიყენეს ეს შესაძლებლობა, თუმცა, მოსალოდნელია, რომ მომავალში მცირე და საშუალო ბიზნესებიც აქტიურად გამოიყენებენ ესტონური მოდელის უპირატესობებს.

**მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ დამატებული ღირებულება, მლნ აშშ \$**



**მცირე და საშუალო საწარმოების ინვესტიციები ძირითად საშუალებებში, მლნ აშშ \$**




წყარო: საქსტატი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიზინგით დაფინანსებაზე მოთხოვნას ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესები ქმნიან, რადგან ლიზინგი მათ საბრუნავი კაპიტალის შემცირების გარეშე, აქტივის ფლობის საშუალებას აძლევს. თუმცა, საზოგადოებაში სალიზინგო პროდუქტებსა და ლიზინგის უპირატესობაზე არასაკმარისი ინფორმაციის არსებობის გამო, მოთხოვნა ლიზინგზე ჯერ კიდევ დაბალია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, პოტენციური სალიზინგო პროდუქტების იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2018 წელს დაახლოებით 218 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


დასაქმებულთა პროდუქტიულობა ბიზნესის წარმატებულობის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. საქართველოში, ბოლო წლებში იზრდება დასაქმებულთა პროდუქტიულობის მაჩვენებელი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესებში. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს პირველად დაფიქსირდა საშუალო ზომის კომპანიებში დასაქმებულთა უფრო მაღალი პროდუქტიულობის მაჩვენებელი, მსხვილ კომპანიებში დასაქმებულებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ მცირე კომპანიებში დასაქმებულთა პროდუქტიულობის მაჩვენებელი ისტორიულად ყველაზე დაბალია, 2018 წელს მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, მცირე კომპანიებში დასაქმებულთა მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება წინა წელთან შედარებით 26.9%-ით გაიზარდა. პროდუქტიულობის მაჩვენებელი ევროპის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოში მნიშვნელოვნად დაბალია, რაც პროდუქტიულობის გაზრდის მეტ შესაძლებლობებზე მიუთითებს. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ზრდა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ლიზინგის სექტორის ზრდას.

**დასაქმებულთა პროდუქტიულობა მცირე და საშუალო ბიზნესებში, აშშ \$ ერთ დასაქმებულზე**



წყარო: საქსტატი

**პოტენციური სალიზინგო საქონლის იმპორტი, მლნ აშშ \$**



წყარო: საქსტატი

კომპანიის მოლოდიანია, რომ სალიზინგო სექტორი გააგრძელებს სწრაფ ზრდას საშუალოვადიან პერიოდში. მიუხედავად გაზრდილი რეგულაციებისა (ლარიზაცია და საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვრის დაწესება), სექტორის შედარებით მცირე ზომა, სალიზინგო პროდუქტებზე ცნობადობის ამაღლება, კომპანიებში გაზრდილი მომგებიანობა და მცირე და საშუალო ბიზნესების გაზრდილი პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სექტორის ზრდას.

## ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა

კომპანიის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები წლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

- 2001 წელი - დაარსდა „თბილუნვერსბანკის მიერ, როგორც პირველი სალიზინგო კომპანია საქართველოში
- 2005 წელი - გახდა საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია საქართველოს ბანკისა და თბილუნვერსალბანკის შერწყმის შედეგად
- 2011 წელი - მიიღეს ახალი სალიზინგო რეგულაციები და ცვლილებები შევიდა საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსებში
- 2013 წელი - მთლიანი პორტფელი 2.8-ჯერ გაიზარდა 2009 წ-თან შედარებით და 15.8 მლნ აშშ \$ შეადგინა
- 2015 წელი - განცხადება მენეჯმენტის ახალი გუნდის შესახებ
- 2016 წელი - განვითარების ახალი სტრატეგიის, ინოვაციური პროდუქტები, განახლებული პროცედურების შემოღება. საცალო მიმართულებით აქტიური მუშაობის დაწყება
- 2017 წელი - გაიხსნა ახალი მიმართულება - ტურბო, რომლითაც ხდება მაღალრისკიანი ფიზიკური პირების დაფინანსება ავტოლიზინგის პროდუქტით.

## სამომავლო სტრატეგია და მიზნები

კომპანიამ მკვეთრად შეცვალა ბოლო წლებში მოქმედი განვითარების სტრატეგია და ამჟამად ძალიან ზუსტი მიზნები და მიმართულებები აქვს.

კომპანიამ წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებისა და ბაზარზე არსებული ტენდენციების შესწავლის საფუძველზე მოახდინა არსებული სტრატეგიის შემუშავება. ძველი ბიზნეს მოდელი შედარებით მოუქნელი და დაუხვეწავი იყო რისკების მართვის კუთხით, ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ხდებოდა აქტივის სამართლიანი ღირებულების დადგენა, სანდო მომწოდებლის სწორად შერჩევა, არაკეთილსინდისიერი გადამხდელების დროული/სწორი ადენტიფიკაცია, საეჭვო მოთხოვნების ადეკვატური რეზერვის შექმნა. აღნიშნულის გამო კომპანიას მოუხდა პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოწერა და ხარჯად აღიარება. შედეგად კი 2015 და 2016 წლებში ფინანსური ზარალიც დაფიქსირდა.

აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად კომპანიამ მთლიანად შეცვალა მენეჯმენტის გუნდი და განახორციელა მთელი რიგი ცვლილებები: გადავიდა ახალ, სწრაფ და უფრო მოქნილ მიდგომაზე რისკების მენეჯმენტის კუთხით, მნიშვნელოვნად გაძლიერდა სალიზინგო აქტივების შემფასებელთა გუნდი და შემდგომი მონიტორინგის სამსახური. ამასთან, კომპანიამ აქცენტი გააკეთა პორტფელის დივერსიფიკაციაზე და გაზარდა მომხმარებლების სპექტრი - სრულიად ახალ სეგმენტზე გათვლილი პროდუქტების შეთავაზების მეშვეობით.

ამჟამად კომპანიას პორტფელი აქვს როგორც კორპორაციულ, ისე საცალო სექტორებში და მკაცრი კონკურენცია არა მარტო სალიზინგო კომპანიებთან, არამედ ადგილობრივ ბანკებთან. იმისათვის, რომ კონკურენტუნარიანი დარჩეს, კომპანია დაჩქარებულ პროცესებზე აკეთებს აქცენტს. მან შეიცვალა დამტკიცების (და რისკების შეფასების) პროცედურა და გადავიდა სწრაფ მიდგომაზე - აქტივზე დაფუძნებულ დაფინანსებაზე. აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიამ ჩამოაყალიბა აქტივების მართვის ძალიან ძლიერი გუნდი, რომ უზრუნველყოს აქტივების უკეთესი თავდაპირველი შეფასება, უკეთესი მონიტორინგი და სწრაფი რეაგირების პროცესი დეფოლტის შემთხვევაში. შედეგად, კომპანიის მომსახურება გახდა უფრო სწრაფი და მოქნილი რაც ბოლო პერიოდში უკვე აისახა კომპანიის პორტფელის ზრდის ტემპზე. რისკების დაზღვევის გაუმჯობესებულმა პროცედურებმა კი კომპანია უფრო მომგებიანი გახადა.

2015 წლის ბოლოს კომპანიამ საცალო ბაზარზე ახალი პროდუქტები გაიტანა (ზოგიერთი მათგანი ინოვაციურია ბაზრისთვის) და 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით მოახერხა დაახლოებით 30,764 ათასი ლარის საცალო (გროს) პორტფელის მოზიდვა.

საცალო პორტფელის მნიშვნელოვან მზარდ ნაწილს წარმოადგენს 2017 წლის სექტემბერში დანერგილი ახალი პროდუქტი „ტურბო“. კომპანიამ სხვადასხვა მარკეტინგული გზებით და წახალისებებით (მაგ. აქცია, რომლის მიხედვითაც კლიენტს არ უწევს პირველი 3 თვის პროცენტის გადახდა და მხოლოდ ძირს ფარავს) მოახერხა 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით 12,855 ათას ლარიანი (გროს) პორტფელის შექმნა.

სტრატეგიის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სინერგია - კომპანიამ მოახერხა შეექმნა კომბინირებული (ექსკლუზიური) პროდუქტი საცალო მანქანების წამყვან იმპორტიორთან და მომსახურების მიმწოდებელთან ერთად, რის შედეგადაც ახალი პროდუქტი შეიქმნა (რისკის დაზღვევის ეფექტური სქემით) - მსუბუქი ავტომანქანების სწრაფი, მარტივი და იაფი იმპორტის დაფინანსება, გარანტიებით - რამაც უზრუნველყო საკმაოდ მნიშვნელოვანი პორტფელის ზრდა და ნულოვანი ზარალი პროდუქტის შექმნიდან დღემდე. კომპანია მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ხედავს ადგილობრივ ბაზარზე, რადგან ლიზინგის სექტორი კვლავ არასაკმარისად არის განვითარებული საქართველოში. კომპანია აქტიურად ცდილობს მიწვდეს და მოიზიდოს ახალი კლიენტები და მოახდინოს სხვადასხვა კლიენტებისთვის მორგებული პროდუქტის

შეთავაზება. უნდა აღინიშნოს, რომ სს „საქართველოს ბანკი“ (დამფუძნებელი) განვითარების ყველა ეტაპზე მხარს უჭერს კომპანიას ფინანსური და სხვა რესურსებით, მათ შორის სამომავლო მიზნების განხორციელებაში.

აღსანიშნავია, რომ კომპანიას მომწოდებელთა დივერსიფიცირებული ბაზა ჰყავს (კლიენტები თვითონ არჩევენ სალიზინგო აქტივს და კომპანია შემდეგ ერთვება დაფინანსების პროცედურაში) და არცერთი მომწოდებლისგან არ აქვს მთლიანი პორტფელის 10%-ზე მეტი შეძენილი.

მარკეტინგული პროგრამა კომპანიამ აგრესიული მარკეტინგული კამპანია დაიწყო 2019 წლის ივნისში და ცდილობს ყველაზე პოპულარული, სწრაფი და ხელმისაწვდომი გახადოს „ტურბოლიზინგი“. სარეკლამო რგოლები განთავსებულია სოციალურ ქსელებში, ტელევიზიებსა და რადიოში. გარდა ამისა, კომპანიის სარეკლამო ბანერები განთავსებულია ქართულ პოპულარულ საიტებზე.


კომპანია ასევე გეგმავს სხვადასხვა მარკეტინგულ აქციებს კორპორატიული კლიენტებისთვისაც, რომლებსაც ძირითადად საქართველოს ბანკთან თანამშრომლობით აპირებს.

## ემიტენტის კონკურენტული გარემოსა და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა

დღესდღეობით, საქართველოს სალიზინგო ბაზარზე საბანკო საკუთრებაში არსებული სალიზინგო კომპანიები დომინირებენ, კერძოდ: თი-ბი-სი ლიზინგი და საქართველოს სალიზინგო კომპანია, რომლებიც შესაბამისად, თიბისი ბანკისა და საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანიები არიან. სალიზინგო კომპანია ალიანს ჯგუფი ლიზინგი, რომელიც 2006 წელს დაარსდა ბაზარზე არსებული მესამე წამყვანი მოთამაშეა, თუმცა, სალიზინგო პორტფელის ზომით - ყველაზე პატარა. საბანკო საკუთრებაში არსებული სალიზინგო კომპანიების უპირატესობები მოიცავს ბანკის მომხმარებელთა ბაზის ხელმისაწვდომობას და ბანკის საბალანსო უწყისის სიძლიერეს, აგრეთვე სასესო რესურსების გამოყენების უფრო მაღალ მაჩვენებელს. გარდა ამისა, სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან განსხვავებით, სალიზინგო კომპანიები ეროვნული ბანკის მიერ პარდაპირ არ რეგულირდება, თუმცა, ადგილობრივ ბანკებთან კავშირის გამო, სამი წამყვანი კომპანიისგან ორი ირიბად მიაჩნ კონტროლირდება (თი-ბი-სი ლიზინგი და საქართველოს სალიზინგო კომპანია). საქართველოში, ლიზინგის უმეტესი ნაწილი (დაახლ. 95%) ფინანსური ლიზინგია.

გასული ათი წლის განმავლობაში (გარდა 2010 წლისა), საქართველოს სალიზინგო ბაზარზე თი-ბი-სი ლიზინგი ლიდერობდა, 2018 წლის მონაცემებით, სალიზინგო ბაზრის 71% სწორედ თი-ბი-სი ლიზინგს ეკუთვნის. თი-ბი-სი ლიზინგის პორტფელი 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 45.5%-ით გაიზარდა და 252.8 მლნ ლარი შეადგინა. უფრო მაღალი ზრდა დაფიქსირდა საქართველოს სალიზინგო კომპანიის პორტფელში, რომელმაც 2018 წელს 94.4 მლნ ლარი შეადგინა (წლიური 81.3% ზრდა) და ბაზარზე 27%-იანი წილი დაიკავა (კომპანიას 2017 წელს 22%-იანი ბაზრის წილი ჰქონდა). აღსანიშნავია, რომ სალიზინგო კომპანია „ალიანს ჯგუფი ლიზინგის“ პორტფელი ბოლო 5 წლის განმავლობაში პირველად შემცირდა და 2018 წელს ბაზარზე მხოლოდ 1.8%-იანი წილი დაიკავა, მაშინ, როდესაც ბაზარზე მისი წილი 2017 წელს 3.4% იყო.

## სამი ძირითადი კონკურენტის წილი მთლიან სალიზინგო პორტფელში




წყარო: კომპანიის მონაცემები

2018 წლის მონაცემებით, მშენებლობა, მომსახურება, მსუბუქი მრეწველობა, მედიცინა და სოფლის მეურნეობის სექტორი სალიზინგო საქმიანობის თვალსაზრისით, ყველაზე მოცულობითია და მათი წილი მთლიან პორტფელში 55.5%-ს შეადგენს. თი-ბი-სი ლიზინგის პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებულია მშენებლობის, მომსახურების, სამედიცინო და მსუბუქი მრეწველობის სექტორებზე (მთლიანი პორტფელის 54.8%). ხოლო, საქართველოს სალიზინგო კომპანიის მთლიანი პორტფელის 51.9% მშენებლობის, მომსახურების, ტრანსპორტირებისა და საგზაო მშენებლობის სექტორებს უჭირავს.

ისტორიულად, საქართველოს სალიზინგო პორტფელში საცალო სექტორს მცირე წილი ეჭირა, თუმცა, 2017 წლიდან ორმა ძირითადმა სალიზინგო კომპანიამ, თი-ბი-სი ლიზინგმა და საქართველოს სალიზინგო კომპანიამ, მოცემული სექტორის დაფინანსება გაზარდა. 2018 წელს, თი-ბი-სი ლიზინგის საცალო სექტორის პორტფელი თითქმის გაორმაგდა (წლიური 118.8%-იანი ზრდა) და 31.0 მლნ შეადგინა, რაც მთლიანი


პორტფელის დაახლოებით 12% იყო. 2016 წელს, საქართველოს სალიზინგო კომპანიის საცალო პორტფელი მხოლოდ 6.6 მლნ ლარს შეადგენდა (მთლიანი პორტფელის 17.9%), რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში 4.1-ჯერ (27.0 მლნ ლარამდე) გაიზარდა და 2018 წელს მთლიანი პორტფელის 28.6% დაიკავა.

ლიზინგის ბაზრის პორტფელი დარგების მიხედვით, 31/12/2018



წყარო: კომპანიის მონაცემები


საქართველოს სალიზინგო კომპანიის პორტფელის ჩაშლა, 31/12/2018



წყარო: კომპანიის მონაცემები

2015-2016 წლებში, მნიშვნელოვანი აქტივების ჩამოწერის გამო, საქართველოს სალიზინგო კომპანიას ჰქონდა ზარალი, თუმცა 2017 წელს მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და 2018 წელს დასაბეგრი მოგების მაჩვენებელმა 2.5 მილიონ ლარს მიაღწია (59%-იანი ზრდა). აღსანიშნავია, რომ 2018 წელს თიბისი ლიზინგის დასაბეგრი მოგება წინა წელთან შედარებით 47%-ით გაიზარდა და 6.1 მილიონ ლარს მიაღწია. (რიცხვები დაყრდნობილია არააუდიტირებულ, მენეჯერული აღრიცხვის მიზნებისთვის შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე).

**წლიური მოგება დაბეგვრამდე, მლნ ლარი**




წყარო: კომპანიის მონაცემები (არააუდიტირებული) მენეჯერული აღრიცხვის მიზნებისთვის

## ინვესტიციები

ემიტენტს არ განუხორციელებია რაიმე სახის მნიშვნელოვანი ინვესტიცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში.

## ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა

ჯგუფის ვერტიკალური სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:



2018 წლის 29 მაისს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული „ბიჯეო ჯგუფი“ ორად გაიყო. გაყოფის შედეგად, ლონდონის საფონდო ბირჟაზე ორი საჯარო კომპანიის აქციები არის სავაჭროდ დაშვებული - „საქართველოს ბანკის ჯგუფისა“ და „საქართველოს კაპიტალის“.

**ფინანსური მდგომარეობა**

კომპანიის ფინანსური უწყისები გამჟღავნებულია შესაბამის თავეებში (საბალანსო უწყისი, გვ. 103; მოგება-ზარალის უწყისი, გვ. 104; ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი, გვ. 105)

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების გადანაწილება ვადიანობის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

(000' ლარი)	31-03-19	31-12-18	31-12-17
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,608	6,335	1,178
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	45,112	43,103	24,909
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	13,130	11,115	9,446
საიჯარო მიზნებისთვის განკუთვნილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	4,000	6,112	6,307
აქტივები გამოყენების უფლებით	377	-	-
სხვა აქტივები	1,837	1,300	553
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>	<b>69,065</b>	<b>67,964</b>	<b>42,393</b>
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	49,052	44,979	20,515
ძირითადი საშუალებები	767	750	413
აქტივები გამოყენების უფლებით	672	-	-
საინვესტიციო ქონება	2,764	2,754	2,745
სხვა აქტივები	-	251	141
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>53,255</b>	<b>48,734</b>	<b>23,814</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>122,320</b>	<b>116,698</b>	<b>66,207</b>
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>			
სასესხო დავალიანება	32,261	31,358	4,803
გამოშვებული ობლიგაციები	2,506	2,428	1,760
ვალდებულებები გამოყენების უფლებით	412	-	-
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,216	2,606	1,160
დღგ და სხვა საგადასახადო დავალიანება	63	117	131
სხვა ვალდებულებები	872	1,098	893
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>	<b>37,330</b>	<b>37,607</b>	<b>8,748</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
სასესხო დავალიანება	26,425	23,934	15,375
გამოშვებული ობლიგაციები	35,633	34,513	24,391
ვალდებულებები გამოყენების უფლებით	688	-	-
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>62,746</b>	<b>58,447</b>	<b>39,766</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>100,076</b>	<b>96,053</b>	<b>48,514</b>

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით 31,735 ათასი ლარი იყო (31/12/2018: 30,358 ათასი ლარი), რაც საკმარისია კომპანიის მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად. კომპანიის მიმდინარე და სწრაფი კოეფიციენტები სტაბილურია, შესაბამისად, 1.85 და 1.50 იყო 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით (31/12/2018: 1.81 და 1.51).

ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით 2018 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 7% ით გაიზარდა და 94,164 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი აქტივების 77% იყო (31/12/2018 88,081 ლარი). ამ აქტივების 49%-ის გადახდა 1 წელიწადში უწევდა, ხოლო დანარჩენი ერთი წლის შემდეგ. მინიმალური სალიზინგო გადასახდელებისგან შესაბამისი რეკონსილაციის ცხრილი წარმოდგენილია ქვემოთ:

(000' ლარი)	1 წლამდე ვადით, 31/03/2019	1-იდან 5 წლამდე ვადით, 31/03/2019	სულ 31/03/2019
ლიზინგზე მისაღები მინიმალური გადასახდელები	51,561	85,785	137,346
გამოკლებული: გამოუმუშავებელი ფინანსური ლიზინგის შემოსავალი <sup>6</sup>	(5,753)	(36,230)	(41,983)
<b>ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები</b>	<b>45,808</b>	<b>49,555</b>	<b>95,363</b>
გამოკლებული ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(696)	(503)	(1,199)
<b>ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული წმინდა მოთხოვნები</b>	<b>45,112</b>	<b>49,052</b>	<b>94,164</b>

(000' ლარი)	1 წლამდე ვადით, 31/12/2018	1-იდან 5 წლამდე ვადით, 31/12/2018	სულ 31/12/2018
ლიზინგზე მისაღები მინიმალური გადასახდელები	47,364	78,731	126,095
გამოკლებული: გამოუმუშავებელი ფინანსური ლიზინგის შემოსავალი	(3,672)	(33,203)	(36,875)
<b>ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები</b>	<b>43,692</b>	<b>45,528</b>	<b>89,220</b>
გამოკლებული ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(589)	(550)	(1,139)
<b>ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული წმინდა მოთხოვნები</b>	<b>43,103</b>	<b>44,978</b>	<b>88,081</b>

2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ფინანსური ლიზინგის პორტფელის კონცენტრაცია 5 უმსხვილეს კლიენტზე (2 წარმოების, 1 გზების მშენებლობის, 1 სერვისის და 1 საკვები და სასმელი პროდუქტების ინდუსტრიებიდან) შეადგენს 13,589 ათას ლარს (31/12/2018: 14,501 ათასი ლარი) რაც მთლიანი პორტფელის 18,1%-ია (31/12/2018 13.1%).

კომპანია სესხებს აშშ დოლარში, ევროსა და ლარში გასცემს. ახალი რეგულაციების მიხედვით, თანდათან შეიზღუდა უცხო ვალუტაში სესხები გაცემა. რეგულაცია 2017 წლიდან ზღუდავდა 100,000 ლარის ეკვივალენტი ოდენობების სესხების უცხო ვალუტაში გაცემას, ხოლო შემდეგ (2019 წლიდან) კი ეს ზღვარი 200,000 ლარამდე გაიზარდა. ამ რეგულაციის შედეგები ნათლად ჩანს კომპანიის პორტფელის (მისაღები მინიმალური სალიზინგო გადასახდელების<sup>7</sup>) ვალუტების მიხედვით ჩაშლაში.

(000' ლარი)	31-03-19	31-12-18	31-12-17	31-12-16
აშშ დოლარი	64,562	65,421	48,525	31,627
ევრო	12,197	18,178	7,035	10,196
ლარი	60,709	42,496	6,413	1,181
<b>მინიმალური სალიზინგო გადასახდელები</b>	<b>137,467</b>	<b>126,095</b>	<b>61,973</b>	<b>43,004</b>

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისაღები მინიმალური სალიზინგო გადასახდელების მხოლოდ 3% იყო ეროვნულ ვალუტაში. ეს წილი სტაბილურად იზრდებოდა და 10%-სა და 34%-ს მიაღწია 31/12/2017-ისა და 31/12/2018-ის მდგომარეობით, შესაბამისად. ზღვარის 200,000 ლარამდე აწევის გამო 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 44% გახდა.

<sup>6</sup> გამოუმუშავებელი ფინანსური ლიზინგის შემოსავალი მოიცავს მთლიანი ლიზინგის პერიოდის განმავლობაში მისაღებ საპროცენტო შემოსავალს

<sup>7</sup> მისაღებ მინიმალურ მოცულობის სალიზინგო გადასახდელებში აღრიცხულია ის თანხები (ძირისა და პროცენტის ჩათვლით) რომლებსაც მიიღებს კომპანია ფინანსური ლიზინგებიდან პერიოდის განმავლობაში

კომპანიის პორტფელი მოიცავს სხვადასხვა საპროცენტო სარგებელში გაცემულ ფინანსურ ღირებულებებს. 2018 წლის ბოლოს პორტფელის 85% გაცემული იყო 10%-20% საპროცენტო განაკვეთის შუალედში. 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით ამ შუალედზე პორტფელის 73% მოდის. ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთის ზრდა, რაც გამოწვეულია 20 და უფრო მაღალ პროცენტებში გაცემული ღირებულების წონის ზრდით. 2017 წლის სექტემბერში კომპანია უფრო მაღალრისკიან და მაღალმარჟიან სექტორში შევიდა „ტურბო“-ს სახით და 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით მთელი პორტფელის 13% იყო (31/12/2018: 10%). სხვადასხვა საპროცენტო სარგებელში გაცემული ღირებულების მიხედვით, კომპანიის პორტფელის გადანაწილება ბოლო 3 წლის განმავლობაში შემდეგია:

	0% - 10%	10%-15%	15% - 20%	20% და ზემოთ	საშუალო შეწონილი პროცენტი %
31-12-16	0.00%	54.30%	42.80%	2.90%	15.77%
31-12-17	9.00%	44.90%	41.10%	5.00%	16.00%
31-12-18	6.31%	49.53%	31.15%	13.01%	17.41%
31-03-19	8.35%	43.82%	29.57%	18.25%	18.40%

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, კომპანიის ვადაგადაცილების სტატისტიკა საკმაოდ არის გაუარესებული. PAR 8.2%-იდან 14.5%-მდე გაიზარდა 2019 წლის პირველ კვარტალში. ეს ფაქტი უმეტესწილად გამოწვეულია შემდეგი ფაქტებით:

- საცალო პორტფელი (ძირითადად ტურბო) PAR-ში 5.1% (8.2%-ში) იყო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით 2.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 7.4% გახდა (14.5%-ში).
- 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით ერთი მსხვილი კლიენტი სესხი დარჩა ვადაგადაცილებაში, რომელიც 8 აპრილს დაიფარა. ამ კლიენტის წილი პორტფელში იყო 1.4%.
- ასევე მსხვილი კლიენტებიდან ერთი გაპრობლემურდა თებერვალში, რომლის წილი მთლიან პორტფელში 0.8% იყო.
- PAR30-ისა და PAR60-ის გაუარესება ძირითადად გამოწვეულია იმ „ტურბო“-ს სესხებით, რომლებიც ვადაგადაცილებაში იყო 31/12/2018-ისთვის არ დაფარულა და დაემატა PAR30-ისა და PAR60-ის კატეგორიებს და ასევე PAR30-ს დაემატა ის სესხები, რომლებიც ვადაგადაცილებაში არ იყო 31/12/2018-ისთვის და 2019 წლის პირველ 2 თვეში მოხვდა ვადაგადაცილებაში.

	31-03-19	31-12-18	31-12-17	31-12-16
PAR	14.5%	8.2%	7.5%	10.9%
PAR30	6.7%	3.5%	2.6%	3.3%
PAR60	4.0%	2.2%	1.3%	2.2%
PAR90	1.4%	1.6%	1.1%	1.5%

იმ აქტივების ტიპები, რომლებსაც კომპანია გასცემს ღირებულებით 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით შეიძლება გაერთიანდეს შემდეგ კატეგორიებში:

(000' ლარი)	31-03-2019		31-12-2018		31-12-2017	
	თანხა	პროექტების რაოდენობა	თანხა	პროექტების რაოდენობა	თანხა	პროექტების რაოდენობა
მანქანები და დანადგარები	17,884	113	13,827	97	6,102	82
სამშენებლო აღჭურვილობა	40,872	273	39,346	262	25,720	178
სამგზავრო მანქანები	66,774	3,281	56,976	2,543	23,154	1,119

სატრანსპორტო საშუალებები, სამგზავრო მანქანების გარდა	11,938	144	15,945	140	6,996	105
მინიმალური სალიზინგო გადასახადის დებიტორული დავალაანება *	137,467	3,811	126,095	3,042	61,973	1,484

\*გასათვალისწინებელია რომ ზემოთ ცხრილში მოცემული მინიმალური სალიზინგო გადასახადის დებიტორული დავალიანება არ არის დადისკონტირებული მონაცემები.

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები წარმოადგენს კომპანიის ბალანსზე რიცხული აქტივების მეორე უმსხვილეს კლასს, რომელიც მთლიანი აქტივების 11% და 10%-ია 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით. ეს აქტივები შემდეგნაირად არის გადანაწილებული.

(000' ლარი)	31-03-19	31-12-18	31-12-17
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები - დასაკუთრებული	3,136	2,671	2,932
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები - დასაკუთრებას დაქვემდებარებული	9,994	8,444	6,514
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	13,130	11,115	9,446

კომპანიის მიერ ჩამორთმეული აქტივები გაიყიდება ან ხელახლა გაიცემა ლიზინგით შესაბამისი სალიზინგო ხელშეკრულების საფუძველზე. ამ აქტივების 29% 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით ერთ კლიენტზე მოდის და სარწყავ სისტემებშია კონცენტრირებული, რომლებიც დიდი მოცულობისა და პოტენციური მყიდველის შეზღუდული რაოდენობის გამო შეიძლება ნაკლებად ლიკვიდური იყოს. ამ აქტივთან ერთად ამავე კლიენტზე ლიზინგით გაცემულია სასოფლო სამეურნეო დანიშნულების სხვა აქტივებიც, რომელთა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით ჯამში დაახლოებით 4,5 მილიონ ლარს შეადგენდა. აღნიშნულ დავალიანებასთან დაკავშირებით სარჩელი შეტანილ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად მოთხოვნილი იქნა და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაყადაღდა ლიზინგის მიმღების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელთა ღირებულება არის 3,234 ათასი აშშ დოლარი. საქმე უკვე განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლომ და 2018 წლის 15 მარტს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (სასამართლოს ბოლო მთავარი სხდომა ჩატარდა 2018 წლის 26 თებერვალს, ამიტომ გადაწყვეტილებაც ამ თარიღით იქნა მიღებული), რომლის საფუძველზეც კომპანიის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს დაეკისრა კომპანიის სასარგებლოდ ვალდებულების ანაზღაურება, რაც შემდეგნაირად გამოიყურება ციფრებში: ვადამოსული ვალდებულება - 5,518 ათასი აშშ დოლარი. არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთ-ერთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვადამოსვლელ ვალდებულებასთან დაკავშირებით კომპანიის მოთხოვნა, რაც თანხობრივად 262 ათასი აშშ დოლარია. სააპელაციო სასამართლოში პირველი სხდომა ჩატარდა 2019 წლის 15 მაისს, თუმცა არ დასრულებულა და გადაიდო 2019 წლის 24 ივნისს. 24 ივნისის სხდომა ისევ გადაიდო და ჩატარდება 2019 წლის 12 ნოემბერს. პარალელურად მიმდინარეობს მოპასუხესთან მორიგების პროცესი. კომპანიას მოლოდინი აქვს, რომ მორიგება შედგება მხარეებს შორის მომდევნო პროცესის გამართვის თარიღამდე.

მოცულობითია საკუთრების უფლების აღდგენის პროცესში არსებული აქტივები- ანუ ის აქტივები, რომელთა გადმოტანა კომპანიის საწყობში ფიზიკურად არ მომხდარა. ამ აქტივების დიდ ნაწილს (39%) კვლავ ზემოთ ხსენებული სარწყავი სისტემები და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მანქანა-დანადგარები/ინვენტარი წარმოადგენს. კომპანიას შეუძლია დავალიანების დაფარვის წყაროდ გამოიყენოს ზემოთ ხსენებული

დაცადაღებული მიწები (სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად დაცადაღებულია მიწები 3,234 ათასი აშშ დოლარის ოდენობით). გარდა ამისა საცალო პორტფელის სწრაფი ზრდის შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩამოწერილი მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობაც, კერძოდ საკუთრების უფლების აღდგენის პროცესში არსებული აქტივების 35%-ს შეადგენს. დარჩენილი აქტივებიდან ნაწილი (დაახლოებით 13%) მოდის სამედიცინო აპარატურაზე, რომელსაც განსაკუთრებული დემონტაჟი და სასაწყობე პირობები სჭირდება და აღვიწვევა დალუქული. დანარჩენ აქტივებზე მიმდინარეობს საკუთრების აღდგენის პროცესი (საშუალო ვადა 3 თვეა). ბალანსზე აღრიცხული აქტივები გადაფასებულია და შეესაბამება მათ სამართლიან საბაზრო ღირებულებას.

დასაკუთრებული აქტივების დიდი უმრავლესობა, გარდა მსუბუქი ავტომანქანებისა, წინა მენეჯმენტის დროს გაცემულ ლიზინგებს უკავშირდება. მას შემდეგ, რაც კომპანიაში შეიცვალა რისკის მართვის პროცედურები და მნიშვნელოვნად გაძლიერდა შემფასებელთა და მონიტორინგის ჯგუფები, მომავალში აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი ჩამოწერები და მასთან დაკავშირებული ზარალები მოსალოდნელი არ არის. როგორც წესი, დასაკუთრებული აქტივების ლიზინგით გაცემა ძველი ლიზინგის მიმღებზე არ ხდება.

კომპანიამ საკმაოდ გააუმჯობესა ჩამოწერილი აქტივების გაყიდვა/რე-ლიზინგის სტატისტიკა. 2018 წელს გაყიდული/რე-ლიზინგით გაცემული აქტივები იმ წელს ჩამოწერილი აქტივების 29.4% იყო (2017: 17.4%; 2016: 4.9%).

ცხრილში მოცემულია ბოლო 3 წლის განმავლობაში აქტივების დასაკუთრების სტატისტიკა და მასთან დაკავშირებული ხარჯები:

(000' ლარი)	2019 1Q	2018	2017	2016
ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანების ჩამოწერა	2,840	5,370	4,352	5,172
ჩამოწერილი აქტივების სამართლიანი ღირებულება	3,657	6,152	4,109	5,719
მოგება-ზარალში აღიარებული ხარჯი	(30)	(387)	(628)	(124)
გაყიდული/ რე-ლიზინგით გაცემული აქტივები	233	1,579	759	252
სულ გაყიდული/ რე-ლიზინგით გაცემული აქტივები <sup>8</sup>	622	2,897	2,922	3,919

საიჯარო მიზნებისთვის განკუთვნილ აქტივებზე გადახდილი ავანსები დამახასიათებელია სალიზინგო კომპანიებისთვის და წარმოადგენს აღჭურვილობის მომწოდებლებისათვის წინასწარ გადახდას იმ აქტიურ ლიზინგებზე, რომლებიც უკვე გამოგზავნილია, მაგრამ ჯერ არ არის მიღებული და ამიტომ არ არის აღიარებული პორტფელში. აქტივის უცხოეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და ეს თანხები აღიარდება ფინანსური ლიზინგის დებიტორულ დავალიანებაში. შესაბამისად, რაც უფრო მეტია ისეთია აქტივი, რომლის ყიდვაც უცხოეთში ხდება, მით უფრო დიდია საბალანსო უწყისის ეს მუხლიც. 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით ეს თანხა 4,000 ათასი ლარი იყო და მთლიანი აქტივების 3%-ს წარმოადგენდა (31/12/2018: 6,112 ათასი ლარი, 9%). კომპანიას რამდენიმე დიდი პროექტი ჰქონდა 2018 წლის ბოლოსთვის და ეს აქტივები 2019 წლის პირველ ნახევარში ჩამოვიდა, რაც შემდგომ სალიზინგო პორტფელში აისახა.

აქტივები გამოყენების უფლებით მოიცავს საბაზრო საპროცენტო განაკვეთით დადისკონტირებულ იჯარის გადასახდელებს იჯარით აღებულ აქტივებზე. ამ მუხლის გაჩენა საჭირო გახდა IFRS 16-ის მიხედვით აღრიცხვის გამო, რომელიც გამოიცა 2016 წლის იანვარში და ის ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ

<sup>8</sup> ამ პუნქტში შეყვანილია წინა პერიოდებში დასაკუთრებული აქტივების გაყიდვა/რე-ლიზინგით.

ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით, ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარისთვის (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულებები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

საინვესტიციო ქონება შედგება შენობისგან, რომელიც კომპანიამ თავის მშობელ კომპანიას მისცა საოპერაციო იჯარით და ეს იჯარა 2018 წლის ივლისში შეწყდა. ქონება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასებულია 2,754 ათას ლარად დამოუკიდებელი შემფასებლის (შპს ქართული საშემფასებლო კომპანია - ს/კ 205187251) მიერ.

2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით მთლიანი ვალდებულებები 100,076 ათასი ლარი იყო და მთლიანი აქტივების 82%-ს შეადგენდა. მთლიანი ვალდებულებების 59% შედგებოდა ადგილობრივი ბანკებიდან მოზიდული სესხებიდან, ხოლო 38% კი გამოშვებული ობლიგაციებისგან.

მსესხებლის დასახელება	ვალუტა	დარჩენილი ვადა	31-03-19
ობლიგაციები	აშშდ	1-3 წელი	38,138
საქართველოს ბანკის სესხი	ლარი/აშშდ	1-3 წელი	17,260
პაშა ბანკის სესხი	ლარი/აშშდ	0-2 წელი	15,772
იმ ბანკის სესხი	ლარი	<1 წელი	9,607
ვითიბი ბანკის სესხი	ლარი/ევრო	0-2 წელი	9,073
ხალიკ ბანკის სესხი	ლარი/ევრო/აშშდ	0-3 წელი	6,973
სულ პროცენტული ვალდებულებები	0	0	96,824

2017 წლის აგვისტოში კომპანიამ 10 მილიონი აშშ დოლარის (ISIN GE2700603535) ღირებულების საჯარო ობლიგაციები გამოუშვა და სრულად განათავსა, ფიქსირებული კუპონის 7% წლიური განაკვეთით, დაფარვის ვადით 2020 წლის 31 აგვისტოს.

2018 წლის ივნისში კომპანიამ ასევე გამოუშვა 5 მილიონი აშშ დოლარის (ISIN GE2700603659) ღირებულების საჯარო ობლიგაციები, ფიქსირებული კუპონის 6.5% წლიური განაკვეთით, დაფარვის ვადით 2021 წლის 22 ივნისს, თუმცა ამ ობლიგაციების სრული განათავსება არ მომხდარა და ჯამურად 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით განათავსებული იყო 4,170 ცალი, 4.17 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციები.

ობლიგაციები წარმოადგენენ არაუზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ობლიგაციების ნომინალური ღირებულება - 1,000 აშშ დოლარი.

2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ადგილობრივი ბანკებისგან მოზიდული სახსრების 29% მოიცავდა კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი ბანკისგან მიღებულ სესხებს.

2018 წლის 31 დეკემბრიდან პროსპექტის შედგენის თარიღამდე (2019 წლის 31 მაისამდე) არ მომხდარა არცერთი ფინანსური კოვენანტის დარღვევა და ადგილი არ ჰქონია პროცენტისა ან ძირის გადაუხდელობას.

კომპანიას სხვადასხვა ბანკებში ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების პორტფელი აქვს დაგირავებული, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ:

- პაშა ბანკი (17,494 ათასი ლარი)
- იშ ბანკი (11,646 ათასი ლარი)
- ვითიბი ბანკი (8,260 ათასი ლარი)
- ჰალიკ ბანკი (6,328 ათასი ლარი)

დანარჩენი პორტფელი მთლიანად დაგირავებულია „საქართველოს ბანკში“

ვალდებულებები გამოყენების უფლებით მოიცავს საბაზრო საპროცენტო განაკვეთით დადისკონტირებულ იჯარის გადასახდელებს იჯარით აღებულ აქტივებზე. ეს მუხლი არის „აქტივები გამოყენების უფლებით“-ის შესაბამისი ანგარიში ვალდებულებებში. ამ მუხლის გაჩენა განპირობებულია IFRS 16-ის მიხედვით აღრიცხვით, რომლის დეტალებიც გთხოვთ იხილოთ გვ. 75-ზე.

კლიენტებისგან მიღებული ავანსები მოიცავს ლიზინგის მიმღებების მიერ სალიზინგო კონტრაქტების ფარგლებში გადახდილ თანხებს ლიზინგებზე, რომლის გაცემაც ჯერ არ მომხდარა. ამ მუხლის შემცირება ძირითადად განპირობებულია კომპანიის ეფექტიანობის გაზრდით რაც გამოიხატება სალიზინგო აქტივების უფრო სწრაფი გაცემით.

კომპანიის მხარდასაჭერად, სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, კომპანიის კაპიტალის 5 მლნ აშშ დოლარით გაზრდასთან დაკავშირებით 2017 წლის მე-2 კვარტალში (ტრანზაქცია განხორციელდა 2017 წლის 7 ივლისს) დაუფარავი ქვესესხისა და დარიცხული პროცენტის კონვერტირების გზით.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო და დამატებით შეტანილი კაპიტალი შეადგენდა 18,210 ათასსა და 18,075 ათას ლარს, შესაბამისად. 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით ეს რიცხვი უმნიშვნელოდ გაიზარდა 18,245 ათას ლარამდე.

2017 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით დივიდენდები კომპანიას არ გამოუცხადებია და არ გაუცია.

## საოპერაციო შედეგები

კომპანია ძირითად შემოსავალს ფინანსური იჯარიდან იღებს. 2018 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, 2019 წელს ეს შემოსავალი 103%-ით გაიზარდა და 5,705 ათასი ლარი შეადგინა. ეს მნიშვნელოვანი ზრდა ძირითადად გამოწვეულია 2017 წლის 31 დეკემბერთან შედარებით პორტფელის 94%-იანი ზრდით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დანარჩენი ზრდა კი აიხსნება საშუალო საპროცენტო განაკვეთების ზრდით, რაც ძირითადად „ტურბოს“ ხარჯზე დაფიქსირდა.

(000' ლარი)	არააუდირებული 2019 I კვ	არააუდირებული 2018 I კვ	აუდირებული 2018	აუდირებული 2017
საპროცენტო შემოსავალი				
ფინანსური შემოსავალი იჯარიდან	5,705	2,814	16,001	9,827
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	42	15	119	58
საპროცენტო ხარჯი				
საპროცენტო ხარჯი გამოყენების უფლებით	(20)	-	-	-
ფლობილ ვალდებულებებზე				
სასესხო დავალიანება	(1,131)	(390)	(2,505)	(1,568)
გამოშვებული ობლიგაციები	(669)	(457)	(2,261)	(2,386)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>3,927</b>	<b>1,982</b>	<b>11,355</b>	<b>5,931</b>
გაუფასურების რეზერვის ხარჯი გაცემულ სესხებზე	(110)	(191)	(932)	(712)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი სხვა აქტივებზე	-	-	(97)	-
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯის შემდეგ</b>	<b>3,817</b>	<b>1,790</b>	<b>10,325</b>	<b>5,219</b>

2019 წლის პირველ კვარტალში დაგენერირებული 5,705 ათასი ლარის საპროცენტო შემოსავლიდან, 50% (2,843 ათასი ლარი) ლარში დენომინირებული სესხებიდან იყო, 45% (2,556 ათასი ლარი) კი დოლარში დენომინირებული სესხებიდან (დანარჩენი 5% ევრო). აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ლარში დენომინირებული სესხებიდან შემოსავალი მთლიანი შემოსავლის მხოლოდ 8% იყო, 2018 წელს კი 28%. მოსალოდნელია, რომ ლარში დენომინირებული პორტფელის (და შესაბამისი შემოსავლის) წილი კიდევ უფრო გაიზრდება (განსაკუთრებით საცალო პორტფელის ხარჯზე ახალი რეგულაციების გამო).

კომპანიის ეფექტური საპროცენტო განაკვეთები გაცემულ ლიზინგებზე ვალუტების მიხედვით შემდეგია:

	31-03-19	31-12-18	31-12-17
ლარი	35.7%	36.7%	39.3%
აშშდ	25.4%	26.3%	28.2%
ევრო	21.4%	22.8%	21.9%

კომპანიის დაფინანსების წყაროები საბანკო სესხები და გამოშვებული ობლიგაციებია. მთლიანი პროცენტის ვალდებულებების 61%-ს ადგილობრივი ბანკებიდან მოხილული სესხები წარმოადგენდა, ხოლო დანარჩენ 39%-ს გამოშვებული ობლიგაციები. საპროცენტო ხარჯი ამ ვალდებულებებზე 112%-ით გაიზარდა 2018 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, თუმცა დაფინანსების საშუალო განაკვეთები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

ფინანსურ ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

	31-03-19	31-12-18	31-12-17
ლარი	11.0%	11.1%	10.4%
აშშდ	7.5%	7.5%	7.0%
ევრო	5.4%	5.3%	6.2%

კომპანია მუდმივად ცდილობს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას.

გაუფასურების რეზერვის ხარჯი საპროცენტო შემოსავლის 1.92% იყო 2019 წლის პირველ კვარტალში. იგივე მაჩვენებელი საგრძნობლად მეტი 6.8% იყო წინა წლის იმავე პერიოდში. შემცირება ძირითადად გამოწვეულია რამდენიმე დიდი ლიზინგის აქტივის ჩამოწერით, რომელიც ხელახლა გაიცა ლიზინგით ახალ კლიენტზე 2018 წლის განმავლობაში და შესაბამისად, არ იყო მათზე გაუფასურების ხარჯი 2019 წლის პირველ კვარტალში.

სხვა საოპერაციო შემოსავალის მნიშვნელოვანი პუნქტია შემოსავალი ჯარიმებიდან, რომელიც 2019 წლის პირველ კვარტალში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 71%-ით გაიზარდა და 393 ათასი ლარი შეადგინა. ეს ზრდა ძირითადად გამოწვეულია სალიზინგო პორტფელის ზრდით.

სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 88%-ით გაიზარდა და 2,470 ათას ლარს მიაღწია. ამ ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ:

(000' ლარი)	2019 1კვ	2018 1კვ	2018	2017
სადაზღვევო ხარჯები	1,092	516	3,079	1,502
საოპერაციო გადასახადი მოგების გადასახადის გარდა	496	233	1,252	701
იურიდიული და პროფესიული მომსახურება	262	155	867	431
სარეკლამო მომსახურება	214	191	641	301
საიჯარო ხარჯი	79	72	326	229
აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ზარალი	-	-	225	197
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	183	35	168	92
პირველადი შენატანის ჩამოწერა	27	11	35	2
GPS-ის ხარჯები	8	10	30	44
მგზავრობის ხარჯები	14	16	60	35
საზღაპრო მომსახურება	3	6	24	13
შეკეთების ხარჯები	4	2	11	12
სხვა	89	64	383	200
<b>ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ</b>	<b>2,470</b>	<b>1,311</b>	<b>7,100</b>	<b>3,761</b>

სადაზღვევო ხარჯები მთლიანი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების 44% იყო და წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 111%-ით გაიზარდა. ეს ხარჯები ძირითადად დაკავშირებულია პორტფელთან და პორტფელის ზრდის შესაბამისად არის გაზრდილი. ზოგადად, სადაზღვევო ხარჯი გარკვეულწილად მერყეობს კონკრეტული სალიზინგო აქტივის პოტენციური მფლობელის მიხედვით.

საოპერაციო გადასახადი მოგების გადასახადის გარდა მთლიანი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების 20% იყო. ეს ხარჯი შედგება ქონების გადასახადისგან, რომელიც იანგარიშება, როგორც ყველა გალიზინგებული აქტივის საწყისი ღირებულების 0.6%. ამ ხარჯის ზრდა პირდაპირ დაკავშირებულია სალიზინგო პორტფელის ზრდასთან.

ამ მუხლში შემავალი სხვა ხარჯები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა და არც ინდივიდუალურად არის მატერიალური.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 2019 წლის პირველ კვარტალში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 76%-ით გაიზარდა და 556 ათას ლარს მიაღწია. ეს ზრდა ნაწილობრივ გამოწვეულია

თანამშრომელთა რაოდენობის 41%-იანი ზრდით და ასევე კომპანიის კარგი შედეგებიდან გამომდინარე ბონუსებისა და ხელფასების ზრდით.

	2019 1.კვ	2018 1.კვ	2018	2017
ხელფასები	347	228	1,054	706
ბონუსები	208	87	801	502
სულ	556	315	1,855	1,208

**ინფორმაცია კაპიტალისა და სასესხო ვალდებულებების შესახებ**

2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით მთლიანი ვალდებულებები 100,076 ათასი ლარი იყო და მთლიანი აქტივების 82%-ს შეადგენდა. მთლიანი ვალდებულებების 59% შედგებოდა ადგილობრივი ბანკებიდან მოზიდული სესხებიდან, ხოლო 38% კი გამოშვებული ობლიგაციებისგან.

მსესხებლის დასახელება	ვალუტა	დარჩენილი ვადა	31-03-19
ობლიგაციები	აშშდ	1-3 წელი	38,138
საქართველოს ბანკის სესხი	ლარი/აშშდ	1-3 წელი	17,260
პაშა ბანკის სესხი	ლარი/აშშდ	0-2 წელი	15,772
იშ ბანკის სესხი	ლარი	<1 წელი	9,607
ვითიბი ბანკის სესხი	ლარი/ევრო	0-2 წელი	9,073
ხალიკ ბანკის სესხი	ლარი/ევრო/აშშდ	0-3 წელი	6,973
<b>სულ პროცენტული ვალდებულებები</b>			<b>96,824</b>

2017 წლის აგვისტოში კომპანიამ 10 მილიონი აშშ დოლარის (ISIN GE2700603535) ღირებულების საჯარო ობლიგაციები გამოუშვა, ფიქსირებული კუპონის 7% წლიური განაკვეთით, დაფარვის ვადით 2020 წლის 31 აგვისტოს. 2018 წლის ივნისში კომპანიამ ასევე გამოუშვა 5 მილიონი აშშ დოლარის (ISIN GE2700603659) ღირებულების საჯარო ობლიგაციები, ფიქსირებული კუპონის 6.5% წლიური განაკვეთით, დაფარვის ვადით 2021 წლის 22 ივნისს, თუმცა ამ ობლიგაციების სრული განთავსება არ მომხდარა და ჯამურად 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით განთავსებული იყო 4,170 ცალი, 4.17 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციები. ობლიგაციები წარმოადგენენ არაუზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ობლიგაციების ნომინალური ღირებულება - 1,000 აშშ დოლარი.

კომპანია 2019 წლის იანვარში გეგმავდა ლარში დენომინირებული ობლიგაციების ემისიას, თუმცა 2018 წლის ბოლოს კომპანიამ საბანკო სესხის სახით მოიძია საჭირო რესურსები შედარებით ხელსაყერი პირობებით და ობლიგაციების ემისიაზე უარი განაცხადა.

2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ადგილობრივი ბანკებისგან მოზიდული სახსრების 29% მოიცავდა კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი ბანკისგან მიღებულ სესხებს.

## ფინანსური კოვენანტების მიმოხილვა

კომპანიას სხვადასხვა ბანკიდან აღებულ სესხებზე სხვადასხვა ტიპის კოვენანტები აქვს. ძირითადი/ყველაზე მკაცრი კოვენანტები (არასრული/მენეჯმენტის ძიერ შერჩეული) და შესაბამისი მაჩვენებლები 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

კოვენანტის ტიპი	ფაქტობრივი	ობლიგაციების გამოშვების შემდეგ	ლიმიტი	აკმაყოფილებს კი/არა
PAR30 არ უნდა იყოს 7.0%-ზე მეტი	6.7%	6.7%	<7.0%	კი
PAR90 არ უნდა იყოს 5.0%-ზე მეტი	1.4%	1.4%	<5.0%	კი
სასესხო ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან არ უნდა იყოს 4.5-ზე მეტი <sup>9</sup>	4.35	5.59	<4.5	არა
დასაკუთრებული აქტივების შეფარდება სალიზინგო პორტფელთან და სალიზინგო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებთან	12%	12%	<35%	კი
საოპერაციო ხარჯების შეფარდება შემოსავალთან არ უნდა იყოს 45%-ზე მეტი <sup>10</sup>	30%	30%	<45%	კი
მიმდინარე კოეფიციენტი არ უნდა იყოს 1.2-ზე ნაკლები	1.85	2.59	>1.2	კი

## კომპანიის კაპიტალი

კომპანიის მხარდასაჭერად, სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, კომპანიის კაპიტალის 5 მლნ აშშ დოლარით გაზრდასთან დაკავშირებით 2017 წლის მე-2 კვარტალში (ტრანზაქცია განხორციელდა 2017 წლის 7 ივლისს) დაუფარავი ქვესესხისა და დარიცხული პროცენტის კონვერტირების გზით.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო და დამატებით შეტანილი კაპიტალი შეადგენდა 18,210 ათასსა და 18,075 ათას ლარს, შესაბამისად. 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით ეს რიცხვი უმნიშვნელოდ გაიზარდა 18,245 ათას ლარამდე.

2017 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით დივიდენდები კომპანიას არ გამოუცხადებია და არ გაუცია და ამ პერიოდში მთლიანი კაპიტალი 26%-ით გაიზარდა და 22,244 ათას ლარს მიაღწია.

<sup>9</sup> კომპანია მიიღებს შესაბამის პატივების წერილს პაშა ბანკისგან

<sup>10</sup> საოპერაციო ხარჯები (სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (გარდა დაზღვევისა და ქონების გადასახადის) და ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი) მთლიან შემოსავალთან (ჯამური შემოსავალი, გარდა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსავლისა და კლიენტებისგან აღებული დაზღვევისა და ქონების გადასახადის)

**ვადიანობის პოზიცია**

კომპანიის პოზიცია ფინანსური აქტივებისა და ვადიანობის მიხედვით 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

(000' ლარი)	ერთი წლის ვადაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,608	-	4,608
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	45,112	49,052	94,164
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	13,130	-	13,130
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	4,000	-	4,000
ძირითადი საშუალებები	-	767	767
აქტივები გამოყენების უფლებით	377	672	1,050
საინვესტიციო ქონება	-	2,764	2,764
სხვა აქტივები	1,837	-	1,837
<b>სულ აქტივები</b>	<b>69,065</b>	<b>53,255</b>	<b>122,320</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სასესხო დავალიანება	32,261	26,425	58,686
გამოშვებული ობლიგაციები	2,506	35,633	38,138
ვალდებულებები გამოყენების უფლებით	412	688	1,100
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,216	-	1,216
მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები	-	-	-
დღგ და სხვა საგადასახადო დავალიანება	63	-	63
სხვა ვალდებულებები	872	-	872
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>37,330</b>	<b>62,746</b>	<b>100,076</b>
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>31,735</b>	<b>(9,491)</b>	<b>22,244</b>

როგორც ცხრილიდან ჩანს, კომპანიას არ აქვს უარყოფითი მოკლევადიანი წმინდა პოზიცია და, შესაბამისად, საბრუნავი კაპიტალი 31,735 ათას ლარს შეადგენს.

## სავალუტო პოზიცია

კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

(000' ლარი)	ლარი	აშშდ	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ყულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,609	1,923	1,076	4,608
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	37,774	47,262	9,128	94,164
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>39,383</b>	<b>49,185</b>	<b>10,204</b>	<b>98,772</b>
ფინანსური ვალდებულებები				
სასესხო დავალიანება	31,599	11,063	16,024	58,686
გამოწვეული ობლიგაციები		38,138	-	38,138
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>31,599</b>	<b>49,201</b>	<b>16,024</b>	<b>96,824</b>
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>7,784</b>	<b>(16)</b>	<b>(5,820)</b>	<b>1,948</b>

კომპანიას უარყოფითი წმინდა სავალუტო პოზიცია ევროში აქვს, თუმცა მთლიან ფინანსურ აქტივებთან შედარებით ეს თანხა მხოლოდ 5.9%-ია და მატერიალურ რისკს არ წარმოადგენს.

ობლიგაციების შედეგად მიღებულ სახსრებს კომპანია ფიქრობს, რომ ლარსა (30%) და აშშ დოლარის (70%) პორტფელში ჩადებს, შესაბამისად აშშ დოლარში წმინდა სავალუტო პოზიცია დაახლოებით 8,100 ათასი ლარით გაუარესდება და მთლიანი ფინანსური აქტივების 6.4% იქნება, რაც მატერიალურ რისკს ვერ წარმოშობს.

### ემიტენტის დამატებითი სასესხო საჭიროების აღწერა

კომპანიას აქვს პორტფელის აგრესიული ზრდის სტრატეგია, რისთვისაც ესაჭიროება დამატებით გრძელვადიანი რესურსი. ამ რესურსის მოძიების შედარებით იაფი და ეფექტური გზა საჯარო ობლიგაციების გამოშვებაა.

კომპანია მიღებული სახსრების 100%-ით აპირებს სალიზინგო პორტფელის გაზრდას უახლოესი 3 თვის განმავლობაში.

კომპანია დამატებით გეგმავს ადგილობრივი ბანკისგან 5 მილიონი ლარის ოდენობის სესხის აღებას 2019 წლის განმავლობაში.

**ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისის მიმოხილვა**

კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ფულადი ნაკადების სწორი მართვა და დაფინანსების წყაროების მუდმივი ძიება. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან წარმოდგენილია ქვემოთ:

(000' ლარი)	2019 1 კვ	2018 1 კვ	2018	2017
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>				
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	5,102	2,784	14,850	9,751
სხვა მიღებული შემოსავალი	737	446	2,135	1,507
გადახდილი პროცენტი	(1,512)	(1,317)	(4,464)	(2,843)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული გადახდილი ხარჯები	(2,298)	(1,151)	(6,736)	(2,891)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(427)	(285)	(1,799)	(1,175)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებებში ცვლილებამდე</b>	<b>1,602</b>	<b>477</b>	<b>3,986</b>	<b>4,348</b>
<b>საოპერაციო აქტივების (ზრდა) კლება</b>				
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	(5,499)	(4,928)	(43,467)	(12,704)
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	(1,995)	(868)	1,504	724
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	2,074	132	215	(3,032)
სხვა აქტივები	(301)	(26)	(877)	(419)
<b>საოპერაციო ვალდებულებების ზრდა (კლება)</b>				
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	(1,484)	312	1,378	(918)
დღგ და სხვა საგადასახადო დავალიანება	(30)	(670)	(287)	(304)
სხვა ვალდებულებები	(236)	25	113	457
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>(5,869)</b>	<b>(5,546)</b>	<b>(37,436)</b>	<b>(11,848)</b>

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებებში ცვლილებამდე 236%-ით გაიზარდა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით და 1,602 ლარს მიაღწია. ფულად მიღებული შემოსავლები 81%-ით გაიზარდა, ხოლო ფულად გადახდილი ხარჯები კი 54%-ით. მიუხედავად გაზრდილი შემოსავლებისა, გაზრდილი ფინანსური ლიზინგების გაცემების (571 ათასი ლარიანი ზრდა), შემცირებული კლიენტებისგან მიღებული ავანსების (1,796 ათას ლარიანი კლება) და შემცირებული დღგ და სხვა საგადასახადო დავალიანების (640 ათას ლარიანი კლება) ხარჯზე, საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები 6%-ით გაიზარდა და 5,869 ათას ლარს მიაღწია (323 ათას ლარიანი ზრდა).

კომპანიას მნიშვნელოვანი ინვესტიციები არ გაუკეთებია მოცემულ პერიოდში და შესაბამისი ცხრილი წარმოდგენილია ქვემოთ:

(000' ლარი)	2019 1 კვ	2018 1 კვ	2018	2017
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>				
ძირითადი საშუალებების შეძენა	(148)	(59)	(468)	(452)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(28)	-	(147)	(49)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>(176)</b>	<b>(59)</b>	<b>(614)</b>	<b>(501)</b>

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები წარმოდგენილია ქვემოთ:

(000' ლარი)	2019 1 კვ	2018 1 კვ	2018	2017
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>				
შეზღუდული წვდომის ფულადი ნაკადების წმინდა მოძრაობა	-	-	(2,794)	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	718	-	8,968	18,136
შეძენილი სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	(19,216)
ნასესხები სახსრების დაფარვა	(17,035)	(688)	(17,358)	(1,451)
ნასესხები სახსრების მიღება	20,694	6,438	51,303	14,920
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>4,378</b>	<b>5,750</b>	<b>40,119</b>	<b>12,389</b>

ლიკვიდობის მართვისა და სესხების კარგი პირობებით აღების მიზნით, კომპანია ხშირად იღებს და ფარავს სხვადასხვა ვადამოსულ ობლიგაციებსა და ადგილობრივი ბანკებიდან მიღებულ სახსრებს. 2019 წლის პირველ კვარტალში 17,035 ათასი ლარის ღირებულების სესხები დაფარა კომპანიამ და ამასთანავე 20,694 ათასი ლარის მიიღო სესხებისა და 718 ათასი ლარი ობლიგაციების განთავსების გზით. შესაბამისად, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები 24%-ით შემცირდა და 4,378 ათასი ლარი შეადგინა.

## მარეგულირებელი ჩარჩო

### სალიზინგო საქმიანობის რეგულირება საქართველოში

#### მარეგულირებელი ბაზის განვითარება

სალიზინგო საქმიანობის პირველი სამართლებრივი აქტი იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ("სამოქალაქო კოდექსი"), რომელიც მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს. მოგვიანებით 2002 წელს მიღებული იქნა კანონი "სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ". ეს ორი სამართლებრივი აქტი საქართველოს საგადასახადო კოდექსთან ერთად ("საგადასახადო კოდექსი") არეგულირებდა საქართველოს სალიზინგო სექტორს 2011 წლამდე.

სალიზინგო საქმიანობის მარეგულირებელ ბაზას ძალიან აკრიტიკებდნენ არასასურველი და დისკრიმინაციული საგადასახადო რეჟიმის და მოქმედ რეგულაციებთან წინააღმდეგობის გამო. სალიზინგო კომპანიებს კომერციული ბანკებისგან განსხვავებით არ შეეძლოთ უიმედო სალიზინგო პროექტების ჩამოწერა, მათზე არ ვრცელდებოდა 100%-იანი ამორტიზაციის წესები, ხოლო მოგების გადასახადის გაანგარიშების პრინციპები ბუნდოვანი იყო.

2011 წელს, USAID-ის მხარდაჭერით და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, საქართველოს პარლამენტმა გააუქმა "სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ" კანონი, შეცვალა საგადასახადო კოდექსი და მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სამოქალაქო კოდექსში კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) საერთაშორისოდ აღიარებული სალიზინგო სტანდარტების მიხედვით, რომელიც დამოუკიდებელი მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, დაფუძნებულია რომში და ორიენტირებულია კერძო და კომერციული სამართლის შეჯერებაზე სახელმწიფოების მასშტაბით. აღნიშნული კანონმდებლობა (1) კომპანიებს მეტ სტიმულს აძლევდა ლიზინგთან მიმართებაში მათთვის გარკვეული საგადასახადო მოქნილობის უზრუნველყოფით და ლიზინგის მიმღებებისთვის საგადასახადო პროცედურების გამარტივების გზით და (2) ლიზინგის ბუღალტრული აღრიცხვის შეცვლის გზით ლიზინგის გამცემების და ლიზინგის მიმღებებისთვის ეფექტური საგადასახადო განაკვეთების შემცირებით.

ახალმა საგადასახადო კანონმდებლობამ გაამარტივა საგადასახადო ადმინისტრირება და შეამცირა სალიზინგო კომპანიების საგადასახადო ტვირთი. ახალი კოდექსი ასევე ეფექტური ქონების გადასახადების გაანგარიშების საშუალებას იძლევა სალიზინგო აქტივებზე. დღეს გადახდა სალიზინგო გადასახადების პროპორციულად ხდება.

კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის წესების ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. მხოლოდ მოგების განაწილება ექვემდებარება დაბეგვრას, რომელიც განისაზღვრება როგორც ფულადი ან არაფულადი დივიდენდი, გაცემული მფლობელებზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტი იურიდიული პირები არიან - რეინვესტირებული მოგება აღარ ექვემდებარება დაბეგვრას. ახალი კორპორაციული მოგების საგადასახადო მოდელი არ ითვალისწინებს სალიზინგო კომპანიებისთვის სპეციალურ საგადასახადო რეგულაციებს - მოგების გადასახადით იბეგრება განაწილებული მოგება (გამოთვლილი ფასს-ის შესაბამისად).

## სალიზინგო საქმიანობის მარეგულირებელი ბაზის ძირითადი მახასიათებლები

სალიზინგო საქმიანობა და სალიზინგო კომპანიები არ ექვემდებარება ლიცენზირებას ან სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნებს. ლიზინგის ინდუსტრიაში არ არის სპეციალური მარეგულირებელი ორგანო და არც კაპიტალის ადეკვატურობის ან სხვა მსგავსი მოთხოვნები არ გამოიყენება სალიზინგო კომპანიების მიმართ. თუმცა, ისინი ექვემდებარებიან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის წესებს და ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველობას, როგორც ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის სამეთვალყურეო ორგანოს, და ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წინაშე (იხილეთ "ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რეგულაციები და მონიტორინგის მოთხოვნები").

2019 წლის 8 თებერვლამდე საქართველოს სალიზინგო სექტორში ინვესტიციისათვის არ არსებობდა სამართლებრივი ან მარეგულირებელი ბარიერები. საქართველოს კანონმდებლობა არ უწესებდა საპროცენტო განაკვეთის რაიმე ზედა ზღვარს სალიზინგო საქმიანობას. ამ თარიღიდან ძალში შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2018 წლის 22 დეკემბერს მიღებული ცვლილება, რომლის საფუძველზეც ლიზინგთან მიმართებაში შემოღებულ იქნა წინსწრებისა და რეფინანსირების მაქსიმალური საკომისიოებისა და ვალდებულების დარღვევისათვის მაქსიმალური პირგასამტეხლოს ოდენობები, განისაზღვრა ეფექტური საპროცენტო სარგებლის ზღვრული მოცულობა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა სპეციალური დოკუმენტის შემუშავება, რომელიც გამოიცა და ამოქმედდა სწორედ 2019 წლის 08 თებერვლიდან. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე ასევე დაწესდა შეზღუდვა ლიზინგის სხვადასხვა ვალუტაში გაცემასთან დაკავშირებით, კერძოდ „თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი და ლიზინგის დაფინანსების თანხის გაცემის შედეგად ლიზინგის მიმღების ჯამური ვალდებულებები ამავე ლიზინგის გამცემის მიმართ 200 000 (ორასი ათას) ლარზე ნაკლებია, ლიზინგის გამცემის მიერ საზღაურის მიღება არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული“.

საქართველოს კანონმდებლობა არ აწესებს სალიზინგო ქონების თანადაფინანსების სავალდებულო მოთხოვნებს ლიზინგის მიმღებებისა ან ლიზინგის გამცემებისთვის.

სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს სალიზინგო საქმიანობის ძირითად ასპექტებს, როგორცაა მხარეთა ვალდებულებები, ზარალის ანაზღაურება, ლიზინგის ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგები და ა.შ. სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სალიზინგო საქმიანობის ძირითადი მახასიათებლები შემდეგია: ლიზინგის გამცემი გადასცემს ქონებას ლიზინგის მიმღებს გარკვეული შეთანხმებული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან აღნიშნული უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღები ახდენს პერიოდულ გადახდებს. ლიზინგის მიმღები ირჩევს ლიზინგის საგანს და მის მიმწოდებელს და მიმწოდებელისთვის ცნობილია, რომ ლიზინგის გამცემმა ლიზინგით გაცემის მიზნით შეიძინა ქონება (შემდგომში ლიზინგის საგანი).

ფული, ფასიანი ქაღალდი, წილი ან პაი სამეწარმეო საზოგადოებაში არ შეიძლება იყოს ლიზინგის საგანი. საგადასახადო კოდექსის მიზნებისა და მხოლოდ ის აქტივები, რომლებიც ცვეთას განიცდის, ექვემდებარება ლიზინგს და სალიზინგო კომპანიად განისაზღვრება ის კომპანია, რომელიც საგადასახადო წლის განმავლობაში თავისი მთლიანი შემოსავლების სულ მცირე 70% -ს იღებს სალიზინგო ტრანზაქციებიდან.

გარდა ზემოთქმულისა, სამოქალაქო კოდექსი გარკვეულ მოთხოვნებს და შეზღუდვებს აწესებს სალიზინგო ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანასა და მათ შეწყვეტასთან დაკავშირებით. ლიზინგის გამცემი, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გადასცემს თავის უფლებებს ლიზინგის მიმღებს, ამ უკანასკნელის თხოვნით. ლიზინგის გამცემს და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნებისმიერი შესწორება შეთანხმებული უნდა იყოს ლიზინგის მიმღებთან და ანალოგიურად

ლიზინგის მიმღებს არ აქვს უფლება შეათანხმოს რაიმე ცვლილება მიმწოდებელთან ლიზინგის გამცემის თანხმობის გარეშე. ლიზინგის გამცემს უფლება აქვს მოშალოს სალიზინგო ხელშეკრულება, თუ ლიზინგის მიმღები არსებითად არღვევს თავის ვალდებულებებს. ამავდროულად, ლიზინგის მიმღებმა შეიძლება მხოლოდ ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ლიზინგის გამცემისგან და არ აქვს უფლება, მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება მას შემდეგ, რაც ლიზინგის საგანს მიიღებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ვეღარ ახორციელებს მფლობელობას ლიზინგის საგანზე.

#### **ფულის გათეთრების წინააღმდეგო წესები და მონიტორინგის მოთხოვნები**

კანონი "უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" ("ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონი") ძალაში შევიდა 2004 წლის 1 იანვარს. ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონმა გააძლიერა კონტროლი საქართველოს ფარგლებში ფულადი სახსრების მოძრაობაზე და შექმნა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ფინანსური მონიტორინგის სამსახური ("ფმს"), ფულის გათეთრების წინააღმდეგ მონიტორინგის და ზედამხედველობისთვის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ღონისძიებების გასატარებლად და განკარგულებების გამოსაცემად შემდგომი პრევენციული ღონისძიებების გატარებისა და საანგარიშო მოთხოვნების შესრულების მიზნით. ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონის საფუძველზე 2013 წლის 5 სექტემბერს გამოიცა ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება №2 „სალიზინგო კომპანიების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და წარდგენის შესახებ" ("მონიტორინგის განკარგულება"). ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონი და მონიტორინგის განკარგულება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების თავიდან აცილების მიზნით აწესებს სალიზინგო კომპანიებისთვის ფინანსური მონიტორინგის მოთხოვნებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ლიზინგის კომპანიების სამეთვალყურეო ორგანო ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონის შესაბამისად. თუ ფინანსთა სამინისტრო აღმოაჩენს ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონის ან მონიტორინგის განკარგულების უგულვებელყოფას ან დარღვევას, მან უნდა შეატყობინოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და დააკისროს სათანადო სანქციები. თუ ფინანსური მონიტორინგის სამსახური მიიღებს ანგარიშს გარიგების შესახებ, რომელიც, მისი აზრით, შეიძლება დაკავშირებული იყოს ფულის გათეთრებასთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან, ანგარიში უნდა გადაეგზავნოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს.

სალიზინგო კომპანიებმა უნდა განახორციელონ მონიტორინგი ისეთი სალიზინგო ოპერაციების მიმართ, რომლებიც აღემატება 30,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში და "საეჭვო გარიგებების" მიმართ, როგორც ეს განსაზღვრულია შესაბამის რეგულაციებში. გარდა ამისა, სალიზინგო კომპანიების მონიტორინგს ექვემდებარება: (i) ნებისმიერი გარიგება, თუ არსებობს ეჭვი, რომ გარიგების მხარე ტერორიზმთან არის დაკავშირებული ან ფული შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერორიზმის დაფინანსებისათვის; და (ii) ნებისმიერი გარიგება საეჭვო ზონებში მოქმედი ან რეგისტრირებული პირების მონაწილეობით.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული გარიგებისა და კლიენტების იდენტიფიცირების მიზნით, სალიზინგო კომპანიები ვალდებული არიან მიიღონ შიდა კონტროლის ღონისძიებები, მათ შორის შიდა რეგულაციები, დანიშნონ თანამშრომელი ან შექმნან სპეციალური განყოფილება, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს ინფორმაციის წარდგენაზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის.

## ანტიმონოპოლიური რეგულაციები

სალიზინგო კომპანიები კონკურენციის სააგენტოს ზედამხედველობას ექვემდებარებიან, რომელიც 2014 წლის 31 მარტიდან შეიქმნა შესწორებული "კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. კონკურენციის სააგენტო მონიტორინგს უწევს კერძო პირების შესაბამისობას საქართველოში ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან და სხვადასხვა უფლებამოსილება აქვს, მათ შორის, კონკურენციის კანონის დარღვევისათვის ჯარიმების დაწესების უფლება.

**დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც ანგარიშვალდებულ კომპანიებს ეხება**

### *ანგარიშგების მოთხოვნები*

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ კომპანია ანგარიშვალდებულ კომპანიას წარმოადგენს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით ("კანონი ფასიანი ქაღალდების შესახებ"), რომლის თანახმად ის არის კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა ფასიანი ქაღალდები ან რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ.

ფასიანი ქაღალდების კანონი ანგარიშვალდებულების საგანგებო მოთხოვნებს აკისრებს ანგარიშვალდებულ კომპანიებს. ანგარიშგების კომპანია ვალდებულია წარუდგინოს ეროვნულ ბანკს, გამოაქვეყნოს ან უზრუნველყოს მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელებისათვის წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშგების მიწოდება. თუ საქართველოს საფონდო ბირჟაზე ხდება ობლიგაციებით ვაჭრობა, ასეთი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს, აგრეთვე, საქართველოს საფონდო ბირჟას. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, დამატებითი ინფორმაცია მოითხოვოს ანგარიშვალდებულ კომპანიებისგან.

### **დაინტერესებული / დაკავშირებული მხარის გარიგებების დამტკიცება**

ფასიანი ქაღალდების კანონი აწესრიგებს დაინტერესებულ მხარეთა ტრანზაქციებს და ადგენს ანგარიშვალდებულ კომპანიისთვის დამტკიცებისა და გამჭვირვალობის სხვადასხვა მოთხოვნებს. ქვემოთ მოყვანილი შემთხვევების გარდა, ეს მოთხოვნები არ ვრცელდება გარიგებებზე, რომლებიც დაიდო: (i) კომპანიას და მის მთლიან მფლობელობაში არსებულ შვილობილ კომპანიას შორის; და (ii) კომპანიასა და მის 100%-იან აქციონერს შორის.

თუ ანგარიშვალდებულ კომპანია შედის გარიგებაში და მისი მმართველი ორგანოს წევრი ან მისი ხმის უფლების მქონე აქციების 20%-ის ან მეტის მფლობელი (ან მასთან დაკავშირებული პირი) (ა) რაიმე კავშირშია გარიგების კონტრაგენტ მხარესთან (მაგალითად, უშუალოდ ან ირიბად ფლობს აქციების 20%-ს ან მისი სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრია) ან (ბ) მიიღებს სარგებელს, ასეთი პირი განიხილება როგორც "დაინტერესებული მხარე" ფასიანი ქაღალდების კანონის მიზნებისთვის. ზოგადად, დაინტერესებულმა მხარემ უნდა აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს და, გარიგების ღირებულების მიხედვით, აქციონერთა საერთო კრებას, დასადავებ გარიგებასთან მიმართებაში თავისი ინტერესის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭომ ან აქციონერთა საერთო კრებამ (რომელიც მიესადაგება) უნდა დაამტკიცოს გარიგება. ანგარიშვალდებულ კომპანიები ვალდებულნი არიან, მიაწოდონ დაინტერესებულ მხარეთა გარიგებების შესახებ ინფორმაცია ეროვნულ ბანკს და გამოაქვეყნონ ასეთი ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, მთლიან მფლობელობაში არსებულ შვილობილ კომპანიებსა და 100%-იან აქციონერებთან დადებული გარიგებების შესახებ).

თუ გარიგება ზემოთ აღწერილი წესების დარღვევით დაიდო, ანგარიშვალდებული კომპანიის მმართველი ორგანოს წევრი ან მისი აქციების 5%-ის ან მეტის მფლობელი აქციონერი (ან აქციონერთა ჯგუფი) უფლებამოსილია აღძრას საქმე დაინტერესებული მხარის წინააღმდეგ ზარალის ანაზღაურების ან გარიგებიდან მიღებული ნებისმიერი სარგებლის დაბრუნების მოთხოვნით. მოსარჩელემ უნდა დაადგინოს, რომ დაინტერესებულ მხარეთა ტრანზაქციის შედეგად ანგარიშვალდებულ კომპანიას ზიანი მიადგა და ამგვარი დაინტერესებული მხარე რომ არ ყოფილიყო, გარიგება უკეთესი პირობებით დაიდებოდა. გარიგების გაუქმება შეიძლება მოთხოვნილი იქნეს მისი დადებიდან 18 თვის განმავლობაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია არის ანგარიშვალდებული კომპანია; აქედან გამომდინარე, კომპანიის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, დაამტკიცოს დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირებული გარიგებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგება იდება მისი უფლებამოსილი ორგანოს წევრთან.

### მოთხოვნების პრიორიტეტულობა გაკოტრების საქმის წარმოების შემთხვევაში

კომპანიის გაკოტრების შემთხვევაში კრედიტორების მოთხოვნები შემდეგი თანამიმდევრობით დაკმაყოფილდება:

1. საპროცესო ხარჯები და სააღსრულებო ბიუროს მომსახურების საფასური;
2. დავალიანება მოვალეების მიმართ, დარიცხული იმ დღიდან, როდესაც სასამართლომ გამოსცა გადაწყვეტილება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ განაცხადის მიღებასთან დაკავშირებით, მათ შორის, საგადასახადო ვალდებულებები, დარიცხული გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ;
3. გაკოტრების მმართველის დანიშვნასა და მისი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები და ანაზღაურება;
4. ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მათ შორის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უზრუნველყოფილი მოთხოვნები;
5. არაუზრუნველყოფილი საგადასახადო ვალდებულებები;
6. ყველა დარჩენილი აღიარებული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა; და
7. კრედიტორთა მოთხოვნები, წარმოდგენილი მოგვიანებით.

ყოველი შემდეგი კატეგორიის მოთხოვნები უნდა იქნეს გადახდილი მხოლოდ წინა კატეგორიის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ კრედიტორთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ არსებული სახსრები არასაკმარისია, ერთ კატეგორიაში ჩამოთვლილი ყველა მოთხოვნის სრულად დასაფარავად, თითოეული კატეგორიის თითოეული კრედიტორის მოთხოვნა უნდა გადახდილი იქნეს პროპორციულად.

ინფორმაცია უკვე ცნობილი ტენდენციების, გაურკვეველობების, მოთხოვნების ან მოვლენების შესახებ, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ემიტენტის საქმიანობაზე სულ მცირე მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში

ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე, რომელიც უკავშირდება გაცემულ სესხებზე ეფექტური 50%-იანი ზღვარის დაწესებას, „ტურბო“-ს ნაწილში შესაძლოა სწრაფი ზრდა ვერ მოხდეს, რასაც გავლენა (თუმცა მცირე) ექნება კომპანიის მომგებიანობაზე.

ამასთანავე, ცვალებადი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოდან გამომდინარე, ზოგადად ფინანსურ სექტორში შეინიშნება გაურკვეველობა, რაც პროგნოზების გაკეთების საშუალებას თითქმის არ იძლევა.

ზემოაღნიშნულმა ფაქტებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ ემიტენტის საქმიანობაზე მომავალში.

## მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

კომპანიის კორპორაციული მართვის მართვის უმაღლესი რგოლია პარტნიორი და პარტნიორების საერთო კრება ("საერთო კრება"), ხოლო კომპანიის საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც აირჩევა პარტნიორის მიერ კომპანიის წესდების დებულებების შესაბამისად კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორის („მოთავარი აღმასრულებელი თანამდებობის პირი“) მიერ, რომელსაც ენიჭება კომპანიის ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად წარმომადგენლობის უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

გიორგი ფაილოძე (პ/ნ 01026015523) - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ჭილაძე (პ/ნ 01008008277) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

გაბრიელ მელივა (პ/ნ 01012024250) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (დამოუკიდებელი პირი)

ლევან ყულიჯანიშვილი (პ/ნ 03001000435) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

## საერთო კრება

საერთო კრება არის კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო და უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების ("წესდება") თანახმად მიიღოს გადაწყვეტილებები მათ შორის, შემდეგ საკითხებზე:

- ცვლილებები წესდებაში;
- სააქციო კაპიტალის გაზრდა;
- კომპანიის შერწყმა, გაყოფა ან გარდაქმნა სხვა იურიდიულ პირად, ლიკვიდაცია;
- უძრავი ქონების შეძენა, რეალიზაცია ან დატვირთვა. რომლის ღირებულებაც აჭარბებს პარტნიორის მიერ განსაზღვრულ ლიმიტს;
- კომპანიების აქციების / საკუთრების უფლების შეძენა და გაყიდვა და მათი ლიკვიდაცია, რომლის ღირებულებაც აჭარბებს პარტნიორის მიერ განსაზღვრულ ლიმიტს;
- სხვა საწარმოს წილის/აქციების შეძენა და გასხვისება, თუკი ამგვარი წილის/აქციების მოცულობა აღემატება ამგვარი საწარმოს კაპიტალის 50%-ს ან გარიგების ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარს.;
- სესხის / კრედიტის აღება, რომლის ღირებულებაც აჭარბებს პარტნიორის მიერ განსაზღვრულ ლიმიტს ან სესხის / კრედიტის გაცემა, რომელიც ჩვეულებრივი ბიზნესის ფარგლებს სცილდება; და
- სხვა საკითხები, რომლებიც შედის კანონის და წესდების საერთო კრების კომპეტენციაში.

წესდების თანახმად, საერთო კრება მოწვეული უნდა იქნეს საჭიროების შემთხვევაში. პარტნიორებს, რომლებიც ფლობენ კომპანიის წილის მინიმუმ 5%-ს, შეუძლიათ მოსთხოვონ დირექტორს საერთო კრების მოწვევა (ამჟამად ერთი პარტნიორი - სს „საქართველოს ბანკი“ ფლობს საკუთრების 100%-იან წილს). დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს პარტნიორს გადაწყვეტილების მისაღებად. დირექტორმა ასევე დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს საერთო კრება ან მიმართოს კარტნიორს გადაწყვეტილების მისაღებად, თუ ეს კომპანიის ინტერესებშია ან თუ მოსალოდნელია, რომ კომპანიამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.

საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრებიან პარტნიორები, რომელთა წილი 50%-ს აღემატება. საერთო კრების გადაწყვეტილებები მიიღება უბრალო უმრავლესობით, გარდა წესდების

ნებისმიერი ცვლილების დამტკიცებისა, რასაც საერთო კრების მონაწილეთა ხმების მინიმუმ 2/3 სჭირდება. წესდების თანახმად, საერთო კრებამ კომპანიის ყველა პარტნიორის მონაწილეობით უნდა დაამტკიცოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლის მნიშვნელობაც სცილდება კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივ მიმდინარეობას.

#### სამეთვალყურეო საბჭო:

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინიშნებიან და გამოიწვევიან პარტნიორის მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა 4 (ოთხი) წლის ვადით, თუმცა, მისი უფლებამოსილება გაგრძელდება ვადის გასვლის შემდგომ პარტნიორის მიერ ახალი წევრის დანიშვნამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე ნებისმიერ დროს. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს პარტნიორისთვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე წარდგენილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე. წევრის გაწვევიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა, უნდა არჩეული იქნას სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს „საზოგადოების“ დირექტორი.

2019 წლის 12 ივნისიდან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა გიორგი ფაილოძე. ამ დრომდე აღნიშნულ პოზიციას იკავებდა ვასილ ხოდელი, რომელიც ამავდროულად საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე იყო კორპორაციული საბანკო საინვესტიციო საქმიანობის დარგში. ამჟამად საქართველოს ბანკიდან გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციას გიორგი ფაილოძეს უკავია. . გიორგი ფაილოძეს მსოფლიო ფინანსური მომსახურების სექტორში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. იგი მუშაობდა საერთაშორისო და ადგილობრივ საბანკო დაწესებულებებში. საქართველოს ბანკში მოსვლამდე გიორგი Evercore-ის - საბანკო საინვესტიციო საკონსულტაციო კომპანიის - ვიცე-პრეზიდენტი იყო. იგი მუშაობდა Evercore-ის ნიუ-იორკის (2015-2017) და ლონდონის (2017-2019 წლები) ოფისებში. Evercore-ში გიორგი ფაილოძე სტრატეგიულ, კრედიტებთან და ინვესტიციებთან დაკავშირებულ კონსულტაციებს უწევდა სხვადასხვა დარგის წარმომადგენელ კორპორაციულ და კერძო საინვესტიციო კლიენტებს. Evercore-ში მოსვლამდე გიორგი ფაილოძე ორი წელი მუშაობდა ნიუ-იორკში, Citigroup-ის კორპორაციულ და საბანკო საინვესტიციო დეპარტამენტში. გიორგი ფაილოძემ საბანკო სფეროში კარიერა საქართველოში დაიწყო - მას სხვადასხვა წამყვანი თანამდებობა ეკავა „თიბისი ბანკსა“ და „HSBC ბანკ საქართველოში“.

გიორგი ფაილოძეს დამთავრებული აქვს კავკასიის ბიზნესის სკოლა. მაგისტრის ხარისხი კი მან კორნელის უნივერსიტეტში მიიღო.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. შეტყობინება/მოწვევა უნდა გაიგზავნოს წერილობით, სავარაუდო დღის წესრიგთან ერთად სულ მცირე 8 (რვა) დღით ადრე სხდომის მოწვევის სავარაუდო თარიღამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა შეიძლება სხდომა ჩაატარონ აღნიშნული შეტყობინების ვადის დაუცველად, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა წევრი ერთხმად დაეთანხმება ამგვარი სხდომის ჩატარებას და დაესწრება მას. ამგვარ სხდომაზე ყველა წევრის დასწრება ავტომატურად ჩაითვლება მათი თანხმობის მტკიცებულებად, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის, აღნიშნული შეტყობინების გაგზავნის ვადის დაუცველად ჩატარებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

- სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორის საქმიანობას;
- სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორისაგან „საზოგადოების“ საქმიანობის ანგარიში;

- სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს „საზოგადოების“ ფინანსური დოკუმენტაცია;
- სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს პარტნიორს.;
- თუ „საზოგადოების“ წინაშე ლიზინგის მიმღების ჯამური ვალდებულება (გასაცემი/დასამტკიცებელი ლიზინგის ჩათვლით) კონკრეტული მომენტისათვის აღემატება 2 000,000 (ორი მილიონი) აშშ დოლარს.
- დირექტორის დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;
- სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია შექმნას აუდიტის კომიტეტი („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად);
- ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;
- წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;
- ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- ფასიანი ქაღალდების გამოშვება ან/და საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

## ემიტენტის დირექტორები

კომპანიის გენერალური დირექტორია ელდარ ახვლედიანი. ის „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ გენერალური დირექტორის პოზიციას 2015 წლის 1-ლი აპრილიდან იკავებს. იკავებს. მას საბანკო სფეროში მუშაობის 17 წლიანი გამოცდილება აქვს, საიდანაც 11 წელზე მეტი მუშაობდა სს „საქართველოს ბანკში“ სხვადასხვა პოზიციაზე. ბოლო 8 წელი ის სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული საბანკო მომსახურების მიმართულებით უმსხვილეს ბიზნეს სექტორებს ხელმძღვანელობდა. მისი პროფესიული კარიერა მოიცავს წლებს, როდესაც საბანკო სექტორმა უდიდესი განვითარება განიცადა. რამაც მას მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა. ელდარს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საბანკო და საფინანსო მიმართულებით.

კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეა გიორგი ჯღარკავა. ის „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ კომერციული დირექტორის პოზიციას 2015 წლის 15 მაისიდან იკავებს. იგი საბანკო სექტორში 2006 წლიდან მოღვაწეობს, 2010 წლის შემდეგ კი სს „კორ სტანდარტ ბანკის“ საკრედიტო, საცალო და კორპორაციული საბანკო მომსახურების დეპარტამენტებს ხელმძღვანელობდა. მას აგრეთვე აქვს საკონსულტაციო მიმართულებით მუშაობისა და კრიზისული სიტუაციების მართვის წარმატებული გამოცდილება. გიორგი ჯღარკავამ 2012 წელს მიიღო თავისუფალი უნივერსიტეტისა და BP-ს პროექტების მენეჯმენტის კოლეჯის დიპლომი, 2014 წელს თავისუფალი უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, ხოლო 2019 წლიდან მან დისტანციური სწავლება დაიწყო მადრიდის IE Business School-ში ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე.

კომპანიის ფინანსური დირექტორი 2019 წლის 1-ლი ივლისიდან ნესტან მიქელაძე იქნება. ნესტანს 10 წლიანი გამოცდილება აქვს საფინანსო სექტორში. ის „საქართველოს ბანკში“ მუშაობდა 2009 წლიდან 2013 წლამდე კორპორატიული ბანკირის პოზიციაზე და სხვადასხვა მნიშვნელოვან სექტორს ფარავდა. 2013 წლიდან 2019 წლის ივნისამდე ნესტანი სს „გალტ ენდ თაგარტში“ მუშაობდა საინვესტიციო საბანკო მომსახურების დეპარტამენტში ასოცირებული საინვესტიციო ბანკირისა და უფროსი ასოცირებული საინვესტიციო ბანკირის პოზიციაზე. მას ბაკალავრის ხარისხი „კავკასიის ბიზნესის სკოლაში“ აქვს მიღებული 2008 წელს, სადაც 2004 წლიდან სწავლობდა.

**ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან**

ბასს (IAS) 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) მიხედვით, მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა 'გაშლილი ხელის მანძილს' პრინციპით.

(000' ლარი)	2018		2017	
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული პირები <sup>11</sup>	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული პირები
შემოსავალი საინვესტიციო ქონების იჯარიდან დაზღვევიდან მიღებული საკომისიო	-	-	169	-
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებიდან	119	-	-	58
საიჯარო ხარჯი	58	-	168	35
სასესხო ვალდებულება 1 იანვრის მდგომარეობით	14,800	-	17,729	-
წლის განმავლობაში მიღებული სესხები	15,217	-	13,497	-
სესხის დაფარვა წლის განმავლობაში	(12,805)	-	(4,083)	-
კაპიტალში შეტანილი სესხები	-	-	(12,348)	-
სხვა მოძრაობა/სხვა დანარიცხები (გადახდები)	10	-	4	-
სასესხო ვალდებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,222	-	14,800	-
სასესხო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	1,392	-	1,512	-
1 იანვრისთვის გამოშვებული ობლიგაციები	-	1,396	-	2,977
წლის განმავლობაში გამოშვებული ობლიგაციები	-	518	-	18,136
წლის განმავლობაში შესყიდული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	(1,566)	-	(19,216)
სხვა მოძრაობა	-	306	-	(500)
31 დეკემბრისთვის გამოშვებული ობლიგაციები	-	467	-	1,396
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო ხარჯი	-	29	-	231
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე 1 იანვრის მდგომარეობით	-	185	-	253
წლის განმავლობაში წარმოშობილი	-	-	-	2,140
წლის განმავლობაში დაფარული	-	(185)	-	(2,208)
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	185
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,541	-	1,178	-

2018                      2017

<sup>11</sup> საერთო კონტროლს ქვემ დაქვემდებარებულ საწარმოებში „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ წევრებიც შედიან

(000' ლარი)

ხელფასები და ნაღდი ფულით გაცემული პრემიები	174	174
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	135	75
<b>სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება</b>	<b>309</b>	<b>249</b>

საბალანსო უწყისი

კომპანიის საბალანსო უწყისი წარმოდგენილია ქვემოთ:

საბალანსო უწყისის მონაცემები (000' ლარი)	არააუდირებული 2019 1 კვ	არააუდირებული 2018 1 კვ	აუდირებული 2018	აუდირებული 2017
<b>აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,608	1,278	3,541	1,178
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	-	-	2,794	-
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	94,164	48,333	88,081	45,424
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	13,130	10,292	11,115	9,446
საიჯარო მიზნებისთვის განკუთვნილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	4,000	6,218	6,112	6,307
ძირითადი საშუალებები	767	447	750	413
აქტივები გამოყენების უფლებით	1,050	-	-	-
საინვესტიციო ქონება	2,764	2,745	2,754	2,745
დღგ და სხვა გადასახადები	-	439	-	-
სხვა აქტივები	1,837	683	1,551	694
<b>სულ აქტივები</b>	<b>122,320</b>	<b>70,435</b>	<b>116,698</b>	<b>66,207</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სასესხო დავალიანება	58,686	24,897	55,292	20,179
გამოშვებული ობლიგაციები	38,138	23,953	36,941	26,151
ვალდებულებები გამოყენების უფლებით	1,100	-	-	-
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,216	1,473	2,606	1,160
მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები	-	-	54	-
დღგ და სხვა საგადასახადო დავალიანება	63	-	63	131
სხვა ვალდებულებები	872	923	1,098	893
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>100,076</b>	<b>51,246</b>	<b>96,053</b>	<b>48,514</b>
<b>კაპიტალი</b>				
საწესდებო კაპიტალი	3,180	3,180	3,180	3,180
დამატებითი შეტანილი კაპიტალი	15,065	14,925	15,030	14,895
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)	4,278	1,217	2,714	(250)
სხვა რეზერვი	(279)	(133)	(279)	(133)
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>22,244</b>	<b>19,189</b>	<b>20,645</b>	<b>17,693</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>122,320</b>	<b>70,435</b>	<b>116,698</b>	<b>66,207</b>

მოგება-ზარალის უწყისი

კომპანიის მოგება-ზარალის უწყისი წარმოდგენილია ქვემოთ:

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისი (000' ლარი)	არააუდირებული 2019 1კვ	არააუდირებული 2018 1კვ	აუდირებული 2018	აუდირებული 2017
საპროცენტო შემოსავალი				
ფინანსური შემოსავალი იჯარიდან	5,705	2,814	16,001	9,827
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	42	15	119	58
საპროცენტო ხარჯი				
საპროცენტო ხარჯი გამოყენების უფლებით ფლობილ ვალდებულებებზე	(20)	-	-	-
სასესხო დავალიანება	(1,131)	(390)	(2,505)	(1,568)
გამოშვებული ობლიგაციები	(669)	(457)	(2,261)	(2,386)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>3,927</b>	<b>1,982</b>	<b>11,355</b>	<b>5,931</b>
გაუფასურების რეზერვის ხარჯი გაცემულ სესხებზე	(110)	(191)	(932)	(712)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი სხვა აქტივებზე	-	-	(97)	-
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯის შემდეგ</b>	<b>3,817</b>	<b>1,790</b>	<b>10,325</b>	<b>5,219</b>
შემოსავალი იჯარებიდან	393	230	983	669
შემოსავალი საინვესტიციო ქონების იჯარიდან	-	42	84	169
წმინდა შემოსულობა საინვესტიციო ქონების იჯარიდან	-	-	19	257
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	61	141	(556)	663
სხვა შემოსავალი	303	109	947	833
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>	<b>4,574</b>	<b>2,312</b>	<b>11,803</b>	<b>7,810</b>
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,470)	(1,311)	(7,100)	(3,761)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(556)	(315)	(1,855)	(1,208)
საიჯარო მიწებისთვის ფლობილი აქტივების ჩამოწერა	18	(3)	(464)	(986)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>	<b>(3,008)</b>	<b>(1,629)</b>	<b>(9,419)</b>	<b>(5,955)</b>
<b>მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე</b>	<b>1,567</b>	<b>683</b>	<b>2,384</b>	<b>1,854</b>
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	(2)	-	(54)	-
<b>წმინდა მოგება</b>	<b>1,565</b>	<b>683</b>	<b>2,330</b>	<b>1,854</b>
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი				
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება	-	-	-	-
არარეალიზებული შემოსულობა გასაყიდად გამიზნულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე	-	-	-	(14)
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე რეალიზებული შემოსულობის რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში	-	-	-	-
მოგების გადასახადით დაბეგრის გავლენა	-	-	-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი), წმინდა	-	-	-	(14)
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)</b>	<b>1,565</b>	<b>683</b>	<b>2,330</b>	<b>1,840</b>

**ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი**

კომპანიის ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი წარმოდგენილია ქვემოთ:

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი (000' ლარი)	არააუდირებული	არააუდირებული	აუდირებული	აუდირებული
	2019 1კვ	2018 1კვ	2018	2017
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები				
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	5,102	2,784	14,850	9,751
სხვა მიღებული შემოსავალი	737	446	2,135	1,507
გადახდილი პროცენტი	(1,512)	(1,317)	(4,464)	(2,843)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული გადახდილი ხარჯები	(2,298)	(1,151)	(6,736)	(2,891)
გადახდილი ხელოფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(427)	(285)	(1,799)	(1,175)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებებში ცვლილებამდე	1,602	477	3,986	4,348
<i>საოპერაციო აქტივების (ზრდა) კლება</i>				
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	(5,499)	(4,928)	(43,467)	(12,704)
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	(1,995)	(868)	1,504	724
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	2,074	132	215	(3,032)
სხვა აქტივები	(301)	(26)	(877)	(419)
<i>საოპერაციო ვალდებულებების ზრდა (კლება)</i>				
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	(1,484)	312	1,378	(918)
დღგ და სხვა საგადასახადო დავალიანება	(30)	(670)	(287)	(304)
სხვა ვალდებულებები	(236)	25	113	457
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(5,869)	(5,546)	(37,436)	(11,848)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შეძენა	(148)	(59)	(468)	(452)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(28)	-	(147)	(49)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(176)	(59)	(614)	(501)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები				
შეზღუდული წვდომის ფულადი ნაკადების წმინდა მოძრაობა	-	-	(2,794)	-
გამოშვებული ობლიგაციები	718	-	8,968	18,136
შეძენილი სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	(19,216)
ნასესხები სახსრების დაფარვა	(17,035)	(688)	(17,358)	(1,451)
ნასესხები სახსრების მიღება	20,694	6,438	51,303	14,920
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	4,378	5,750	40,119	12,389
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათი ეკვივალენტებზე	(60)	(45)	294	462
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (კლება)	(1,727)	100	2,364	502
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	6,335	1,178	1,178	676
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	4,608	1,278	3,542	1,178

## დივიდენდების პოლიტიკა

კომპანიას არ აქვს დივიდენდების გაცხადებული და გაწერილი პოლიტიკა და, ამასთანავე, 2017 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით დივიდენდები კომპანიას არ გამოუცხადებია და არ გაუცია.

## სასამართლო პროცესები

### კომპანიის მიერ სასამართლოში შეტანილი მნიშვნელოვანი დავები

1. მოპასუხე: შპს TR Georgia Project 2 - სასარჩელო მოთხოვნა თანხობრივად: სარჩელის შეტანის თარიღისათვის ვადამოსული ვალდებულების ანაზღაურება 5,389 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და 392 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ვადამოსუვლელი ვალდებულების ანაზღაურება. თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნით კომპანია უარს ამბობდა ლიზინგის საგნის დაბრუნებაზე და ითხოვდა ხელშეკრულებების მოშლასა და ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების ანაზღაურებას, ხოლო დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნით სასამართლოს წინაშე უარი განაცხადა ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნაზე, დარჩა სახელშეკრულებო ჩარჩოებში და მოითხოვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვადამოსული ვალდებულებების და ასევე ვადამოსუვლელი ვალდებულებების ანაზღაურება. კომპანია არ ითხოვს ლიზინგის საგნის დაბრუნებას დაზუსტებული სარჩელით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად გამოყენებულ იქნა მოპასუხის უძრავი ქონებების დაყადაღება: ჯამში 3,234 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. საქმე უკვე განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლომ და 2018 წლის 15 მარტს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (სასამართლოს ბოლო მთავარი სხდომა ჩატარდა 2018 წლის 26 თებერვალს, ამიტომ გადაწყვეტილებაც ამ თარიღით იქნა მიღებული), რომლის საფუძველზეც კომპანიის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს დაეკისრა კომპანიის სასარგებლოდ ვალდებულების ანაზღაურება, რაც შემდეგნაირად გამოიყურება რიცხვებში: ვადამოსული ვალდებულება - 5,518 ათასი აშშ დოლარი. არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთ-ერთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვადამოსუვლელ ვალდებულებასთან დაკავშირებით კომპანიის მოთხოვნა, რაც თანხობრივად არის 262 ათასი აშშ დოლარი, რომლის გადახდის ვალდებულება ლიზინგის მიმღებს აქვს ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის შესაბამის თარიღებში (ხელშეკრულება სრულდება 2018 წლის 26 ნოემბერს). პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა როგორც მოპასუხე მხარის მიერ, ისე კომპანიის მხრიდან. ჩვენი მხრიდან გასაჩივრებული იყო ვადამოსუვლელი ვალდებულების დაკმაყოფილების საკითხი. ეს იყო სტრატეგიული სვლა, რადგან აღნიშნული ვალდებულება ვადამოსული იქნება იმ ეტაპზე, როცა სააპელაციო სასამართლო განიხილავს აღნიშნულ საქმეს. სააპელაციო სასამართლოში პირველი სხდომა ჩატარდა 2019 წლის 15 მაისს, თუმცა არ დასრულებულა და გადაიდო 2019 წლის 24 ივნისს. მხარეებისა და სასამართლოს მხრიდან არის მზადყოფნა, რომ პროცესი დასრულდება ამავე დღეს. პარალელურად მიმდინარეობს მოპასუხესთან მორიგების პროცესი. მოლოდინი გვაქვს, რომ მორიგება შედგება მხარეებს შორის მომდევნო პროცესის გამართვის თარიღამდე;
2. მოპასუხე: შპს „ჯორჯია მეტრო ტურიზმი“- სასარჩელო მოთხოვნა თანხობრივად: 131 ათასი აშშ დოლარი, ლიზინგის საგნის დაბრუნების მოთხოვნა, სარჩელის მომზადების საფუძველი - ხელშეკრულების პირობების დარღვევა, საქმე განიხილება სააპელაციო სასამართლოში, მოპასუხე მხარის მიერ იქნა გასაჩივრებული. აპელაციამ მოპასუხის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, თუმცა აღსრულებაზე გადაცემა ვერ ხერხდება გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხე მხარეს სახელმწიფოს წინაშე აქვს დავალიანება 1,611 ათასი ლარის ოდენობით, ამასთან მას ბალანსზე არ ერიცხება არანაირი აქტივი, რომლის ნახვის შესაძლებლობასაც იძლევა საჯარო ინფორმაცია. აღსრულებაზე გადაცემა გამოიწვევდა კომპანიისათვის დამატებით სააღსრულებლო ხარჯს, რომელიც ამ ეტაპზე უშედეგო ხარჯად იქნა განხილული. როგორც კი შეიცვლება სიტუაცია მოპასუხის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით, კომპანია მიმართავს აღსრულებას;

ამ ეტაპისთვის კომპანიის წინააღმდეგ სასამართლოში არ არის შეტანილი არანაირი დავა.

ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა

2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგ პროსპექტის შედგენის თარიღამდე არ მომხდარა ემიტენტთან ან მისი ჯგუფის ფინანსურ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული არანაირი მნიშვნელოვანი ცვლილება.

## კაპიტალი

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება 3,180,000 (სამი მილიონ ას ოთხმოცი ათასი) ლარის ოდენობით.

პარტნიორები, საწესდებო კაპიტალში შესატანის საბოლოო შეტანამდე, საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ შეუტანელი შესატანის ოდენობით.

პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საწესდებო კაპიტალის ოდენობა. საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით შესაძლებელია შეტანილ იქნას ნებისმიერი ვალუტა, აგრეთვე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი შენატანი.

საზოგადოების დაფუძნებისას ან საწესდებო კაპიტალის გაზრდისას შესატანი შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი ვალუტით. საზოგადოების საბუღალტრო წიგნებში თანხა აღინიშნება ეროვნული ვალუტით, შესატანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს აგრეთვე სხვა ქონებრივი ან არაქონებრივი ობიექტების სახით, რომელიც უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა. შეტანაზე ვალდებული პარტნიორი საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს არაფულადი შესატანის იმ ღირებულებისათვის, რაც ამ ობიექტს რეგისტრაციის მომენტში ჰქონდა.

## პარტნიორების უფლებები და მოვალეობები

საზოგადოებას ჰყავს ერთი პარტნიორი, სს „საქართველოს ბანკი“

„საზოგადოების“ პარტნიორს გააჩნია და ეკისრება ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები.

თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ.

ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ოღონდ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე, თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიში არასწორადაა შედგენილი, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საზოგადოებას. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით.

„საზოგადოების“ პარტნიორს აქვს „საზოგადოებაში“ საკუთარი წილის (ან მისი ნაწილის) განკარგვის სრული და შეუზღუდავი უფლება (მათ შორის შეუზღუდავად, გაყიდვის, გაჩუქების, გაცვლის, დაგირავების უფლება).

პარტნიორი, პარტნიორთა საერთო კრების ნებართვით, უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ დაუთმოს თავისი წილი (წილის ნაწილი) საზოგადოების ერთ ან რამოდენიმე პარტნიორს ან მესამე პირს.

პარტნიორი მესამე პირისათვის საწესდებო ფონდში თავისი წილის (წილის ნაწილის) გადაცემასთან ერთად გადასცემს მას ასეთ წილთან (წილის ნაწილთან) დაკავშირებულ ყველა თავის უფლებასა და მოვალეობას;

პარტნიორები სარგებლობენ პარტნიორის მიერ დასათმობი წილის (წილის ნაწილი) შეძენის უპირატესობით საწესდებო ფონდში მათი წილის პროპორციულად.

„საზოგადოების“ პარტნიორს აქვს თავისი წილის პროპორციულად „საზოგადოების“ მოგებიდან დივიდენდის მიღების უფლება.

დაუშვებელია საკუთარი წილის შეძენა.

პარტნიორები, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტი წილის მესაკუთრენი, უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა ამ კრების მიზნებისა და საფუძვლების მითითებით.

პარტნიორები ერთობლივად აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას.

„საზოგადოების“ გენერალურმა დირექტორმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია „საზოგადოების“ საქმიანობის შესახებ და ნება დართოს გაეცნოს „საზოგადოების“ წიგნებსა და ჩანაწერებს.

„საზოგადოების“ პარტნიორი ვალდებულია არ გაახმაუროს „საზოგადოების“ საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია და თავისი ქმედებით ან უმოქმედობით არ შელახოს „საზოგადოების“ იმიჯი ან/და საქმიანი რეპუტაცია.

### აუდიტის კომიტეტი

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და გარე აუდიტის ფუნქციონირების ხელშეწყობა. აუდიტის კომიტეტი შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტში უნდა შევიდეს არანაკლებ ერთი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის სხვა წევრებს ასევე ნიშნავს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო.

აუდიტის კომიტეტის წევრები არიან:

გიორგი ფაილოძე (პ/ნ 01026015523) - აუდიტის კომიტეტის წევრი

გიორგი ჭილაძე (პ/ნ 01008008277) - აუდიტის კომიტეტის წევრი

გაბრიელ მელივა (პ/ნ 01012024250) - აუდიტის კომიტეტის წევრი

ლევან ყულიჯანიშვილი (პ/ნ 03001000435) - აუდიტის კომიტეტის წევრი

აუდიტის კომიტეტის უფლება-მოვალეობები:

- განსაზღვროს შიდა ადრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და კონტროლის შესაბამისი წესები და განახორციელოს მათი დაცვის ზედამხედველობა;
- თვალყური ადევნოს კომპანიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის დაცვას;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის დებულება და ორგანიზება გაუკეთოს მის ფუნქციონირებას
- უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის ობიექტურობა და დამოუკიდებლობა სამეთვალყურეო საბჭოსგან და გენერალური დირექტორისაგან;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის კვარტალური მოხსენებები, აუდიტორული შეფასება და რეკომენდაციები;
- ზედამხედველობა გაუწიოს შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობას;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული შიდა აუდიტის წლიური სამუშაო პროგრამა;
- აუდიტის კომიტეტი იკრიბება კვარტალში ერთხელ მაინც, ხოლო საგანგებო შემთხვევებში კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე.
- აუდიტის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს კომიტეტის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, რომლებსაც კენჭისყრის დროს თავის შეკავების უფლება არ აქვთ.
- აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.

დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ნახსენებია/მითითება არის გაკეთებული რეგისტრაციის დოკუმენტში  
რეგისტრაციის დოკუმენტში ნახსენებია შემდეგი დოკუმენტები:

- აუდირებლი ფინანსური ანგარიშგებები - 2017 და 2018 წლები
- კომპანიის წესდება
- ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის
- ხელშეკრულება ობლიგაციონერების წარმომადგენელსა და ემიტენტს შორის
- ხელშეკრულება გადახდისა და დაანგარიშების აგენტსა და ემიტენტს შორის
- მოძრავი ქონების შეფასების ანგარიში შედგენილი „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ მიერ
- უძრავი ქონების შეფასების ანგარიში შედგენილი „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ მიერ

## ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

### განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით 31,735 ათასი ლარი იყო (31/12/2018: 30,358 ათასი ლარი), რაც საკმარისია კომპანიის მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად. კომპანიის მიმდინარე და სწრაფი კოეფიციენტები სტაბილურია, შესაბამისად, 1.85 და 1.50 იყო 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით (31/12/2018: 1.81 და 1.51).

## შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა

ემიტენტი, განთავსების აგენტი, გაანგარიშებისა და ძირითადი თანხის გადამხდელი აგენტი და რეგისტრატორი დაკავშირებული პირები არიან. ამგვარ პირთა მმართველობითი ორგანოების (მმართველი საბჭო / დირექტორთა საბჭო) წევრები შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა დაკავშირებული პირების მმართველ საბჭოში. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგებების დამტკიცების დროს შესაბამისი პირები (და მათი მმართველი საბჭოს წევრები) არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მოქმედებენ (მათ შორის ინტერესთა კონფლიქტთან მიმართებაში) და ყველა ასეთი გარიგება კომერციულ საფუძველზე იდება, ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება დამატებითი რისკი იყოს ინვესტორებისთვის.

**შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები**

**ობლიგაციების გამოშვების პირობები**

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2019 წლის 22 ივლისს მიღებული იქნა გადაწყვეტილება 3 წლამდე ვადით, ჯამური 10,000,000 (ათ მილიონ) აშშ დოლარამდე ნომინალური ღირებულების მქონე არაუმეტეს 8%-მდე (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი) ობლიგაციების გამოშვების შესახებ. ობლიგაციების პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე პროსპექტით, მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ (შემდგომში - „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ან „პირობები“) და ემიტენტსა და შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორებს“, როგორც ობლიგაციონერების წარმომადგენელს („ობლიგაციონერების წარმომადგენელი“) შორის ობლიგაციების გამოშვების პირობების შესახებ 2019 წლის 28 ივნისის ხელშეკრულებით (შემდგომში „ხელშეკრულება“). გარდა პროსპექტის სხვა თავებში (მათ შორის, „შეთავაზების ძირითად პირობებში“) აღწერილი ობლიგაციების გამოშვების პირობებისა, მოცემულ თავში „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ - ასევე აღწერილია გარკვეული დამატებითი პირობები, რაც ასევე ასახულია „ხელშეკრულებაში“. ხელშეკრულებასა და პროსპექტს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო/ურთიერთგამომრიცხავი დათქმების აღმოჩენის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება პროსპექტის პირობებს.

ზემოაღნიშნული „ხელშეკრულება“ ხელმისაწვდომია ინვესტორთათვის გასაცნობად „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ ოფისში: შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“, საქართველო, თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. N71, მე-4 სართ., ოფისი N28, და ემიტენტის ოფისში: საქართველო, თბილისი მთაწმინდის რაიონი, პეტრე მელიქიშვილის გამზირი 8ა/ერეკლე ტატიშვილის ქუჩა 1. წინამდებარე პროსპექტის (მათ შორის, „პირობების“) გარდა, „ობლიგაციონერებს“ (ამ ტერმინის ქვემოთ განსაზღვრული მნიშვნელობით) და ობლიგაციების „ნომინალურ მფლობელებს“ (თუ და როდესაც ეს გათვალისწინებულია პროსპექტით, მათ შორის „პირობებით“) უფლებები და ვალდებულებები წარმოემართა ასევე „ხელშეკრულების“ საფუძველზე და იგულისხმება, რომ „ობლიგაციონერები“ (და პროსპექტით, მათ შორის, „პირობებით“ გათვალისწინებულ შემთხვევაში, ობლიგაციების „ნომინალურ მფლობელები“) ექვემდებარებიან „ხელშეკრულების“ შესაბამის პირობებს და ამგვარი პირობები ვრცელდება და მოქმედებს მათთან მიმართებაში. ობლიგაცი(ებ)ის შექმნით თითოეული „ობლიგაციონერი“ თანხმობას აცხადებს, რომ წინამდებარე „პირობების“ მე-5 პუნქტი და „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლით გათვალისწინებული დათქმები („დათქმები“) და მათი შესრულებიდან, არაჯეროვანი შესრულებიდან ან შეუსრულებლობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები მის სასარგებლოდ გავგრძელდება, მხოლოდ იმ პირობით, რომ ის „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ „პირობების“ 4(ა) ქვეპუნქტის შესაბამისად ანიჭებს მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილებას. შესაბამისად, არც „ობლიგაციონერი“ და არც „ნომინალური მფლობელი“ არ არის უფლებამოსილი, „დათქმების“ დარღვევის შემთხვევაში, უშუალოდ თვითონ იმოქმედოს ემიტენტის წინააღმდეგ. „დათქმების“ დარღვევასთან დაკავშირებით ემიტენტის წინააღმდეგ მოქმედების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, გარდა „პირობების“ მე-12 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

**ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება**

ობლიგაციები გამოშვებულია დემატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა: 1,000 (ათასი) დოლარი.

საკუთრების უფლება ობლიგაციებზე დასტურება რეგისტრაციით: (i) ფასიანი ქაღალდების რეესტრში („ფასიანი ქაღალდების რეესტრი“), რომლის წარმოებასაც უზრუნველყოფს ემიტენტი „შეთავაზების ძირითად პირობებში“ მითითებული რეგისტრატორის მეშვეობით ემიტენტსა და „რეგისტრატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; და/ან (ii) სხვა რეესტრებში/ჩანაწერებში, რომელსაც აწარმოებს ობლიგაციების ნებისმიერი

„ნომინალური მფლობელი“. „ფასიანი ქაღალდების რეესტრი“ და (ii) პუნქტში მითითებული სხვა რეესტრები/ჩანაწერები შემდგომში მოიხსენიება როგორც „რეესტრი“.

2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და ობლიგაციების შემდგომი გასხვისება

(ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა

ობლიგაციების შეთავაზებას ემიტენტის სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს განთავსების აგენტი. საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, ობლიგაციებით დაინტერესების მიზნით, განთავსების აგენტს ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დააგზავნონ დამტკიცებული პროსპექტი პოტენციურ ინვესტორებთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცების შემდეგ, ემიტენტი ახდენს ობლიგაციების საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ემიტენტი აქვეყნებს შეტყობინებას ობლიგაციების შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. ემიტენტი, განთავსების აგენტი, ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, აწვდიან პროსპექტის ელექტრონულ ბმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს ან პროსპექტის დაბეჭდილ ასლს. საბოლოო პროსპექტი მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს (მათ შორის, ემიტენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. ობლიგაციების ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით. ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად საზღვრავს განთავსების აგენტი. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს ემთხვევა დასვენების დღე, მაშინ ასეთი თარიღის წინა სამუშაო დღე ჩაითვლება ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად), რომელიც არის დამტკიცებულ წინასწარ პროსპექტში მითითებულ ფარგლებში და ისახება საბოლოო პროსპექტში. ამასთან, წინასწარ პროსპექტში მითითებულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე განთავსების აგენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 14.00 საათამდე (თბილისის დროით)) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების (ობლიგაციების ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, განთავსების აგენტი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი ფასიანი ქაღალდების სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადოს მასზე.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) დასრულების შემდგომ განთავსების აგენტი აცხადებს შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, აწვდის შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას ახლაცხადებზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის საბოლოო ოდენობა და ობლიგაციების ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციურ ინვესტორის განაცხადი. შეთავაზების დასრულების შესახებ გამოცხადების მომენტიდან იმ პოტენციურ ინვესტორთა („ხელმომწერი ინვესტორები“) განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა, აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმომწერი ინვესტორისათვის“.

ემიტენტი და/ან განთავსების აგენტი უფლებამოსილია მოახდინონ ობლიგაციების განთავსება გადავადებული განთავსების ფასით გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე (ამ უკანასკნელი თარიღის ჩათვლით) პერიოდში. ობლიგაციების გადავადებული განთავსება მოხდება გადავადებული განთავსების ფასით. ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით გამოსაშვები ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. ობლიგაციების ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

„ხელმომწერი ინვესტორები“ და ის ინვესტორები, რომლებიც შეისყიდიან ობლიგაციებს გადავადებული განთავსების თარიღამდე (შემდგომში ერთობლივად „ინვესტორები“), ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის ობლიგაციების შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე გამოშვებისაან გადავადებული განთავსების თარიღამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე. „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ აღნიშნული საბროკერო ანგარიში გახსნილი უნდა იქნას განთავსების აგენტთან. ამავე ანგარიშზე ხდება „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ შესყიდული ობლიგაციების მიწოდება ემიტენტის მიერ შესაბამისად გამოშვების თარიღზე ან გადავადებული განთავსების თარიღამდე. გამონაკლის შემთხვევებში, განთავსების აგენტს შეუძლია ერთპიროვნულად დართოს ნება „ხელმომწერი ინვესტორს“ ობლიგაციების გამოსასყიდი თანხები, ნაცვლად განთავსების აგენტთან გახსნილი საბროკერო ანგარიშისა, მიმართოს ემიტენტის ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე განთავსების აგენტთან. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციების მიწოდება „ხელმომწერი ინვესტორისათვის“ ხდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა უფლებამოსილ „ნომინალურ მფლობელთან“ არსებულ „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე.

ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ან „რეგისტრატორში“ ჩანაწერის სახით.

თუ საბოლოო პროსპექტით გათვალისწინებული ობლიგაციების სრული რაოდენობა არ იქნება განთავსებული შეთავაზების დასრულების თარიღისთვის, განუთავსებელი ობლიგაციები ჩაითვლება გაუქმებულად (გაუქმდება) და ემიტენტი ობლიგაციების განთავსებული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს ეროვნულ ბანკს, საფონდო ბირჟას – თუ ფასიანი ქაღალდი დაშვებულია საფონდო ბირჟაზე და აგრეთვე გამოაცხადებს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

(ბ) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში (საჯარო შეთავაზების დაწყებიდან გამოშვებისთარიღამდე) ემიტენტი გადაწყვეტს შეცვალოს ობლიგაციების შესახებ არსებითი ინფორმაცია, როგორცაა ფასიანი ქაღალდების ოდენობა, ფასი, შეთავაზების ვადა და სხვა, იგი მიმართავს შემდეგ პროცედურას:

- (i) წარუდგენს საქართველოს ეროვნულ ბანკს პროსპექტში შესწორებას, რომელშიც განიმარტება მასში შეტანილი ყველა ცვლილება;
- (ii) აქვეყნებს შეტყობინებას ემიტენტის ვებ-გვერდზე ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საშუალებით, სადაც ასევე მიუთითებს დეტალებს შეცვლილი ინფორმაციის შესახებ; აცხადებს არსებული ფორმით შეთავაზების გაუქმების შესახებ და ახორციელებს შეთავაზებას მითითებულ თარიღამდე ობლიგაციების გაყიდვაზე ყველა ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე;
- (iii) განუსაზღვრავს ინვესტორებს არანაკლებ 10 დღის ვადას გაუქმებაზე რეაგირებისათვის, რის შემდეგაც უფლებამოსილია განახორციელოს შეცვლილი საჯარო შეთავაზება.

თუ პროსპექტში შესწორება შედის ამა თუ იმ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით, ობლიგაციების შემძენ ინვესტორებს უფლება ეძლევათ უარი განაცხადონ შესყიდულ ობლიგაციებზე და მოითხოვონ მათი დაუყოვნებლივ განადგება ნომინალურ ღირებულებისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის ჯამის ფასად. ინვესტორები ("ობლიგაციონერები"), რომლებიც უარს არ განაცხადებენ შესყიდულ ობლიგაციებზე, ექვემდებარებიან შეთავაზების ახალ პირობებს.

თუ პროსპექტში მითითებული სხვა არაარსებითი ინფორმაცია საჯარო შეთავაზების პროცესში შეიცვალა, ემიტენტი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ამ ახალი ინფორმაციის (ცვლილების) ამსახველი დოკუმენტი, ვიდრე მოცემულ ცვლილებას პროსპექტში შეიტანდეს ეროვნული ბანკის წესებით დადგენილი პროცედურის მიხედვით.

**(გ) ობლიგაციების გასხვისება**

ობლიგაციების გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით“) დადგენილი წესით საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. ობლიგაციების გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად ობლიგაცი(ებ)ზე საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „რეესტრში“. ობლიგაციების განთავსების შემდგომ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ ობლიგაციების განთავსების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, ემიტენტი მიმართავს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. სავაჭრო სისტემაში დაშვების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ობლიგაციებით გარიგებების დადება საქართველოს საფონდო ბირჟაზე საფონდო ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

**3. სტატუსი**

ობლიგაციები წარმოადგენს ემიტენტის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებას. ობლიგაციებს ექნებათ იდენტური სამართლებრივი სტატუსი ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. ობლიგაციებთან დაკავშირებული და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ემიტენტისადმი მოთხოვნები ყოველთვის იქნება ემიტენტის სხვა დანარჩენი არასუბორდინირებული კრედიტორების მოთხოვნების თანაბარი გადახდევინების ნაწილში, გარდა იმგვარი მოთხოვნებისა, რომელთაც კანონმდებლობის იმპერატიული ნორმების შესაბამისად გააჩიათ უპირატესობა.

**4. „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ დანიშვნა**

- (ა) „ობლიგაციების“ შემენით (პირველადი განთავსებისას ან მეორად ბაზარზე შემენისას) თითოეული „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ ობლიგაციებთან დაკავშირებულ ყველა იმ

საკითხთან მიმართებაში, რაც რეგულირდება წინამდებარე „პირობების“ მე-5 პუნქტით და „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლით, თავის წარმომადგენლად ნიშნავს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, რომელსაც ენიჭება (რაიმე წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე, თუ ამგვარი თანხმობის მიღება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული „პირობებითა“, „ხელშეკრულებითა“

ან/და კანონმდებლობით) თითოეული „ობლიგაციონერისა“ ან/და „ნომინალური მფლობელის“ სახელით მოქმედების უფლებამოსილება ამ „ობლიგაციონერებისა“ და/ან „ნომინალური მფლობელების“ მფლობელობაში არსებულ ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი საქმის წარმოებისას.

(ბ) თითოეულმა „ობლიგაციონერმა“ ან/და „ნომინალურმა მფლობელმა“, მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ ნებისმიერი ისეთი დოკუმენტაცია, მათ შორის, წერილობითი მინდობილობა („ობლიგაციონერების წარმომადგენლისთვის“ მისაღები ფორმითა და შინაარსით), რომელიც ამ უკანასკნელს აუცილებლად მიაჩნია „პირობებით“ და/ან „ხელშეკრულებით“ დაკისრებული უფლებებისა და/ან ვალდებულებების შესასრულებლად და „ობლიგაციონერთა“ ინტერესების დასაცავად პროსპექტისა (მათ შორის, „პირობების“) და „ხელშეკრულების“ შესაბამისად. „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ არ გააჩნია ვალდებულება წარმოადგინოს ის „ობლიგაციონერი“, რომელიც (ან რომლის „ნომინალური მფლობელიც“) არ შესრულებს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

(გ) „ობლიგაციონერი“ (ან მისი სახელით მოქმედი „ნომინალური მფლობელი“) უფლებამოსილია პირდაპირ (უშუალოდ) იმოქმედოს ემიტენტის წინააღმდეგ ემიტენტის მიერ „პირობების“ 7(ა) ქვე-პუნქტის (და ასევე „ხელშეკრულების“ 2.2 პუნქტის) შესაბამისად ობლიგაციების ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულების და/ან „პირობების“ 6 პუნქტის (და ასევე „ხელშეკრულების“ 2.2 პუნქტის) შესაბამისად პროცენტის გადახდის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ან „პირობების“ მე-12 პუნქტის შესაბამისად.

## 5. დათქმები

(ა) საქმიანობის ცვლილება: ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები არ შეიცვალოს ობლიგაციების „გამოშვებისთარიღისათვის“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

(ბ) საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა:

(i) ემიტენტმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, და უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა ყველა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა შენარჩუნებულ იქნას მისი და მათი, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირების, განგრძობადი არსებობა (გარდა „პირობების“ 5(გ) ქვე-პუნქტით („შერწყმა“) გათვალისწინებული შემთხვევებისა) და ბიზნეს საქმიანობა და აგრეთვე ყველა ის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრება, ყველა საჭირო ნებართვა, ლიცენზია, თანხმობა და უფლებამოსილება, რაც დაკავშირებულია ან/და აუცილებელია მისი (მათი) საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

(ii) ემიტენტმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ყველა ის უფლებამოსილება, ნებართვა, ლიცენზია და განახორციელოს და უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო პროცედურების განხორციელება, რაც საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა ობლიგაციებითა და „ხელშეკრულებით“ ნაკისრი მისი ვალდებულებების კანონიერად შესრულებასათვის და საქართველოში ობლიგაციებისა და „ხელშეკრულების“ ნამდვილობის, აღსრულებადობისა და მტკიცებულებად დასაშვებობისათვის.

(გ) შერწყმა

(I) „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ემიტენტმა არ უნდა განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(i) ზემოთხსენებული (გ.1) ან (გ.2) პუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(ა) რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული „პირი“ ან ქონების მიმღები (შემდგომში „სამართალმემკვიდრე“) არის კვლავ ემიტენტი, ან თუ ამგვარი „პირი“ არ არის ემიტენტი, მაშინ ეს „სამართალმემკვიდრე“ ცალსახად გადაიკისრებს ობლიგაციებიდან და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ყველა უფლებას და ვალდებულებას „ობლიგაციონერების წარმომადგენლისათვის“ მისაღები ფორმითა და პირობებით,

(ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის ემიტენტი) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს ემიტენტის უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;

ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოთხსენებულ (გ.1) ან (გ.2) პუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს არსებითად საზიანო შედეგს.

(II) ემიტენტი უზრუნველყოფს, რომ „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ არ უნდა განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(i) ზემოთხსენებული (გ.1) ან (გ.2) პუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(ა) რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული „პირი“ ან ქონების მიმღები (შემდგომში „სამართალმემკვიდრე“) არის კვლავ „მნიშვნელოვანი შვილობილი“;

(ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის ემიტენტი) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;

(ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოხსენებულ (გ.1) ან (გ.2) პუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს არსებითად საზიანო შედეგს.

(III) განურჩევლად ზემოთქმულისა, ნებისმიერ „მნიშვნელოვან შვილობილი“ უფლებამოსილია ემიტენტთან ან „შვილობილთან“ (რომელიც ამ პუნქტში აღწერილი ტრანსაქციის შედეგად ჩაითვალება „მნიშვნელოვან შვილობილად“ ამ პროსპექტის მიზნებისთვის) მიმართებაში, მოახდინოს კონსოლიდირება ან შეწყობა (რეორგანიზაციის ნებისმიერი ფორმით) ან ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა.

(IV) განურჩევლად ზემოთქმულისა, წინამდებარე პუნქტი 5(გ) არ შეეხება (i) ტრანზაქციებს ემიტენტსა და ნებისმიერ მის 100%-იან „შვილობილს“ შორის, (ii) მისი ქონების ლიზინგით გაცემა, გაყიდვა ან სხვაგვარი განკარგვა ჩვეულებრივი სალიზინგო საქმიანობის პროცესში, ან (iii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 80 პროცენტს.

(დ) გასხვისება: გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარი დათქმაა გათვალისწინებული წინამდებარე „პირობებში“, და „პირობების“ 5(გ) პუნქტის („შერწყმა“) და 5(ე) პუნქტის („აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები“) დებულებების შეუზღუდავად, ემიტენტი არც თავად და არც რომელიმე მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ საშუალებით არ გაყიდის, გაასხვისებს, იჯარით გასცემს ან სხვაგვარად განკარგავს მის აქტივებს ან შემოსავლებს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ გარდა სხვა რომელიმე „პირზე“. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც

(დ.1) ყველა ასეთი ტრანზაქცია ხორციელდება „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და საბაზრო პირობებით; და

(დ.2) ნებისმიერი იმ ტრანზაქციასთან მიმართებით, როდესაც ხდება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10 პროცენტზე მეტის გასხვისება, გასხვისებამდე ემიტენტი ვალდებულია „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ ტრანზაქცია განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“.

წინამდებარე პუნქტი 5(დ) არ შეეხება (i) ტრანზაქციებს ემიტენტსა და ნებისმიერ მის 100%-იან „შვილობილს“ შორის, (ii) მისი ქონების ლიზინგით გაცემა, გაყიდვა ან სხვაგვარი განკარგვა ჩვეულებრივი სალიზინგო საქმიანობის პროცესში, ან (iii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 80 პროცენტს.

(ე) აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები

(i) არც ემიტენტი და არც მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განხორციელებს და არ დაუშვებს რაიმე საქმიანობას ან ტრანზაქციას (მათ შორის ქონების ან მომსახურების შექმნა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა, გადაცემა ან გაცვლა) „აფილირებულ პირთან“ ან მათ სასარგებლოდ (შემდგომში „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები“), მათ შორის, „ჯგუფის“ შიდა სესხების გაცემას/მიღებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გარიგების პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის გათვალისწინებით) არ არის ნაკლებად ხელსაყრელი ემიტენტისთვის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილისთვის“, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებითა“ და პირობებით განხორციელებული გარიგებები იქნებოდა იმ „პირთან“, რომელიც არ არის/არიან ემიტენტთან ან მის „მნიშვნელოვან შვილობილთან“ „აფილირებული პირ(ებ)ი“.

(ii) იმ „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ შემთხვევაში, სადაც გარიგების ან დაკავშირებული გარიგებების საერთო ღირებულება აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე ჯგუფის მთლიანი აქტივების 5 პროცენტს, ემიტენტმა აღნიშნული ტრანზაქციის განხორციელებამდე „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ უნდა მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობით დასკვნა იმის თაობაზე, რომ ტრანზაქცია განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და პირობებით.

(iii) შემდეგი გარიგებები არ იქნება მიჩნეული „აფილირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებად“ და ამდენად, არ ექვემდებარება (i) და (ii) ქვეპუნტებში განსაზღვრულ დათქმებს:

(ა) „ჯგუფის“ წევრის მიერ მისი საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაფორმებული შრომითი კონტრაქტი, რომელიც შეესაბამება „ჯგუფის“ წევრის წარსულში განხორციელებულ პრაქტიკას;

(ბ) ემიტენტსა და მის 100%-იან „შვილობილს“ შორის განხორციელებული ტრანზაქციები;

(გ) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისათვის, რომლებიც ემიტენტთან სხვაგვარად ასოცირებულნი არ არიან;

(დ) ემიტენტის ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებლის/აქციონერისგან ემიტენტისათვის სალიზინგო საქმიანობის დასაფინანსებლად გაცემული ნებისმიერი სესხი ან სხვა დაფინანსების საშუალება, რომელიც მიღებულია საბაზრო პირობებით; და

(ე) ნებისმიერი სადაზღვევო ხელშეკრულება „აფილირებულ პირებთან“, რომელიც დადებულია ემიტენტის სალიზინგო საქმიანობის ან აქტივების დასაზღვევად საბაზრო პირობებით.

(ვ) გადასახადების გადახდა და სხვა მოთხოვნები: ემიტენტმა და მისმა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ დროულად უნდა გადაიხადონ „გადასახადები“, რომელიც ეკისრებათ მათ (შემოსავალზე, მოგებაზე, ქონებაზე და ა.შ.), იმ პირობით, რომ ემიტენტს ან მისი „მნიშვნელოვან შვილობილს“ ამ პროსპექტის მიზნებისათვის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა „გადასახადების“ გადაუხდელობაზე, თუ (ა) დაკისრებული თანხის ოდენობა ან დაკისრების მართებულობა კეთილსინდისიერად არის გასაჩივრებული სამართლებრივი წესით და ამ თანხაზე შექმნილია ადეკვატური რეზერვი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ ან სხვა მოთხოვნების შესაბამისად, ან (ბ) ამგვარი „გადასახადების“ თანხა, სხვა დარიცხულ „გადასახადებთან“ ან სხვა მსგავსი მოთხოვნებთან ერთად არ აღემატება 500,000 აშშ დოლარს (ან მის ექვივალენტს).

(ზ) „აკრძალული გადახდები“: ემიტენტმა არ უნდა (და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილებმა“ არ) (ზ.1) განაცხადოს დივიდენდების გაცემის თაობაზე, ან გასცეს დივიდენდი ფულადი ან სხვა სახით, ან მოახდინოს მსგავსი განაწილება (მათ შორის, აქციების გამოსყიდვის ან სხვა სახით), გარდა ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ სასარგებლოდ დივიდენდების გაცემისა და მათი განაწილებისა (ხოლო, თუ „შვილობილი“ არ არის ემიტენტის 100%-იანი „შვილობილი“, სხვა აქციონერების სასარგებლოდაც მათი წილის პროპორციულად); ან (ზ.2) პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებაყოფლობით შეიძინოს, გამოისყიდოს ან სხვაგვარად მოახდინოს საკუთარი სააქციო კაპიტალის ან აქციების შეძენა, სუბორდინირებული სესხის დაბრუნების ვადამდე (გარდა „ჯგუფის“ შიდა სესხის გადახდისა, რომელიც გაცემულია ემიტენტის ან მისი სხვა „შვილობილის“ მიერ, ემიტენტის „შვილობილი კომპანიისათვის“. ნებისმიერი ამგვარი ქმედება რომელიც განსაზღვრულია პუნქტებით (ზ.1) ან (ზ.2) მიიჩნევა „აკრძალულ გადახდებად“. ამასთან, ზემოაღნიშნული ქმედებები და ტრანზაქციები ჩაითვლება „აკრძალულ გადახდად“ თუ:

- (i) ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“;
- (ii) ამგვარი „აკრძალული გადახდის“ და 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომ განხორციელებულ ყველა სხვა „აკრძალული გადახდის“ თანხობრივი მოცულობების ჯამი აღემატება შემდეგი ორი კომპონენტის ჯამს:
  - (ა) ემიტენტის კონსოლიდირებული წმინდა მოგების 50 პროცენტს (რომელიც გამოითვლება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით“) იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2018 წლის 31 დეკემბერს და სრულდება უკანასკნელი განვლილი ფინანსური წლის, ან 6 თვიანი ფინანსური პერიოდის ბოლო დღეს; და
  - (ბ) ემიტენტის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგ აქციების გამოშვებიდან ან რეალიზაციიდან და ამავე პერიოდში ემიტენტის ნებისმიერი „ვალდებულების“ კაპიტალში კონვერტაციიდან ან აქციებში გაცვლიდან მიღებული წმინდა შემოსავლების 100 პროცენტს.

(თ) „ვალდებულება“:

- (i) ემიტენტს ეკრძალება, რომ პასუხისმგებლობა აიღოს, ან სხვა სახით იკისროს ნებისმიერი სახის „ვალდებულება“, გარდა ნებისმიერი „ვალდებულებისა“, იმის გათვალისწინებით, რომ:

ჯგუფის ჯამური „ვალდებულება“, გარდა ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი არაუზრუნველყოფილი პირობითი ვალდებულებებისა (მათ შორის გარანტიებისა/თავდებობებისა), დროის ნებისმიერ მონაკვეთში არ გადააჭარბებს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 90 (ოთხმოცდაათ) პროცენტს.
- (ii) ნებადართულია შემდეგი ფინანსური ვალდებულებები რომელსაც არ ეხება (თ) პუნქტის (i) მუხლში არსებული დათქმა:
  - ა) ემიტენტსა და მის „შვილობილს“ შორის ვალდებულება და ემიტენტის შვილობილებს შორის ვალდებულება.

(ი) ფინანსური ინფორმაცია:

- (i) ემიტენტი კისრულობს ვალდებულებას ფინანსური წლის დასრულებიდან 120 დღის ვადაში

„ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მიაწოდოს და ემიტენტის ვებ-გვერდზე განათავსოს განვლილი ფინანსური წლის აუდიტებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის ასლი „აუდიტორის“ დასკვნასთან ერთად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს მომზადებული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ საფუძველზე.

(ii) ემიტენტი კისრულობს ვალდებულებას ყოველი ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან 60 დღის ვადაში „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მიაწოდოს და ემიტენტის ვებ-გვერდზე განათავსოს განვლილი ექვსი თვის არააუდიტებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის ასლი, რომელიც მომზადებულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ საფუძველზე.

(iii) თუ „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, გაუჩნდება გონივრული საფუძველი ივარაუდოს, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, მას შეუძლია ემიტენტისაგან მოითხოვოს, და ემიტენტი ვალდებულია „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია, რაც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“. „დეფოლტის შემთხვევის“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის“ თაობაზე ამგვარი ინფორმაცია შეიძლება ასევე წერილობითი სახით იქნეს მოთხოვნილი ობლიგაციების საერთო მოცულობის 25%-ზე მეტის მფლობელი „ობლიგაციონერების“ მიერ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით) და ასეთ შემთხვევაში ემიტენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, და იმ „ობლიგაციონერებს“ და „ნომინალურ მფლობელებს“, რომლებმაც წარმოადგინეს ამგვარი წერილობითი მოთხოვნა. წერილობითი მოთხოვნა შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის, ან რამდენიმე ერთნაირი შინაარსის მქონე დოკუმენტის სახით. ამგვარი მოთხოვნა შესაძლოა ასევე მიღებულ იქნას „ობლიგაციონერთა კრების“ გადაწყვეტილების სახით.

(კ) დაზღვევა: ემიტენტი უზრუნველყოფს თავისი და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილების“ ქონების დაზღვევას ემიტენტისა და შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ შეხედულებით კარგი რეპუტაციის მქონე მზღვეველებთან დაზიანებისა და განადგურების რისკისაგან იმ ფარგლებში, რომელშიც ჩვეულებრივ ახდენენ დაზღვევას მსგავსი ქონებისა და მდგომარეობის მქონე კომპანიები საქართველოში.

(ლ) კანონთან შესაბამისობა: ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ იგი და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილები“ ნებისმიერ დროს არსებითად შეესაბამებოდნენ მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, ხელისუფლების ორგანოების მითითებებსა და სამართლებრივ აქტებს.

## 6. საპროცენტო სარგებელი

ობლიგაციას ერიცხება საპროცენტო სარგებელი „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების ძირითად პირობებში“ მითითებულ ფარგლებში. დარიცხული საპროცენტო განაკვეთი გადაიხდება წელიწადში ორჯერ ყოველი წლის 7 აგვისტოსა და 7 თებერვალს (შემდგომში „პროცენტის გადახდის თარიღი“). პირველი გადახდა მოხდება 2020 წლის 7 თებერვალს. ობლიგაციებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება მათი დაფარვის/გამოსყიდვის თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „ობლიგაციონერს“ ამ მომენტისათვის არ დაუბრუნდა ძირითადი თანხა. ასეთ შემთხვევაში საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება არსებული განაკვეთით მანამ, სანამ ამგვარი ობლიგაციაზე გადასახდელი თანხა სრულად იქნება გადახდილი შესაბამისი „ობლიგაციონერის“ ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის.

თუ პროცენტის დათვლა ხდება ერთ სრულ წელიწადზე ნაკლები პერიოდისთვის, ან „საპროცენტო პერიოდზე“ (ქვემოთ მოცემული განმარტების შესაბამისად) ნაკლები პერიოდისათვის, შესაბამისი

დარიცხული (დასარიცხი) საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე.

პერიოდი ობლიგაციების „გამოშვების თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით), პირველი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩათვლელად), და ყოველი შემდგომი პერიოდი წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით) მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩათვლელად) მიიჩნევა „საპროცენტო პერიოდად“.

## 7. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა

- (ა) განაღდება: ემიტენტს უფლება აქვს განაღდების თარიღამდე მოახდინოს ობლიგაციების განაღდება ობლიგაციონერებისათვის გადაუხდელი ძირითადი თანხისა და განაღდების თარიღისათვის დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდის შეთავაზებით. თუ ობლიგაციები მანამდე არ იქნა განაღდებული, გამოსყიდული ან გაუქმებული, ობლიგაციების განაღდება მოხდება 2021 წლის 9 აგვისტოს ძირითადი თანხის (ნომინალის) გადახდით. დაუშვებელია ობლიგაციების განაღდება ემიტენტის შეხედულებისამებრ, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც მოცემულია პროსპექტში (მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად).
- (ბ) გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით: ემიტენტის შეხედულებით, ობლიგაციების ვადამდე განაღდება შესაძლოა მოხდეს სრული ოდენობით (მაგრამ არა ნაწილობრივ), „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერების“ და „ნომინალური მფლობელებისათვის“ არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 დღით ადრე გაგზავნილი გამოუთხოვადი შეტყობინების გაგზავნითა და ძირითადი თანხის (გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად) გადახდით, იმ შემთხვევაში, თუ: (ბ.1) შეტყობინების გაგზავნამდე ემიტენტი დაარწმუნებს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“, რომ მას უწევს, ან მოუწევს გადასახადების სახით დამატებითი თანხების გადახდა ობლიგაციებთან მიმართებაში, რაც გამოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებით, ან ამგვარი კანონმდებლობის სხვაგვარი ინტერპრეტაციით „გამოშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში; და (ბ.2) ამგვარი დამატებითი თანხების გადახდის ვალდებულება ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული მიუხედავად ემიტენტის მიერ გონივრული ზომების განხორციელებისა.
- (გ) შეძენა: ემიტენტს და მის „შვილობილ(ებ)ს“ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეიძინონ ობლიგაციები ნებისმიერ ფასად საფონდო ბაზარზე ან სხვაგვარად. ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ საკუთრებაში არსებული ამგვარი ობლიგაციები არ სარგებლობენ ხმის უფლებით „ობლიგაციონერთა კრებაზე“ და არ მიიღებიან მხედველობაში „პირობების“ 11.(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნით, ან „ობლიგაციონერთა კრების“ ქვორუმის დადგენის მიზნით.

## 8. გადახდები

### (ა) ანგარიშსწორება:

- (i) ობლიგაციების ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 სამუშაო დღით ადრე, 18.00 სთ-ის მდგომარეობით („სააღრიცხვო თარიღი“) „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელებისათვის“. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში „სააღრიცხვო თარიღისათვის“ „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელების“ საბანკო ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით. „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებულმა „ობლიგაციონერებმა“ და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ „რეგისტრატორისათვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის

მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც ემიტენტი, „რეგისტრატორი“ და არც „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“ არ იქნება პასუხისმგებელი გადახდის არ/ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ „რეგისტრატორს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან ემიტენტის ან „რეგისტრატორის“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფს ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(ii) თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბანკო ანგარიში არ არის გახსნილი „ანგარიშსწორებისა და ძირითადი გადამხდელი აგენტთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს საბანკო მომსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ საბანკო ანგარიში არ არის ლარში ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გამოკლებით.

(iii) ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, ემიტენტი ვალდებულია ასეთი ნაკლები თანხა გადაანაწილოს „ობლიგაციონერებს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

(iv) ემიტენტის ან/და „რეგისტრატორის“ მოთხოვნით, „სააღრიცხვო თარიღიდან“ შესაბამის გადახდის თარიღამდე ობლიგაციებით მეორადი ვაჭრობა შესაძლოა აიკრძალოს ან შეიზღუდოს.

(ბ) აგენტების დანიშვნა: „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“, ისევე როგორც მათი საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია „შეთავაზების ძირითად პირობებში“ და პროსპექტის ბოლოს. „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“ წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ ემიტენტის აგენტებს და ამ პროსპექტის და შეთავაზების მიზნებისათვის, არ კისრულობენ რაიმე სახის ვალდებულებას „ობლიგაციონერების“ ან „ნომინალური მფლობელების“ წინაშე და შესაბამისად, არ წარმოადგენენ მათ ინტერესებს. ემიტენტი იტოვებს უფლებას „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ თანხმობით შეცვალოს ან შეწყვიტოს „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტთან“, „განთავსების აგენტთან“ ან/და „რეგისტრატორთან“ ხელშეკრულება, და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“. ამასთან ემიტენტს ნებისმიერ დროს ევალება ჰყავდეს (i) „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“ და (ii) „რეგისტრატორი“ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ დასტურით.

ნებისმიერ ასეთ ცვლილებაზე ან მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ ემიტენტის ვებ-გვერდზე ამ ინფორმაციის გამოქვეყნების გზით.

(გ) გაანგარიშება და გადახდა: ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, საპროცენტო სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე პროსპექტის პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტის“ მიერ. ამასთან, „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას ემიტენტისათვის. „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამის გადახდის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება ემიტენტს. ემიტენტი ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე ერთი სამუშაო დღით ადრე „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტთან“ გახსნილ მის საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები ლარებში და მისცეს დავალება „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტს“ აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, ემიტენტის ანგარიშზე საკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს ობლიგაციებთან

დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელის გადარიცხვა, ხოლო ანგარიშზე საკმარისი თანხების არ არსებობის შემთხვევაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე ემიტენტს და „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“.

- (დ) ფისკალური კანონმდებლობა: ნებისმიერი გადახდა უნდა მოხდეს საქართველოს მოქმედი ფისკალური / საანგარიშსწორებო კანონმდებლობისა ან/და სხვა კანონების, მარეგულირებელი ნორმებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების დაცვით.
- (ე) გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები: „ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს პროცენტის, ჯარიმის ან მსგავსი გადასახდელის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

## 9. დაბეგვრა

ემიტენტის მიერ ან მისი სახელით ობლიგაციების ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის გადახდა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის წყაროსთან დაკავების შემდეგ.

## 10. დეფოლტის შემთხვევები

თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთმოყვანილი შემთხვევა („დეფოლტის შემთხვევები“), „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია ერთპიროვნულად, ხოლო „სპეციალური გადაწყვეტილების“ არსებობის შემთხვევაში (და იმ პირობით, რომ „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ ჯეროვნად არის დაცული შესაძლო პასუხისმგებლობისგან) კი ვალდებულია, ემიტენტისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით ობლიგაციებიდან გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადოს ვადამოსულად და მოითხოვოს ემიტენტისაგან ობლიგაციების დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა:

- (ა) გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა: ემიტენტი ვერ შეძლებს ობლიგაციების ძირითადი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლის ან ობლიგაციებიდან ან „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე რაიმე სხვა თანხის გადახდას, და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული თარიღიდან ხუთი დღის ვადაში; ან
- (ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა: ემიტენტი არ/ვერ ასრულებს პროსპექტით ან „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ერთ ან რამდენიმე ისეთ ვალდებულებას (გარდა „პირობების“ 10(ა) პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა), რაც „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მოსაზრებით (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და ამასთანავე არის არსებითი ან განმეორებადი ხასიათის; ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ დარღვევის თაობაზე

„ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ ემიტენტისათვის გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, არ იქნა აღმოფხვრილი; ან

- (გ) ჯვარედინი დეფოლტი: (i) ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი სხვა არსებული ან სამომავლო „ვალდებულება“ ნასესხებ ან მოზიდულ თანხებთან მიმართებით, ხდება (ან შესაძლებელია, გახდეს) დათქმულ ვადამდე გადასახდელი ვალდებულების ნებისმიერი შეუსრულებლობის მიზეზით, ან (ii) ნებისმიერი ასეთი „ვალდებულება“ არ შესრულდება დათქმულ დროში, ან წინასწარ განსაზღვრულ დამატებით ვადაში, ან (iii) ემიტენტი ან რომელიმე მისი

„მნიშვნელოვანი შვილობილი“ ვერ იხდის ნებისმიერ სხვა არსებულ ან სამომავლო „ვალდებულებას“ დათქმულ დროში, იმ პირობით და იმის გათვალისწინებით, რომ „პირობების“ ამ მე-10(გ) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ამგვარი შეუსრულებელი „ვალდებულებ(ებ)ის“ ჯამური მოცულობა

„ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ გონივრული შეფასებით შეადგენს ან აღემატება 500,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტაში; ან

(დ) გადახდისუუნარობა:

(i) რომელიმე შემდეგი შემთხვევის დადგომა: (i) ემიტენტის ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ სალიკვიდაციო პროცესის ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება; ან (ii) ნებისმიერი „პირის“ მიერ ემიტენტის ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ წინააღმდეგ გადახდისუუნარობის პროცესის წამოწყება, თუკი ამგვარ მოთხოვნაზე ამ „პირს“ არ ეთქვა უარი მოთხოვნის წარდგენიდან 60 დღის განმავლობაში; ან (iii) ემიტენტსა და მის კრედიტორებს შორის მოლაპარაკებების დაწყება ემიტენტის ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან (iv) ემიტენტის ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ ლიკვიდაციის პროცესის წამოწყება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე;

(ii) ემიტენტი ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილი“ არ იხდის ან ზოგადად არ შესწევს უნარი გადაიხადოს ვადამოსული ვალეები დროულად; ან

(iii) ემიტენტის აქციონერები/პარტნიორები დაამტკიცებენ ემიტენტის ლიკვიდაციის ან ემიტენტის დაშლის რაიმე გეგმას; ან

(ე) შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები: ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ გამოტანილი სასამართლოს ან შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართალდამცავი ორგანოს მიერ მიღებული და აღუსრულებელი გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება თანხის დაკისრების ან გადახდევინების თაობაზე აღემატება 500,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტაში ან ვალუტებში, ან ამგვარი გადაწყვეტილება, განაჩენი ან განჩინება გამოიწვევს (ა) ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ხელმძღვანელი პირ(ებ)ის სრულ ან ნაწილობრივ გადაყენებას, ან ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრულ ან ნაწილობრივ შეზღუდვას, (ბ) ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ სააქციო კაპიტალის სრული ან უმრავლესი წილის, ასევე მისი შემოსავლების ან აქტივების სრულ ან ნაწილობრივ (მთლიანი საბალანსო ღირებულების 20 პროცენტის ან მეტი ოდენობის) ჩამორთმევას, ნაციონალიზაციას, კონფისკაციას ან იძულებით გასხვისებას; ან

(ვ) აღსრულება: ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების სრული ან არსებითი ნაწილის მიმართ ნებისმიერი სააღსრულებო პროცესის დაწყება, ან უზრუნველყოფების მფლობელი პირის მიერ მათი მფლობელობაში მიღება ან გასხვისება; ან

(ზ) უფლებამოსილება და თანხმობები: არ არის შესრულებული, მოპოვებული ან მიღებული ნებისმიერი ქმედება, პირობა ან გარემოება (მათ შორის ნებისმიერი საჭირო თანხმობა, განკარგულება, მოწონება, ავტორიზაცია, გამონაკლისის დაშვება, რეგისტრაცია, ლიცენზია, ბრძანება, ჩანაწერი, რეგისტრაცია ან სხვა უფლებამოსილება), რომელიც უნდა ყოფილიყო მიღებული, განხორციელებული ან შესრულებული იმისათვის, რომ (i) ემიტენტმა კანონიერად შეძლოს, თავისი მნიშვნელოვანი უფლებების მიღება და განხორციელება, და ობლიგაციებიდან და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე გადახდის ვალდებულებების, ამ „პირობების“ მე-5 პუნქტიდან („დათქმები“) გამომდინარე ვალდებულებების, და ობლიგაციებიდან და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე მისი სხვა არსებითი

ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, (ii) უზრუნველყოფილ იქნას ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების ნამდვილობა და მათი აღსრულებადობა, და (iii) ობლიგაციები, პროსპექტი და ხელშეკრულება დასაშვებ იქნას საქართველოს სასამართლოში მტკიცებულების სახით; ან

(თ) ნამდვილობა და უკანონობა: ემიტენტი სადაოდ ხდის ობლიგაციების, პროსპექტის, ან „ხელშეკრულების“ ნამდვილობას, ან უარყოფს ობლიგაციებიდან, პროსპექტიდან ან „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე რომელიმე ვალდებულებას, ან ემიტენტის მიერ ობლიგაციების, პროსპექტის ან „ხელშეკრულების“ ფარგლებში ნაკისრი ერთი ან მეტი ვალდებულების შესრულება არის ან გახდება უკანონო, ან რომელიმე ხსენებული ვალდებულება გახდება აღუსრულებადი ან აღარ ჩაითვლება კანონიერად, ნამდვილად ან სავალდებულო ძალის მქონედ.

ემიტენტმა „ხელშეკრულებით“ იკისრა ვალდებულება, რომ შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობებს „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის თაობაზე, ან იმგვარი მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის და/ან სერტიფიკატის/ცნობის გაცემის საფუძველზე ჩაითვლება „დეფოლტის შემთხვევად“ („პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“).

ემიტენტმა „ხელშეკრულებით“ ასევე იკისრა ვალდებულება მასზედ, რომ წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებიდან 14 დღის ვადაში, „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ 14 დღის განმავლობაში და „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 14 დღის ვადაში „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ მიაწვდის მისი დირექტორის და ფინანსური დირექტორის მიერ ხელმოწერილ წერილობით დასტურს იმის თაობაზე, რომ გონივრული მოკვლევის შემდეგ, მისი ინფორმაციით და რწმენით, წერილობითი დასტურის თარიღის (შემდგომში „დადასტურების თარიღი“) მდგომარეობით არ დამდგარა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, და „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“ ადგილი არ ჰქონია არც წინა „დადასტურების თარიღის“ შემდგომ პერიოდში (ან, წინა „დადასტურების თარიღის“ არ არსებობის შემთხვევაში, „ხელშეკრულების“ დადების თარიღის შემდგომ პერიოდში), ხოლო „დეფოლტის შემთხვევის“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის“ არსებობისას ვალდებულია აცნობოს ამგვარი შემთხვევის დეტალები.

11. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა

(ა) „ობლიგაციონერების“ კრებები: „ხელშეკრულება“ შეიცავს დებულებებს „ობლიგაციონერების“ კრებების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებსაც გავლენა აქვს „ობლიგაციონერების“ ინტერესზე, მათ შორის პროსპექტისა და „ხელშეკრულების“ შესაბამისად სათანადოდ მოწვეულ კრებაზე დამსწრე ხმების 75%-ით მიღებული გადაწყვეტილების („სპეციალური გადაწყვეტილება“) თაობაზე წინამდებარე „პირობებში“ ან „ხელშეკრულების“ დებულებებში ცვლილებების და დამატებების შეტანაზე თანხმობის მიცემის მიზნით. ხსენებული კრებები შეიძლება მოწვეული იქნეს იმ „ობლიგაციონერების“ (და/ან მათი სახელით მოქმედი „ნომინალური მფლობელების“) მიერ, რომლებიც ფლობენ განთავსებული ობლიგაციების არანაკლებ 10 პროცენტს მაინც. „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული ნებისმიერი კრების ქვორუმი შედგება თუკი კრებას ესწრება ორი ან მეტი პირი, რომლებიც ფლობენ ან წარმოადგენენ იმ დროისთვის განთავსებული ობლიგაციების ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში – თუკი მას ესწრება ორი ან მეტი პირი, რომლებიც ფლობენ ან წარმოადგენენ იმ დროისთვის განთავსებული ობლიგაციების 25 პროცენტზე მეტს, ან ნებისმიერი მომდევნო „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში – თუკი მას ესწრება ორი ან მეტი პირი, რომლებიც იმ მომენტისთვის არიან განთავსებული ობლიგაციების მფლობელები ან წარმოადგენენ მათ, მიუხედავად მათ მფლობელობაში არსებული ან წარმოდგენილი ობლიგაციების რაოდენობისა. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც ამგვარი კრების მიერ განსახილველი საკითხი, სხვა თემებთან ერთად, მოიცავს შემდეგს: (i) ობლიგაციების ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდის ნებისმიერი დადგენილი თარიღის შეცვლა, (ii) ობლიგაციებზე გადასახდელი თანხების დაანგარიშების მეთოდის ცვლილება, (iii) ობლიგაციების ძირითადი თანხის და საპროცენტო სარგებლის ოდენობის ცვლილება, (iv)

თანხმობის განცხადება ემიტენტის ან რომელიმე სხვა პირის აქციებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში ობლიგაციების გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტაციაზე, (v) ობლიგაციებთან დაკავშირებით ანგარიშსწორების ვალუტის შეცვლა (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც მოითხოვება შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობით), (vi) „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო ქვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილება, (vii) „ხელშეკრულების“ მარეგულირებელი სამართლის შეცვლა ან (viii) ქვემოთ აღნიშნული 12(ბ) ქვეპუნქტის (ცვლილება და უფლებაზე უარის თქმა) ფარგლებში მინიჭებული უფლების შენარჩუნებით, წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევის“ განმარტების ცვლილება. ასეთ გამონაკლის შემთხვევებში, ქვორუმის არსებობისათვის აუცილებელია კრებას დაესწროს ორი ან მეტი პირი, რომლებიც ფლობენ ან წარმოადგენენ განთავსებული ობლიგაციების არანაკლებ ორ მესამედს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში – არანაკლებ ერთ მესამედს. სათანადო წესით მიღებული ნებისმიერი „სპეციალური გადაწყვეტილება“ სავალდებულო იქნება შესასრულებლად „ობლიგაციონერებისათვის“ (მიუხედავად იმისა ისინი ესწრებოდნენ თუ არა იმ კრებას, რომელზეც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული).

იმ „ობლიგაციონერების“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც გადაწყვეტილების მომენტში ფლობენ განთავსებული ობლიგაციების 75%-ს ან მეტს, გააჩნია იგივე ძალა, რაც „სპეციალურ გადაწყვეტილებას“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ.

(ბ) ხელშეკრულების ცვლილება და უფლებაზე უარის თქმა: „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია „ობლიგაციონერების“ თანხმობის გარეშე შეუთანხმდეს ემიტენტს: (i) წინამდებარე „პირობებში“ ან „ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი ფორმალური, უმნიშვნელო ან ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანაზე ან გამოვლენილი აშკარა შეცდომის შესწორებაზე, (ii) ნებისმიერ სხვა ცვლილებაზე (გარდა პროსპექტში და „ხელშეკრულებაში“ მითითებული შემთხვევებისა, ან იმ ცვლილებებისა, რომელთა განხორციელება დაუშვებელია შესაბამისი კანონმდებლობით) ან წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი დებულების იმ დარღვევიდან ან შესაძლო დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე უარის თქმაზე, რაც „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ აზრით არ არის არსებითი „ობლიგაციონერთა“ ინტერესების დასაცავად. ნებისმიერი ასეთი ცვლილება, უფლებამოსილება ან უფლებაზე უარის თქმა ვრცელდება „ობლიგაციონერებზე“. „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მოთხოვნით, ამგვარი ცვლილება შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „პირობების“ მე-14 პუნქტის შესაბამისად.

(გ) „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ უფლებამოსილება: საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უნდა ითვალისწინებდეს „ობლიგაციონერთა“, როგორც კლასის, და არა ცალკეულად ინდივიდუალური „ობლიგაციონერის“ ინტერესებს. შესაბამისად, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს და არც რომელიმე „ობლიგაციონერი“ ან ნომინალური მფლობელი უფლებამოსილი წაუყენოს ემიტენტს რაიმე სახის მოთხოვნა ან პრეტენზია „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ მისი ფუნქციების შესრულების შედეგად ინდივიდუალური „ობლიგაციონერისათვის“ დამდგარი საგადასახადო ვალდებულებების ანაზღაურების ან გადახდის თაობაზე.

## 12. აღსრულება

ნებისმიერ დროს, მას შემდეგ, რაც დადგება ობლიგაციების გადახდის ვადა, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ და დამატებითი შეტყობინების გარეშე მიმართოს ნებისმიერ ზომას ემიტენტის წინააღმდეგ, რასაც იგი მიიჩნევს მიზანშეწონილად

ობლიგაციებისა და „ხელშეკრულების“ პირობების შესრულების მიზნით, ამასთან, „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ არ არის ვალდებული განახორციელოს ამგვარი ქმედებები, თუ (ა) აღნიშნულ საკითხზე მას არ მიუღია შესაბამისი მითითება „სპეციალური გადაწყვეტილების“ ან/და იმ „ობლიგაციონერთა“ ან/და „ნომინალურ მფლობელთა“ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომლებიც ფლობენ მთლიანი განთავსებული ობლიგაციების ერთ მეოთხედს ან მეტს; და (ბ) „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ არ არის მიღებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმები მისთვის მისაღები ფორმით ან/და მისთვის წინასწარ არ არის გადახდილი შესაძლო ხარჯები. არცერთი „ობლიგაციონერი“ ან „ნომინალური მფლობელი“ არ არის უფლებამოსილი უშუალოდ განახორციელოს რაიმე სახის ქმედება ემიტენტის წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“, რომელიც ვალდებულია იმოქმედოს, არ განახორციელებს საჭირო ქმედებას გონივრულ ვადაში და ეს უმოქმედობა გრძელდება. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ნებისმიერი „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან სხვა „ობლიგაციონერთან“ ერთად მიმართოს სასამართლოს, თუკი (i) შესაბამისი გადასახდელის გადახდის ვადიდან გასულია 3 (სამი) თვე ან მეტი, (ii) გადასახდელი თანხა არ არის გადახდილი ემიტენტის მიერ სრული ოდენობით, და (iii) არანაირი ქმედება არ არის განხორციელებული „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ ნებისმიერი მიზეზით.

### 13. ობლიგაციონერების წარმომადგენლის დაცვა

„ხელშეკრულება“ შეიცავს პირობებს „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ დაცვის და მისი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების თაობაზე.

„ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია, „ობლიგაციონერების“ ან „ნომინალური მფლობელების“ წინაშე ვალდებულების წარმოშობის გარეშე, დაეყრდნოს ნებისმიერი ბუღალტერის, ფინანსური მრჩევლის, ფინანსური დაწესებულების და სხვა ექსპერტის მიერ მომზადებულ ანგარიშებს, დადასტურებებს, ცნობებს ან რჩევებს, მიუხედავად იმისა, მომზადებულია თუ არა ამგვარი ანგარიში, დადასტურება, სერტიფიკატი თუ რჩევა კონკრეტულად მისთვის, ან შეზღუდულია თუ არა მათი პასუხისმგებლობის მოცულობა აღნიშნულთან დაკავშირებით (თავად შესაბამისი დოკუმენტის პირობით, „ობლიგაციონერების წარმომადგენელთან“ დადებული ხელშეკრულებით, ან სხვაგვარად) ფულადი ზღვარის დაწესებით, გამოყენებული მეთოდოლოგიის, თუ სხვა დათქმების მითითებით.

### 14. შეტყობინებები

„ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ „ობლიგაციონერებისადმი“ შეტყობინებები კეთდება ფართო ტირაჟის მქონე ქართულ გაზეთში გამოქვეყნებით (ამგვარი გაზეთი შეირჩევა „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ ერთპიროვნული დისკრეციით) და გაეგზავნება ემიტენტსა და „რეგისტრატორს“. ემიტენტის მიერ „ობლიგაციონერებისათვის“ შეტყობინებები კეთდება ფართო ტირაჟის მქონე გაზეთში (რომელზე თანხმობას განაცხადებს „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“) გამოქვეყნების გზით, ან/და ემიტენტის ვებ-გვერდზე, და ეგზავნებათ „ობლიგაციონერების წარმომადგენელსა“ და „რეგისტრატორს“. თუ მიზანშეწონილად ჩათვლიან, ემიტენტმა და/ან „ობლიგაციონერების წარმომადგენლებმა“ შესაძლოა „ობლიგაციონერებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ შეტყობინებები დაუგზავნონ „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ მისაიხიებულ მისამართებზე. ამასთან, შეტყობინება „განმეორებითი კრების“ მოწვევის თაობაზე აუცილებელი წესით უნდა იქნას გაგზავნილი „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ იმ მისამართებზე, რაც მითითებულია „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“. შეტყობინების გამოქვეყნების შემთხვევაში (მათ შორის, ემიტენტის ვებ-გვერდზე), ასეთი შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გამოქვეყნების დღეს, ხოლო თუ შეტყობინება რამდენჯერმე ქვეყნდება – მისი პირველი გამოქვეყნების დღეს.

### 15. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე "პირობებში" გამოყენებულ ტერმინებს (თუკი კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს) გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობები:

"აკრძალულ გადახდას" აქვს „პირობების“ 5(ზ) პუნქტით მინიჭებული მნიშვნელობა;

"აფილირებული პირი" რომელიმე კონკრეტულ „პირთან“ მიმართებით არის (ა) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული მასთან, რომელიც აკონტროლებს ან კონტროლდება პირდაპირ ან ირიბად ამ კონკრეტული „პირის“ მიერ ან იმყოფება ამ „პირთან“ ერთად საერთო კონტროლის ქვეშ, ან (ბ) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც არის ამ კონკრეტული „პირის“, ან „პირის“ შვილობილი კომპანიის, ან ა) პუნქტით განსაზღვრული სხვა პირის დირექტორი ან ხელმძღვანელი პირი.

"გადასახადი" ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახადს, ბაჟს, მოსაკრებელს ან სხვა მსგავს გადასახდელს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი იურისდიქციით არის იგი წარმოშობილი (მათ შორის, დარიცხული ჯარიმები და საურავები) და რა ფორმით არის დაკისრებული.

"გამოშვების თარიღი" ნიშნავს თარიღს, როდესაც ხდება ობლიგაციების გამოშვება, როგორც ეს მოცემულია პროსპექტის თავში - „შეთავაზების ძირითადი პირობები“.

"განმეორებითი კრება" არის "ობლიგაციონერთა" განმეორებითი კრება, რომლითაც გრძელდება წინამორბედი კრება, სადაც ვერ შედგა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ქვორუმი.

"დამოუკიდებელი შემფასებელი" არის „აუდიტორული კომპანია“ ან მესამე მხარე – ექსპერტი, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეირჩევა ემიტენტის მიერ და დამტკიცებულ იქნება „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ იმ პირობით, რომ ეს ფირმა ან მესამე მხარე არ უნდა იყოს ემიტენტთან „აფილირებული პირი“.

"ვალდებულება" ნებისმიერი „პირის“ მიმართ, ნებისმიერი მომენტისათვის გულისხმობს (დუბლირების გარეშე):

- (ა) ამ „პირის“ მიერ თანხების სესხების შედეგად წარმოქმნილი ყველა დავალიანება/ვალდებულებას,
- (ბ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას, რაც გამომდინარეობს ობლიგაციებიდან, სადებეტო ოპერაციებიდან, თამასუქებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან,
- (გ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს აკრედიტივებიდან ან მსგავსი ინსტრუმენტებიდან (მათ შორის, ასანაზღაურებელი ვალდებულებები), მისი ჩვეული ბიზნეს-საქმიანობის ფარგლებში გამოშვებული ნებისმიერი აკრედიტივის, გარანტიის ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტის გამოკლებით,
- (დ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული და გადაუხდელი სარეალიზაციო ფასის გადახდასთან დაკავშირებით,
- (ე) სხვა „პირების“ ვალდებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფილია ამ „პირის“ აქტივებზე (რომელთა ღირებულება უნდა დადგინდეს უკანასკნელი საფინანსო წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური უწყისებში ასახული საბალანსო ღირებულებით) „უზრუნველყოფის ღონისძიებით“, მიუხედავად იმისა, კისრულობს თუ არა ეს „პირი“ აღნიშნული სხვა „პირების“ ვალდებულებებს,
- (ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანებას, რომელიც გარანტირებულია ან დაზღვეულია ამ „პირის“ მიერ, არაუმეტეს ამ „პირის“ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის მოცულობით,
- (ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მოზიდული ნებისმიერი თანხას, თუ ამგვარი ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება გამოსყიდვას,

- (თ) წმინდა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ნებისმიერი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების ხელშეკრულებიდან, და
- (კ) ნებისმიერი სხვა ოპერაციის (მათ შორის, ნებისმიერი ფორვარდული ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების) ფარგლებში მოზიდული თანხას, რაც ეკონომიკური ან კომერციული შინაარსით სესხის იდენტურია,

და ნებისმიერი „პირის“ ვალდებულების მოცულობა ნებისმიერი თარიღისათვის განისაზღვრება ამ თარიღის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული ყველა უპირობო ვალდებულების დაუფარავი მოცულობისა, და ყველა პირობადადებული ვალდებულების შესაძლო მაქსიმალური მოცულობის (რაც შეიძლება დადგეს, თუკი მატერიალიზებული იქნება ის პირობა, რაც იწვევს ამ ვალდებულების წარმოშობას) ჯამური ოდენობით.

"კონტროლი", წინამდებარე განმარტებებში გამოყენებული ფორმით, გულისხმობს ემიტენტის მართვის, პოლიტიკისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრის შესაძლებლობას, სააქციო კაპიტალის ფლობით, სახელშეკრულებო ურთიერთობით ან სხვაგვარად.

"მნიშვნელოვანი შვილობილი" არის ემიტენტის ნებისმიერი „შვილობილი“:

- (ა) რომლის შემოსავლები უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისათვის“ შეადგენდა „ჯგუფის“ კონსოლიდირებული შემოსავლების 5%-ზე მეტს, ან რომელიც უკანასკნელი „ფისკალური პერიოდის“ დასრულებისას ფლობდა „ჯგუფის“ კონსოლიდირებული მთლიანი აქტივებიდან 5%-ზე მეტს (უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისათვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ემიტენტის კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების მიხედვით); ან
- (ბ) რომელსაც გადაეცემა პრაქტიკულად ყველა აქტივი და ვალდებულება ემიტენტის იმ „შვილობილისაგან“, რომელიც ამგვარი გადაცემის მომენტამდე წარმოადგენდა „მნიშვნელოვან შვილობილს“.

"ნომინალური მფლობელი" ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით" განსაზღვრული მნიშვნელობით.

„ობლიგაციონერი“ ნიშნავს ობლიგაციების რეგისტრირებულ მესაკუთრეს (როგორც ეს განმარტებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით“).

"პირი" არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, კორპორაცია, ფირმა, ამხანაგობა, ერთობლივი საწარმო, ასოციაცია, სატრასტო გაერთიანება, დაწესებულება, ორგანიზაცია ან სახელმწიფო ორგანო, მიუხედავად იმისა გააჩნია თუ არა მას ცალკე იურიდიული პირის სტატუსი.

"სამართლიანი საბაზრო ღირებულება" ოპერაციასთან მიმართებით არის ის ღირებულება, რომელიც მიღებული იქნებოდა დაუკავშირებელ პირებს შორის განხორციელებული კომერციული ოპერაციისას ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველსა (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა გასხვისებაზე არ ხორციელდება) და ასევე ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა ყიდვაზე არ ხორციელდება) შორის. „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ უფლებამოსილია დაეყრდნოს ტრანზაქციის „სამართლიანი საბაზრო ღირებულების“ შესახებ „დამოუკიდებელ შემფასებლის“ ანგარიშს, დამატებითი მოკვლევის ან მტკიცებულებების გარეშე.

"სამუშაო დღე" არის ნებისმიერი დღე (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც კომერციული ბანკები ახორციელებენ გადახდებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციებს) თბილისში.

"რეპო ოპერაცია" ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ან გადაყიდვის შეთანხმებას, ასევე უკუ-გამოსყიდვის ან უკუ-გადაყიდვის შეთანხმებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან სესხების შეთანხმებას, ასევე ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ფასიან ქაღალდებს და გააჩნია ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ხასიათი.

"უზრუნველყოფის ღონისძიება" ნიშნავს ნებისმიერ გირაოს, იპოთეკას, დატვირთვას, ყადაღა ან სხვა სახის უზრუნველყოფას (მათ შორის, ნებისმიერ იურისდიქციაში ზემოაღნიშნულის ანალოგიურ სხვა სახის სამართლებრივ უზრუნველყოფას);

"ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი" ნიშნავს 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით“;

"ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები" („IFRS“) არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები), რომელიც გამოიცემა საბუღალტრო სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ და ამავე საბჭოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმარტების კომისიის მიერ გამოცემული განმარტებები (მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით).

"ფისკალური პერიოდი" არის ნებისმიერი საანგარიშო პერიოდი, რომელთან მიმართებაშიც ემიტენტს მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ფინანსური უწყისები „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად, რაც „აუდიტორების“ მიერ არის აუდირებული ან მიმოხილული.

"შვილობილი" ნებისმიერ "პირთან" (შემდგომში „პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ მეორე „პირს“ (შემდგომში „მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობა და პოლიტიკა პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება „პირველი პირის“ მიერ, ან (ბ) რომელშიც „პირველი პირი“ პირდაპირ ან ირიბად ფლობს კაპიტალის, ხმის უფლების მქონე აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს;

"ჯგუფი" გულისხმობს ემიტენტს და მის „შვილობილებს“ ერთობლიობაში.

## 16. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) მარეგულირებელი სამართალი: პროსპექტი და ობლიგაციები, ასევე მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, წესრიგდება და განიმარტება საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია: საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური კომპეტენცია პროსპექტთან ან ობლიგაციებთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე (მათ შორის ნებისმიერ სარჩელზე, დავაზე ან შეუთანხმებლობაზე პროსპექტის ან/და ობლიგაციების გამოშვებასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან დაკავშირებით, ან პროსპექტიდან ან ობლიგაციებიდან გამომდინარე ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით).

## ფასის დადგენა

შეთავაზების საბოლოო მოცულობა პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად) დგინდება.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გაოვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე განთავსების აგენტს უნდა ეცნობოთ დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 14.00 საათამდე (თბილისის დროით)) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების (ობლიგაციების ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, განთავსების აგენტი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი ფასიანი ქაღალდების სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადოს მასზე.

შეთავაზების საბოლოო მოცულობის განსაზღვრის (Book-building-ის) დასრულების შემდგომ განთავსების აგენტი განაცხადებს აღნიშნული მოცულობის შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, მიაწვდის შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას ობლიგაციების ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციური ინვესტორის განაცხადი. შეთავაზების საბოლოო ოდენობის შესახებ გამოცხადების მომენტიდან იმ პოტენციურ ინვესტორთა („ხელმომწერი ინვესტორები“) განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა, ექნება გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმომწერი ინვესტორისათვის“.

## განთავსება

ემიტენტი და/ან განთავსების აგენტი უფლებამოსილია მოახდინონ ობლიგაციების განთავსება გადავადებული განთავსების ფასით გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე (ამ უკანასკნელი თარიღის ჩათვლით) პერიოდში. ობლიგაციების გადავადებული განთავსება მოხდება გადავადებული განთავსების ფასით. ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით გამოსაშვები ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. ობლიგაციების ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

„ხელმოწერი ინვესტორები“ და ის ინვესტორები, რომლებიც შეისყიდნიან ობლიგაციებს გადავადებული განთავსების თარიღზე (შემდგომში ერთობლივად „ინვესტორები“), ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის ობლიგაციების შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე გამოშვების თარიღამდე ან გადავადებული განთავსების თარიღამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე. „ინვესტორის“ მიერ აღნიშნული საბროკერო ანგარიში გახსნილი უნდა იქნას განთავსების აგენტთან. ამავე ანგარიშზე მოხდება „ინვესტორის“ მიერ შესყიდული ობლიგაციების მიწოდება ემიტენტის მიერ შესაბამისად გამოშვების თარიღზე ან გადავადებული განთავსების თარიღზე. გამონაკლის შემთხვევებში, განთავსების აგენტს შეუძლია ერთპიროვნულად დართოს ნება „ინვესტორს“ ობლიგაციების გამოსასყიდი თანხები, ნაცვლად განთავსების აგენტთან გახსნილი საბროკერო ანგარიშისა, მიმართოს ემიტენტის ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე განთავსების აგენტთან. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციების მიწოდება „ინვესტორისათვის“ მოხდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა უფლებამოსილ „ნომინალურ მფლობელთან“ არსებულ „ინვესტორის“ ანგარიშზე.

ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ან „რეგისტრატორში“ ჩანაწერის სახით.

ემიტენტი არ მოახდებს წინამდებარე პროსპექტში აღწერილი შეთავაზებით გათვალისწინებული ობლიგაციების გამოშვებას და/ან გააუქმებს ყველა გამოშვებულ ობლიგაციას (თუ კი ასეთი იარსებებს) ობლიგაციონერებისათვის ობლიგაციების შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნებით, თუ გამოშვების თარიღზე არ მოხდება განთავსების მინიმალური ოდენობის ხელმოწერა და განთავსება.

თუ საბოლოო პროსპექტით გათვალისწინებული ობლიგაციების სრული რაოდენობა არ იქნება განთავსებული შეთავაზების დასრულების თარიღზე, განუთავსებელი ობლიგაციები ჩაითვლება გაუქმებულად (გაუქმდება) და ემიტენტი ობლიგაციების განთავსებული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს ეროვნულ ბანკს, საფონდო ბირჟას – თუ ფასიანი ქაღალდი დაშვებულია საფონდო ბირჟაზე და აგრეთვე გამოაცხადებს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე

ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების ოაზრად.

## ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. ობლიგაციების პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩეველებთან ობლიგაციების შემენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე ობლიგაციებიდან პროცენტის, ძირითადი თანხის და/ან სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის ობლიგაციებთან დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

## პროცენტზე საშემოსავლო გადასახადის დაკავება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ობლიგაციების მფლობელებისათვის (რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და არარეზიდენტი იურიდიული პირები) გადახდილი პროცენტი ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას საშემოსავლო გადასახადის 5 (ხუთ) პროცენტის განაკვეთით. გარდა ამისა, ზემოთ მითითებული გადახდის წყაროსთან დაბეგვრილი საპროცენტო შემოსავალი არ ჩაითვლება მიმღები რეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივ შემოსავალში.

ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გათავისუფლებულია წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისგან და ის არ ჩაითვლება ობლიგაციის მფლობელის ერთობლივ შემოსავალში, თუ ობლიგაციები გამოშვებულია რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე საჯარო შეთავაზების გზით და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე არის სავაჭროდ დაშვებული (საქართველოს საფონდო ბირჟის A ან B კატეგორიის ლისტინგში).

ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გათავისუფლებულია წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისგან და ის არ ჩაითვლება ობლიგაციის მფლობელის ერთობლივ შემოსავალში, თუ ობლიგაციები გამოშვებულია საქართველოს რეზიდენტის მიერ და დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟის ლისტინგში.

ისეთი ობლიგაციების მფლობელებისათვის გადახდილი პროცენტი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან იმ ქვეყნებში, რომელთაც შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი გააჩნიათ და საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებულნი არიან ოფშორულ იურისდიქციებად, დაიბეგრება 15 პროცენტის განაკვეთით.

საქართველოში მიღებული საპროცენტო შემოსავლის წყაროსთან დასაკავებელ გადასახადზე შესაძლოა ასევე გავლენა იქონიოს საქართველოსა და არარეზიდენტი ობლიგაციის მფლობელის რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებულმა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ.

## ობლიგაციების გასხვისების დაბეგვრა

რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის.

თუ ზემოხსენებული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება, ობლიგაციის გასხვისებისას შესაძლოა წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულები:

**ობლიგაციის მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა**

არარეზიდენტი იურიდიული პირების მოგება (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) 15 პროცენტის განაპირობებით გადასახადის განაკვეთით იბეგრება (დასაბეგრი თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

**ობლიგაციის მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა**

არარეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტის განაკვეთით თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი ფიზიკური პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან, თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ობლიგაციების ცალკეულ მფლობელებზე, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

**ობლიგაციის მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა**

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ობლიგაციების გასხვისებისას მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოგების განაწილებისას (15%-იანი განაკვეთით).

**ობლიგაციის მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა**

რეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტის განაკვეთით თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ის იქნება პასუხისმგებელი წყაროსთან შესაბამისი გადასახადების დაკავებაზე.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ობლიგაციების ცალკეულ მფლობელებზე, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

**ძირითადი თანხის გადახდის დაბეგვრა**

ობლიგაციების გამოსყიდვისას მფლობელების მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, თუ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

## დამატებული ღირებულების გადასახადი

ობლიგაციების რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.

